ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№249 (308) 10-17 დეკემბერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამებრელოს“ ორგანო 30 თეთრი

არა და არ გაიფანტა ილუზიის ბოლი...

მთავარი რედაქტორის
გვერდი

დიახ, ცხრა წლის განმავლობაში გვაბოლებდნენ ნაციონალები და მათი თავქარქაშა ბელადი სააკაშვილი, ხან მათი ჰიტად ქცეული ჰიმნი **“გიხაროდენ...”** გვაბღავლეს, ხან თავხედური თვითდარწმუნებით გვაფალმანდებდნენ დევიზით **“გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია”**, ბოლოს კი უსახელოდ გადაიხვეწნენ და დაგვიტოვეს ხუხულასავით ოკრობოკროდ ნაგები ქვეყანა, რომელიც ისევე იშლება და ფშუტად იქცევა, როგორც შემობერილი ზამთრის ქარისაგან დაზანზარებულ-დაშლილი თბილისის იუსტიციის სახლი თუ ადამაშენებლის გამზირზე ზედაპირული მაკიაჟით **“გალამაზებული”**, ჯერ კიდევ ფეხზე მდგარი ფუყედ ქცეული ორსაუკუნოვანი ნაგებობები.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როცა გაჩნდა იმის იმედი, რომ ავადსახსენებელი ნაცების მიერ დატრიალებული როყიო შეპირებების ბოლი საბოლოოდ გაიფანტებოდა, ხალხის დაბოლება ახლა უკვე რესპუბლიკელებმა გააგრძელეს და კვამლის ისეთი სქელი საბურველი ჩამოაფარეს საქართველოს, რომ უდაბნოს მირაჟად ქცეული ევროკავშირისა და უფრო ილუზორული **“ნატო”**-ს მეტი აღარაფერი მოსჩანს.

გვეგონა წინ წავიდოდით, მაგრამ, დროდადრო, როცა ბურუსის ნაკლებად სქელ ფენაში შევდივართ, წამსვე ვრწმუნდებით, რომ თურმე უკან-უკან გვიელია... მახსენდება პოეტის მიერ ხუმრობით ნათქვამი:

“მუშები ვართ, მიწას ვბარავთ,
წინ მივდივართ უკან-უკან”...

ყველასაგან (უპირველესად ყოვლისა კი საკუთარი უდარდელობისა და სიბრიყვისაგან გაუბედურებული) დაწიხლული ქართველებიც ხომ ზუსტად ასე ვართ – **“ზადნი ხოდით”** ვმოძრაობთ და წინსვლის ნაცვლად სწორედაც რომ **“უკან-უკან”** მივდივართ!

დასავლური სამყაროს **“ზვიგენებმა”** იოლად მოიგდეს ხელთ პოსტსაბჭოთა სამყაროს ხალხების ის თაობა, რომლებიც არ იყვნენ გათვითცნობიერებულები თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ბინძურ ნიუანსებში, იოლად დაგვიხვიეს თითზე და დღემდე გვაძრობენ ტყავს და გვათამაშებენ საკუთარ ჭკუაზე. ისინი მანამ არ მოისვენებენ, ვიდრე საარსებო რესურსებისაგან საბოლოოდ არ დაცლიან მათ მიერ ათვალწუნებულ ქვეყნებს, რომელთა შორის აშკარად მოიაზრება საქართველოც. და ის, რომ ვილნიუსის სამიტის გარშემო აჟიოტაჟი ხელოვნურად იყო აგორებული და ქართველი ხალხის კიდევ ერთხელ გაცუცურაკებას ემსახურებოდა, იმითაც დასტურდება, რომ პარაფირების 1000-გვერდიანი ხელშეკრულება ჯერ არავის უნახავს და არ ვიცით რა სწერია მასში. ის ფაქტი, რომ აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნდა სოციალურ ქსელებში, არაფერს ნიშნავს, რადგან შედგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის არ არის ხელმისაწვდომი!

ამდენად, სწორედაც რომ **“დაბოლებულები”** ვართ ქართველი რესპუბლიკელების მიერ და არაფერი ვიცით იმის თაობაზე, თუ რა პირობებით შევდივართ ევრობაზარში. არც ის ვიცით, თუ რა სწერია ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის შემოღებაზე (თუმცა, ესეც ცალკე განხილვის თემაა, რადგან საქართველო ისედაც დაცლილია ქართველობისაგან და უვიზო რეჟიმის შემოღების შემდეგ ყველა უმუშევარი ევროპას მიაშურებს სამუშაოს საძებნელად, რაც კიდევ უფრო შეამცირებს ჩვენს გამეჩხერებულ რიგებს) და, საერთოდ, არის კი პარაფირების აღნიშნული ხელშეკრულება ევროკავშირში შესვლის წინაპირობა?

ან კი, საერთოდ რას იძლევა ეს ფარატინა ქაღალდი, რომელსაც დიდი ხნის წინ მოაწერეს ხელი თურქეთმა, ეგვიპტემ, ლიბიამ, იორდანიამ, ტუნისმა და მექსიკამ? მაშ რატომ ვერ გახდნენ ისინი დღემდე ევროკავშირის წევრები და რა გარანტია გვაქვს, რომ მათთან შედარებით ჩვენ რაიმე პრეროგატივა გვექნება?

განა ეს არ გახლავთ ხალხის **“დაბოლების”** კლასიკური ნიმუში, როცა გვაიძულებენ, რომ ბედნიერი მომავლის ილუზორული მოლოდინით კვლავაც პირდაღებულებმა ვიუროოთ ევრო-ამერიკისაკენ?!

დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ამერიკელები საქართველოს ორი ძირითადი პოლიტიკური ძალის თარეშისათვის ამზადებენ. ეს ძალა გახლავთ **“ნაციონალები”** და **“რესპუბლიკელები”**, რომელთა იდეოლოგია და პოლიტიკური მენტალიტეტი ტყუპისცალი ძმების ცხოვრების წესის ანალოგი გახლავთ!

გაიხსენეთ, როგორი ენერგიით გააგრძელეს ნაციონალებმა მოქკავშირის მიერ დაწყებული საქართველოს სულიერი და ტერიტორიული რღვევის პროცესი, რაშიც მას დიდად ეხმარებოდა საზოგადოების ნდობა, რომელმაც ძლივს მოიშორა თავიდან შევარდნაძის საძულველი ხელისუფლება **და იმის იმედი გაუჩნდა, რომ ე.წ. “ახალგაზრდა რეფორმატორები”** წაღმა დაატრიალებდნენ ავადსახსენებელი მოქკავშირის მიერ უკუღმა დაბრუნებულ საქართველოს ბედის ჩარხს.

კი **“გვიწინასწარმეტყველა”** მაშინ შევარდნაძემ რომ სანატრელი გაგიხდებითო, მაგრამ, აბა როგორ წარმოვიდგენდით, რომ მაგ სატანაზე უფრო დიდი სატანა შეუსახლდებოდა გულ-გვამში საქართველოს, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამ გამონაკლის შემთხვევაში, შევარდნაძე მართალი აღმოჩნდა.

ახლა კი იმის დიდი შანსი ჩნდება, რომ **“ნაცების”** თავხედობისაგან გაბეზრებულები ისეთ ანტიქართულ ძალას ჩავუვარდეთ ხელში, რომელიც უფრო დიდი ენერგიითა და მონდომებით შეუდგება საქართველოს დაშლა-დანაწევრებას!

ვიმეორებ, – მითხარით, რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რესპუბლიკელები და ის ნაციონალები, რომელთაც ცხრა წელიწადი გვკვებეს ცრუ დაპირებებით, ქვეყანა ლამის თავზე დაგვამხეს და ახლა ამერიკელები მათი გასამართლების უფლებასაც კი არ გვაძლევენ. რაც ნაცებს დარჩათ დაუნგრეველი, ახლა იმას საბოლოოდ მოასწორებენ რესპუბლიკელები (თუნდაც საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით ქვეყნის ტერიტორიულ საფეოდალოებად დაყოფა, რაც, ფაქტიურად, **“დიდი სომხეთის”** იდეის განხორციელების საწყისი ეტაპი გახლავთ, რადგან ამ მზაკვრულ განაზრახს მოჰყვება რეგიონალური ენების კანონის ამოქმედება, რაც ასევე ევროკავშირის დაწოლის შედეგად იქნა მიღებული). როგორ ფიქრობთ, არ გამოიყენებენ ამ ფაქტორს თავიანთ სასარგებლოდ ის ჯავახელი სომხები თუ ქვემოქართლელი აზერბაიჯანელები, რომლებიც უკვე დიდი ხანია უჩხიკინებენ საქართველოს და პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვენ?

არის თუ არა ეს ქვეყნის წინაშე ჩადენილი დიდი დანაშაული? და როგორ გგონიათ, ყოველივე ამის შემდეგ ამერიკელები მოგვცემენ რესპუბლიკელების გასამართლების უფლებას?

რესპუბლიკელები ახლა თავს იმით იწონებენ, რომ ევროპარლამენტის წარმომადგენლებმა საქართველოს რეგიონებად დანაწევრების გეგმა მოიწონეს და ერთი შენიშვნაც კი არ გამოუთქვამთო. თითქოს სწორედ ამერიკელები და ევროპელები არ ესწრაფვიან საქართველოს დაშლა-დანაწევრების გეგმის განხორციელებას, რათა მართლმადიდებლობის კიდევ ერთი ფორპოსტი მოშალონ და საბოლოოდ გაანადგურონ იმ ფინანსური დანაშაულობების კვალი, რაც მათ ნაციონალური ხელისუფლების ხელშეწყობითა და თანამონაწილეობით ჩაიდინეს საქართველოში!

დღეს საქართველოში საქმე ისე ააწყვეს ევროამერიკელმა **“ზვიგენებმა”**, რომ ყოველი პოლიტიკური ძალის დასუსტება რესპუბლიკელების გაძლიერებას ემსახურება. განა სწორედ ამ რეცეპტურით არ მოგვასვეს მათ თავზე **“ნაციონალები”** და მათი თავქარქაშა ბელადი სააკაშვილი, რომლებიც ერთი წელი საკუთარ **“მადალ იმიჯსა”** და ძალას ამკვიდრებდნენ, შემდეგ კი დიდი ფულის კეთებას შეუდგნენ. ჩადით რაიონებში და დარწმუნდებით, რომ ზოგიერთმა რესპუბლიკელმა მაჟორიტარმა უკვე დაატრიალა **“ფულის საჭრელი მანქანა,”** საკვანძო საფინანსო თანამდებობებზე ნიშნავენ საკუთარ ნათესავებსა და მათი პრინციპების ერთგულ ადამიანებს, უხეშად ერევიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში და სჩადიან სხვა უკანონობებს. და, როგორც ნაციონალების შემთხვევაში, ჩვენი ევროამერიკელი **“ნადზირატელები”** თვალს ხუჭავენ ყოველივე ამ უმსგავსოებებზე.

მოკლედ, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, შეიცვალა მხოლოდ მეეტლე, ეტლი კი კვლავაც ქვეყნის დამაქცევართა მიერ წინასწარ დაგეგმილი დამღუპველი კურსით მიექანება!

არის კიდევ ერთი არაჯანსაღი ინტერესი, რომელსაც ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეები იჩენენ საქართველოს მიმართ.

საერთაშორისო ბაზრის კეთილსინდისიერ მკვლევართა განმარტებები ადასტურებენ, რომ ევროკავშირის ძირითადი მიზანია აღმოსავლეთ ევროპისა და სხვა განვითარებადი ქვეყნებიდან (რომელთა შორის ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია საქართველოს) ნედლეულის გამოტანა და იქ ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან მზა პროდუქციის შეტანა, რაც ისედაც განუვითარებელ ქვეყნებს საერთოდ უსპობს საკუთარი ეკონომიკის განვითარების ელემენტარულ შესაძლებლობასაც კი. ისიც ფაქტია, რომ ახლა დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებს ღრმა ეკონომიკური კრიზისი აქვთ ამიტომაც სურთ ნედლეულის ბაზრის გაფართოება. მაგრამ, ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელთა თაობაზე საერთოდ არაფერი იბეჭდება მასმედიაში. ავიღოთ თუნდაც რუმინეთი, რომელიც 2006 წლიდან არის ევროკავშირისა და **ნატო**-ს წევრი. ამ ქვეყნის საგარეო ვალი 50 მილიარდ დოლარს აჭარბებს, უმუშევრობის დონე კი 44 პროცენტს სცდება. თითქმის იგივე მდგომარეობაა ბულგარეთში, რომლის თაობაზე გაზეთი **“საქართველო და მსოფლიო”** (№45, 4-10 დეკემბერი 2013 წ.) წერდა: **“ოქროს მთებს გვპირდებიან საქართველოსაც, თან შენიშვნებსა და რეკომენდაციებსაც არ იშურებენ. რეკომენდატორთა შორის განსაკუთრებით აქტიურობს ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი. ის წარმოშობით ბულგარელია და, თუ გავითვალისწინებთ, რაც ბულგარეთმა მიიღო ევროკავშირში გაწევრებით, არათუ რეკომენდაციებს უნდა გვაძლევდეს, არამედ უნდა მოგვიწოდებდეს,– დაანებეთ ამ ფარსს თავიო, მაგრამ კაცია და გუნება, შუბლის ძარღვის სიმრთელეს ყველას ვერ მოსთხოვ...”.**

აღნიშნულ სტატიაში სხვა საინტერესო ფაქტებსაც გვთავაზობს გაზეთი **“საქართველო და მსოფლიო”** ევროამერიკელთა არაჯანსაღი ინტერესის თაობაზე, თუნდაც იგივე რუმინელების მიმართ.

“რუმინული ნავთობის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია ნეოკოლონიალიზმის ნათელი მაგალითია. რუმინული ნავთობის ავსტრიელი მფლობელები ნიადაგით სარგებლობისათვის გადასახადს იხდიან, მაგრამ ეს გადასახადი მრავალჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე მისი შესატყვისი, მაგალითად, ტანზანიაში. პრივატიზაციის მომენტიდან მხოლოდ გრუნტებით სარგებლობისათვის დაბალი გადასახადის გამო ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით რუმინეთის ბიუჯეტმა 15,4 მილიარდი დოლარი დაჰკარგა, ეს კი ქვეყნის მთელი საერთო შიდა პროდუქტის დაახლოებით 10 პროცენტია. მრავალი რუმინელი სპეციალისტი შურით შეჰყურებს რუსეთს, სადაც ვლადიმერ პუტინმა აღკვეთა ნავთობის ძარცვა და დააწესა გადასახადების ნორმალური დონე, მაშინ, როდესაც რუმინელებს მხოლოდ ის დარჩენიათ, შორიდან უყურონ, თუ როგორ მდიდრდებიან ავსტრიელები მათი ნავთობით”.

განა სწორედ ევროკავშირის **“დამსახურება”** არ გახლავთ ის თვალშისაცემი სიმახინჯე, რომ რუმინელები მოიჯარეებად იქცნენ საკუთარ ქვეყანაში, რომელსაც ისინი უკვე ფაქტიურად ვეღარ ფლობენ? ცხოვრების დონის გაუმჯობესების ილუზია არსებობდა მხოლოდ ევროპული იაფი კრედიტების და უძრავი ქონების სექტორის ბუშის ხარჯზე. სპეკულატიური ბუში დასრულდა, მილიარდიანი ვალები ვალებად დარჩა, ქვეყანა კი, პრაქტიკულად, აღარ არსებობს!

უკრაინამ დროზე აუღო ალღო ამ ვერაგობას და პრემიერმა აზაროვმა კარგი სურათი დახატა იმისა, თუ რას წარმოადგენს ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული **“ოქროს მთები”**. საბერძნეთმაც აუნთო **“წითელი შუქი”** ევროკავშირად წოდებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ხაფანგს და დიდი ძალისხმევა დასჭირდა ამ საერთაშორისო თაღლითურ ორგანიზაციას რომ საკუთარი გარდაუვალი რღვევის პროცესი შეეჩერებინა, საბერძნეთის თავის რიგებში დარჩენით. საერთაშორისო ექსპერტები, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ ობიექტურად აზრივნების უნარი, ევროკავშირის დაშლას პროგნოზირებენ, ჩვენ კი ყურად არ ვიღებთ ამგვარ გაფრთხილებებს და კვლავაც მანიაკალური სიჯიუტით მივიწევთ ამ სასიკვდილოდ განწირულ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად, რაც დამატებით თავისტკივილს თუ მოუტანს ისედაც უამრავი სატკივარისაგან გაწამებულ საქართველოს!

ამრიგად, ვართ ასე დაბოლილები, ოღონდ, ამჯერად ქართველი რესპუბლიკელებისაგან, და კვლავაც პირდაბჩენილები ველოდებით იმ ევროამერიკულ სიკეთეს, რომელიც ვერასდროს ვერ შემოაბიჯებს ჩვენს ოჯახში!

P.S. ჟურნალისტ **არმაზ სანებლიძის** *თქმისა არ იყოს:* ***“შალახო” გვაკლდა სრული ბედნიერებისათვის და რესპუბლიკელებმა ესეც ხონჩით მოგვართვეს ევროპული ვილნიუსის სამიტზე პარაფირების ხელშეკრულების გაფორმების საზეიმო ცერემონიის დროს. ან, იქნებ, რადაც ყვენობაზე ვიყავით ჩასული ესტონეთის დედაქალაქში?”...***

რა იყო ეს – ჩვენი აზიელობისათვისა და თავიანთი ევროპული უპირატესობისათვის ხაზგასმა, თუ ელემენტარული უცოდინარობა? თუ ორივე ერთად?!

და, ყოველივე ამის შემდეგ, სწორედაც რომ ***“ქართლის ჭირად”*** *ქცეულმა რესპუბლიკელებმა უნდა გადაგვიწყვიტონ ბედი ქართლისა?!*

როლანდ ჯალაღანია

მერაბ მეტრეველი: ვისაც ბოდიში აქვს მოსახდელი, ეს სწორედ სოხუმელი ქართველები არიან

ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი სოციალურ ქსელ Facebook-ზე აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებებს აქვეყნებს და წერს, რომ სოხუმელ ქართველებს ბოდიში აქვთ მოსახდელი.

"ვიცი ამ პოსტის გამო ბევრი ჩამქოლავს, მაგრამ მაინც უნდა დავწერო. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა ჩავიხედოთ სარკეში. ახლა ვნახე ეკა ხოფერიას გუშინდელი გადაცემა სოხუმელებზე, რომლებიც ძირითადად შერიგებაზე და იმაზე საუბრობდნენ, რომ აფხაზებმა და ქართველებმა ერთმანეთს ბოდიში უნდა მოვუხადოთ.

მე თუ მკითხავთ, პირველ რიგში ვინც შეცდომა უნდა აღიარონ, ეს სწორედ სოხუმელი ქართველები არიან, განსაკუთრებით კი ისინი ვისი ნათესავებიც იმ ომში იბრძოდნენ. წარმოიდგინეთ, მაშინ მათ რა გააკეთეს: როდესაც იქ ქართული ჯარი შევიდა, იმის მაგივრად, რომ შუაში ჩამდგარიყვნენ (ამას ფიგურალურად ვამბობ) და ეთქვათ: "რას აკეთებთ ძმებო, ქართველებო, ესენი ჩვენი მეზობლები, მეგობრები, კლასელები არიან (როგორც დღეს ამბობენ) და მათ ნუ ესვრით,"-ო თავადაც იარაღი აიღეს და თავინთი მეზობლების, მეგობრების და კლასელების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს.

ამ პრობლემაზე პირველად მაშინ დავფიქრდი, როდესაც ერთ-ერთ ინტერნეტ საიტზე აფხაზური ტელევიზიის სიუჟეტი ვნახე ომის წლისთავთან დაკავშირებით. სიუჟეტში ერთი გოგონა ყვებოდა იმის შესახებ, თუ როგორ იმალებოდა მამამისი საკუთარი სახლის სარდაფში რამდენიმე დღე, რადგან მას მოსაკლავად მისი ქართველი მეზობლები ეძებდნენ. როგორ ფიქრობთ, ამ გოგოს, მოუნდება ახლა იქ ისევ ნახოს მისი ქართველი მეზობლები?

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, გორში რომ ყოფილიყო რუსული დასახლება და როდესაც იქ რუსის ჯარი შევიდა ამ რუსებს, რომლებიც იქ ქართველებთან ერთად გაიზარდნენ, ხელში იარაღი აეღოთ და ქართველების ხოცვა დაეწყოთ. ჩვენ დღეს მოგვინდებოდა მათი გორში შემოშვება? დღეს აფხაზები სულაც არ ინახავენ გულში სიბრაზეს იმ თბილისელების, ან ქუთაისელების მიმართ, ვინც მათ ებრძოდა. მათ სწორედ სოხუმელების, მათი მეზობლების, მეგობრების და კლასელების ტყვიების დავიწყება უჭირთ. ამიტომაც არ სურთ დევნილების დაბრუნებაზე საუბარიც კი", – წერს მერაბ მეტრეველი.

"ილორის" კომენტარი – ***მხოლოდ ერთ რამეში ვერ დავეთანხმებით მერაბ მეტრეველს – ქართველებს რომ პრინციპულობა გამოგვეჩინა, მაშინ დღეს არცერთი სომეხი არ უნდა ცხოვრობდეს საქართველოში, რადგან, ავადსახსენებელმა "ბაგრამიანის ბატალიონმა" რაც ქართველები ჟლიტა, ამდენი ქართველი, აფხაზეთში, სხვებს, ერთად აღებულს, არ მოუკლავთ! როგორც ჩანს, მეტრეველს სხვა ბევრიც არ ეთანხმება, რაზედაც მეტყველებს მის სახელზე მოსული თუნდაც ერთი ასეთი წერილი:*

სოხუმელი ქალბატონის პასუხი მერაბ მეტრეველს

მერაბ მეტრეველის პოსტმა სოხუმელი ქართველების შესახებ საზოგადოებაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გთავაზობთ ერთ-ერთ კომენტარს სოცქსელებიდან, სადაც სოხუმელი ქალბატონი ამ საკითხისათვის გადაცემის მიძღვნას ითხოვს.

"აბსურდს ამბობ, მერაბ, მაგრამ არ იცი და იმიტომ. არც გიბრაზდები და არც ჩაქოლვას ვაპირებ. გთხოვ ამ თემაზე გადაცემა გააკეთე. ჩემი თვალით რაც ვნახე და რაც გადაგვხვდა დაწვრილებით მოგიყვები, თუ შენსავით ვინმე ფიქრობს იმაზეც უნდა ვიზრუნოთ, რომ სიმართლე თუნდაც 20 წლის შემდეგ გაირკვეს. მოკლედ ორი სიტყვით გეტყვი – იმ დღეს როცა ქართული ე. წ. ჯარი თუ რაღაც გაუგებრობა მოადგა საზღვრებს, ვიყავი დრანდაში სამსახურში, სადაც გვსტუმრობდა ერთი აფხაზი რევიზორი სოხუმის "აბსოიუზიდან". ეს ფაქიზი თემაა, ჩვენ როგორ დავშორდით ერთმანეთს, იგი ჩვენმა თანამშრომელმა სასწრაფოდ წაიყვანა მანქანით სოხუმში. დრანდის მოედანზე შევიკრიბეთ გულრიფშის რაიონის ეროვნული ძალები, გავრცელდა ზვიად გამსახურდიას წერილი (ხელნაწერი), რომელიც გროზნოდან იმ დილით ჩამოიტანეს. მახსოვს იქ ასეთი ფრაზა: "დაუდექით აფხაზ ძმებს გვერდით და ეს ბანდიტები არ შემოუშვათ!". დავიწყეთ სწორედ ასეთი მოწოდებები, მაგრამ აფხაზები ძირითადად სოხუმში იყვნენ და მოვიდა ინფორმაცია, რომ ისინი იხიზნებიან გუდაუთაში. ჩვენ აღმოვჩნდით ქართველები ქართველების წინააღმდეგ, ამ დროს მოგვადგა სოხუმის მხედრიონი და სულ მოღალატეები გვიძახეს. აფხაზების მხარეს ხართ, ქართველების წინააღმდეგო, თან დედას გვაგინებდნენ და ასეთ გაორებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. შემოჯლიგინდნენ ტანკებით სროლა-სროლით, მაგრამ ვის ესროდნენ? მერე მიადგნენ ტელევიზიას, იქ ერთი აფხაზი აღარ იყო და "გამარჯვებულები" ჰყვიროდნენ – "ტელევიზია ავიღეთო", და სწორედ მაშინ გაისმა ყარყარაშვილის ცნობილი ფრაზა: "სათესლედ არ დავტოვებთ აფხაზებსო"! ეს მოკლედ, ხოლო ვრცლად, კი არ გთხოვ, არამედ მოვითხოვ – მიუძღვნა გადაცემა სწორედ ამ საკითხს: "ვინ არის აფხაზეთის ქართველობა". მერაბ, ყველაფერს და მუდამ დაფიქრება უნდა, არ გეპატიება ზერელე განცხადებების გაკეთება და მე შანს გაძლევ ეს მძიმე შეცდომა გამოასწორო".

დიახ, სწორედაც რომ დიალოგია საჭირო მხარეებს შორის, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავადგინოთ იმ არაადამიანების ვიწრო წრე, რომელთა ბოროტი ნებით დაიწყო ძმათამკვლელი ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის. ამაზე ლამის ამომწურავ პასუხს იძლევა ბატონი ნაპო მესხიას წერილი, რომელიც გაზეთ "ილორში" ქვეყნდება, რასაც განვრცობა და იურიდიულ სიბრტყეში გადაყვანა სჭირდება, რათა ისტორიამ იცოდეს მისი ღირსეული და უღირსი შვილების ვინაობა!

საკ. ინფ.

აფხაზეთის მთავარი გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე-ჩაჩბა

"როგორც ნამდვილ აფხაზ ვაჟკაცსა და გულანთებულ მამულიშვილს შეეფერებოდა, გიორგი შერვაშიძეს ერთნაირი სიძლიერით უყვარდა ის დედაც რომელმაც შობა და ის დედაც, რომელმაც თავისი რძით გამოკვება.

მას მათთვის არ უღალატნია მათი სიღარიბისა და დამცირების დროს და ცხოვრების გზის დასასრულამდე შეინარჩუნა იმის ღრმა რწმენა, რომ ორივეს ბედნიერი მომავალი ელოდა", – ამბობდა დიდი ქართველი მეცნიერი გერონტი ქიქოძე.

ამ სიტყვის ყველა წინადადება ისეა გააზრებული, რომ დღესაც, ასი წლის შემდეგაც, ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების უმნიშვნელოვანეს საძირკვლად წარმოგვიდგება.

ამ ათიოდე წლია წინათ, გიორგი შარვაშიძის დისშვილისშვილი, ქართველი არისტოკრატიის ერთ-ერთი უხუცესი პიროვნება, ქალბატონი ბაბო დადიანი აღნიშნავდა, თუ როგორ იცვალა მის თვალწინ სახე საზოგადოების ცხოვრების წესმა. მომრავლებულმა ყოველდღიურმა სირთულეებმა როგორ გააქრო ხალასი ადამიანური ურთიერთობები, როგორ გააიშვიათა გულწრფელი ახლობლობა, უანგარო თანადგომა და თანამოაზრეობა, მაგრამ, ყველაზე უფრო სავალალოდ იგი ღირსების გრძნობის მინელებას მიიჩნევდა.

"ვწუხვარ, რომ თქვენ, ახალგაზრდები, ვეღარ იხილავთ იმ სტილს, რომელიც აგრერიგად ამშვენებდა გიორგი შარვაშიძეს, მამია გურიელს, მის ძმას თელემაკს, მერი შარვაშიძეს, ნიკო მუხრანელს, ჯანსუღ და თათარხან დადეშქელიანებს, ბიძინა ჩოლოყაშვილს, ანეტა ანდრონიკაშვილს, მუშნი დადიანს, დათა მიქელაძეს... რა ვიცი, რამდენი ვინმე მყავს მოსაგონარი... გაქრა, წავიდა ჩვენი წინაპრების უმშვენიერესი ყოფიერება. საქართველოს უკანასკნელი ასწლეულის ისტორია ისე წარიმართა, ისეთი ტრაგიკული ამბების მოწმენი შევიქენით, რომ არაერთი ოჯახი გახდა იძულებული საგულდაგულოდ მიევიწყებინა ყოველივე ის ფასეული, რაც წარსულთან აკავშირებდა".

სამწუხაროდ, მწარე სიმართლეს ბრძანებდა დიდი ქალბატონი ბაბო დადიანი, მაგრამ კიდევ უფრო სავალალო და დამაფიქრებელია ის, რომ კომუნისტურმა ეპოქამ აფხაზი ხალხი ისე დაგვაშორა, მეოცე საუკუნის მიწურულს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების დასასრულის საშიშროებაც კი დაგვიდგა.

ქართველსა და აფხაზს გადაულახავი სამტრო და საქიშპო არაფერი აქვთ. ღრმად მწამს, ქართველი ერი საბოლოოდ ღირსეულად გადალახავს აფხაზ ხალხთან დღეს აღმართულ კედელს და ამ ურთულეს გზაზე, უთუოდ, გიორგი შარვაშიძისა და მის თანამოაზრეთა ცხოვრების და მოღვაწეობის პირუთვნელი გაანალიზებით იხელმძღვანელებს. და, აი, მაშინ გაიხსნება ის ჩახერგილი შარა, რომელზეც არა მხოლოდ გიორგი შარვაშიძის, არამედ კონსტანტინე გამსახურდიას **"მთვარის მოტაცების"**, ლეო ქიაჩელის **"ჰაკი აძბას"**, ნიკო ლორთქიფანიძის **"რაინდების"**, გალაქტიონისა და სხვათა გმირები მიმოდიოდნენ და, რომელთაც წინ აკაკი წერეთლის **"გამზრდელის"** ბიბლიური მოსეს მსგავსი ჰაჯი-უსუბი მიუძღოდა.

"ჩვენს სამშობლოს ევერიას დიდი კულტურული განცდა გამოუვლია. მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იღბალის უკუღმართობას ხელი არ შეეშალა, ბევრად ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს; ვინაიდან, როცა ანდრია მოციქული კოლხიბერთა ღვთიური მადლით მოსილ მიწაზე ქრისტეს მცნებას ქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყეებში..."

გიორგი შარვაშიძე,

გაზეთი "საქართველო", 1917 წელი.

"მთავარ ქუჩაზე მოდის ვინმე ცხენოსანი... მეტად მოხდენილი ჯდომა, – თითქოს მბრძანებელია მგრძნობიარე ცხოველის, მაგრამ თითქოს მას ძალას არც კი ატანს, – მარჯვე დაკავება სადავის, ხოლო სრულიად თავისუფალი, – რიტმით მიშვება ცხენის სიარულის, გარნა არც თუ ძარღვებ-დაჭიმულობა მხედარის: – ყოველი, რაც რომ სამხედრო ჯიშს მემკვიდრეობით გადაუცია ადამიანისათვის. გამახსენდა არჩილ ჯორჯაძის სიტყვა: "ქართველი ბელეტრისტისათვის ისიც არის საკმაო, რომ რომელიმე აფხაზის ცხენოსნობა ასწეროსო".

გადმოხტა. გავიცანი: გიორგი შარვაშიძე, შვილი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა. რა შესანიშნავად ადგას ჩოხა! ტანი მაღლად არის აყვანილი სილაღით კიდევ, – თუმცა ეტყობა ექვს ათეულს გადასცილებია. ასეთი მოხდენილი ჩაცმულობა არავიზე მინახავს საქართველოში: აქ იყო ესთეტიკა ოსკარ უაილდის ყელსახვევისა: ქართული ყაიდა ჩაცმულობის მძაფრი სტილით ჩამოკვეთილი: სადა ძალზე და, ამასთანავე, რჩეული მეტად. შეხვედრა რესტორანის ღია ფარდულში, ჩვეული მუსაიფი ნაცნობებში. რაოდენი სიმაღლე და რაოდენი თავაზი. საოცარია მეტად ხმა: ნელი, ტკბილი, მელოდიური, კილოც ლამაზი, უცნაური ჯადოთი გაჟღენთილი, ხანდახან ოდნავი აცეცხლება, – ხოლო არც ისეთი, რომ ღია პათოსში გადავიდეს, სიტყვასა და სიტყვას შუა ნელი ოდნავ ასახული ირონია მეგობრულის ტონით ამახვილებული. პაპიროსს აკეთებს. როგორი თლილი თითები: – მოქნილობა სიბნელეში და სინელე მოძრაობაში..."

ბრიგოლ როგაძიძე.

"გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის ლექსიდან ამონარიდი რამდენიმე სტროფიც კი საოცარი სულიერი სიმტკიცითა და ძალით ჟღერს და გულს გვითრთოლებს. რა ვქნათ, ვიქონიოთ სასოება, რომ "კიდევაც დაიზრდებიან" საქართველოში გიორგი შარვაშიძისთანა მამულიშვილები".

ჭაბუა ამირეჯიბი.

"გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე იყო დიდი აფხაზი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ალექსანდრე დადიანის უფროსი ვაჟი. ქართული ენა მისი მეორე მშობლიური ენა იყო. გიორგი შარვაშიძე ღრმად იცნობდა ძველ და ახალ ქართულ მწერლობას, აფხაზეთის ისტორიასა და ფოლკლორს. 60-იანი (XIX საუკუნის) დასაწყისში თბილისში მეფის ნაცვლის ადიუტანტი იყო. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ ამბოხებულმა აფხაზებმა მთავრად გამოაცხადეს, მაგრამ ამბოხება მალე ჩაახშვეს და გიორგი შარვაშიძე რუსეთში გადაასახლეს. დაბრუნების შემდეგ ძირითადად ქუთაისში ცხოვრობდა. აფხაზეთში ცხოვრების უფლება მხოლოდ 1905 წლიდან მიიღო. გიორგი შარვაშიძის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა XIX საუკუნის საქართველოს, რუსეთის და ევროპის ქვეყნების აზროვნების წიაღში. იგი იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სერგი მესხის, დიმიტრი ერისთავის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის და სხვათა მგზნებარე თანამოაზრე. მათთან ერთად იღვწოდა საერთო ეროვნული მეობის, მშობლიური ენის და კულტურული განვითარებისათვის, ქართველ და აფხაზ ხალხთა ისტორიის ფალსიფიკაციისა და თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის მხილებისათვის".

მე-19 საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მისი ლექსები, პუბლიცისტური წერილები, პოემები და სხვა ნაწარმოებები იბეჭდებოდა ქართულ პრესაში: **"დროება", "ივერია", "სამშობლო", "თეატრი და ცხოვრება"** და სხვა. თავისი შესანიშნავი პიესებით **"მომაკვდავნი სურათნი"** (დაიდგა ქალაქ თბილისში 1881 წელს), **"გიორგი III"** (დაიდგა თბილისში 1915 წელს) და სხვა უკვდავი ნაწარმოებებებით მან ძალზე დიდი ამაგი დასდო ქართული ეროვნული თეატრალური კულტურის განვითარების მამულიშვილურ საქმეს. გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის დიდი სოციალური და ეროვნული ჟღერადობის მქონე შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართველ და აფხაზ ხალხთა ძმობა-მეგობრობის ნათელი გამოხატულებაა.

ამბები საქართველოდან

შეხვედრა სოფელ ჯიღაურაში

მ/წლის გვიან შემოდგომაზე სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბატონო გოჩა დგებუაძე იმყოფებოდა მცხეთის რაიონის სოფელ ჯიღაურაში აგრო – ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრში, სადაც გაეცნო ვაზისა და ხეხილის უახლეს ჯიშებს, მათი გაშენების ტექნოლოგიებს და სენაკის მუნიციპალიტეტში მათი გაშენების პერსპექტივებს. იდეაშია უახლოეს მომავალში სენაკის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ორგანოებში მოეწყოს ვაზისა და ხეხილის თანამედროვე ჯიშების სადემონსტრაციო ნაკვეთები.

სტიქია მარტვილში

2013 წელს ნაადრევად დაზამთრდა ზაფხულის საძოვრებზე. სოფ. კურზუს მოსახლეობის პირუტყვი, დაახლოებით 500-მდე სული მწყემსებთან ერთად მდ. ტეხურის მიღმა დარჩა. ყოველგვარი კონტაქტი გაწყდა მათთან, მწყემსებს უკვე საკვების პრობლემაც ჰქონდათ. საჭირო შეიქნა ადიდებულ მდ. ტეხურზე დროებით საცალფეხო ხიდის გადება. მოსახლეობამ თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგეობას. სულ მალე მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლების მობილიზაცია გამოცხადდა და სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით, მუნიციპალიტეტის გამგეობის, პოლიციის რაიონული სამსახურის ხელმძღვანელებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით რამდენიმე სატვირთო **„ურალის“** თანხლებით ადგილზე ჩავიდნენ და ხის მორებით მოაწყვეს გადასასვლელი ხიდი. მწყემსებს საკვებიც მიეწოდათ და საქონლის გადმოსვლისათვის პირობებიც შეიქმნა. მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლობას უხდის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს გამოჩენილი მამაცობისათვის, რომელიც მათ გამოავლინეს ადიდებულ მდინარეზე ხიდის გადებისას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამსახურის უფროსი, როდესაც ერთ მომენტში ადიდებულ მდინარეშიც გადავარდა, მაგრამ თავისი მოხერხებითა და სამსახურის თანამშრომელთა დახმარებით ასცდა ხიფათს, რომელსაც შეიძლება სავალალო შედეგიც კი მოჰყოლოდა.

იონა მეუნარგიას 161 წლისთავი

ცნობილი საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას 161 წლის იუბილე აღნიშნეს მის მშობლიურ სოფელში. ცაიშის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფიიდან ნარკვევები წაიკითხეს.

იუბილეზე იონა მეუნარგიას ღვაწლსა და საზოგადოებრივ შემოქმედებაზე ისაუბრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ქვარაიამ.

იონა მეუნარგიას საფლავი მოწვეულმა სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის სამსახურისა და სპორტის განვითარების ცენტრის ერთობლივი პროექტით ჯერ კიდევ ნოემბერში დაიწყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ღია პირველობა **„მხიარულ თამაშებში“**. პირველობისათვის ერთმანეთს 32 საჯარო სკოლა გაეჯიბრა. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ.

პირველი ადგილი V საჯარო სკოლამ დაიკავა, მეორეზე რიყის სკოლის აღსაზრდელები გავიდნენ, მესამე ადგილი რუხის სკოლას ერგო, ხოლო მეოთხე ოდიშს.

გამარჯვებულ გუნდებს თასები და მედლები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გიზო სართანიამ გადასცა.

ცოცხალი ბიბლიოთეკა – კულტურული ბაზრობა

ზუგდიდის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ რეაბილიტაციისა და განვითარების ცენტრთან და საქველმოქმედო ცენტრ **„თანაზიარი“**-სთან ერთად განახორციელა ღონისძიება **„ცოცხალი ბიბლიოთეკა – კულტურული ბაზრობა“.**

ზუგდიდის ცენტრალური ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიფინა სხვადასხვა ხელთნაკეთი ნივთები და აქსესუარები, რომელთა ავტორები ცოცხალ წიგნებს განასახიერებდნენ. ნებისმიერ გამვლელს შეეძლო მისვლა და გასაუბრება მათთვის საინტერესო თემებზე.

ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკა პროექტს **„ცოცხალი ბიბლიოთეკა – კულტურული ბაზრობა“** ყოველწლიურად ახორციელებს.

ქართული სამოციქულო დელეგაცია უკრაინაში

2013 წლის შემოდგომის მიწურულს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს ლოცვა-კურთხევით, ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადგომით უკრაინაში იმყოფებოდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დელეგაცია, რომელსაც წარმოადგენდა ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის სამღვდელოება, ეპარქიის მგალეობელ ვაჟთა გუნდი და მრევლი. დელეგაციამ მოინახულა კიევო-პეჩორის ლავრის სიწმინდეები, კიევის მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარი, წმიდა ბარბარეს ტაძარი, პოჩაევოს ლავრა, მართალი ანას წყარო და სხვა წმიდა ადგილები. შედგა ოფიციალური შეხვედრა მიტროპოლიტ ვლადიმირთან და სხვა სასულიერო პირებთან. საქართველოს საელჩოში უკრაინაში, სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება **„გეორგიას“** ინიციატივით ზუგდიდის დელეგაციასა და უკრაინის ქართულ სათვისტომოს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს ელჩი უკრაინაში მიხეილ უკლება, უკრაინაში მოღვაწე ცნობილი ქართველი მწერალი რაულ ჩილავაჩა, გაერთიანება **„გეორგიას“** პრეზიდენტი ბესიკ შამუგია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ქვარაია.

საქართველოს ელჩმა უკრაინაში, ბ-ნმა მიხეილ უკლებამ გამოთქვა სურვილი, მოხდეს ზუგდიდის დამეგობრება უკრაინის ერთ–ერთ ქალაქთან. ელჩი და ზუგდიდის გამგებლის მ. შ. მოადგილე შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე. სტუმრების წინაშე საკონცერტო ნომრებით წარსდგნენ სათვისტომოს ანსამბლი **„იბერიელი“** და ზუგდიდის ანსამბლი **„ოდოია“.** შეხვედრის ბოლოს **„ცოტნე დადიანის დარბაზმა“** და ზუგდიდის განვითარების ფონდმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სრულიად უკრაინის საზოგადოებრივ გაერთიანება **„გეორგიასთან“** გააფორმეს. **„ცოტნე დადიანის დარბაზის“** დამფუძნებლებმა ბესიკ შამუგიასა და რაულ ჩილაჩავას ქართული კულტურის პოპულარიზაციასა და განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, საქართველოს უცხოეთში ღირსეულად წარმოჩენისათვის მადლობის სიგელები გადასცეს. **„ცოტნე დადიანის დარბაზის“** თანადგომისათვის საპატიოს სიგელი გადაეცა მერაბ ქვარაიას.

იმ წარმოშობით თბილისელების, მაგრამ სულით პროვინციალების საყურადღებოდ, ვისაც დავით ნარმანიას „არაძირძველი თბილისური წარმოშობა“ აწუხებს – ტფილისის მერების არასრული სია (XII საუკუნის შუა წლებიდან 1917 წლამდე)

1. მელიქ არწრუნი ვასაკი – XII საუკუნის შუაგული
2. მელიქ არწრუნი ქურთი – XII საუკუნის მეორე ნახევარი
3. მელიქ შადინი – XII საუკუნის მეორე ნახევარი
4. მელიქ ენალი – 1646-1673 წწ
5. მელიქ ბაიანდური – 1650 წლიდან
6. მელიქ ხოჯა ბეიბუდი – 1662 წლამდე
7. მელიქ აშხარბეკი – 1662 წლიდან
8. მელიქ ავთანდილი – 1678-1698 წწ
9. მელიქ ბეიბუდიანი – XVII საუკუნე
10. მელიქ ასლამაზ ბეიბუდიანცი – XVIII საუკუნის პირველი ნახევარი
11. მელიქ გეორგ ბეიბუდიანცი – 1712 წლამდე
12. მელიქ ზურაბ ბეიბუდიანცი – 1712-1734 წწ
13. მელიქ აშხარბეკ ბეიბუდიანცი –1734-1736 წწ
14. მელიქ აღა ბეიბუდიანცი – 1736-1746 წწ
15. მელიქ ანტონ ბეიბუდიანცი – 1746-1751 წწ
16. მელიქ სააკ ბეიბუდიანცი – 1751-1760 წწ
17. მელიქ ავეტიკ ბეიბუდიანცი – 1768-1795 წწ
18. მელიქ დარჩი ბეიბუდიანცი – 1795-1801 წწ
19. ოვანეს იზმირიანცი – 1840-1843 წწ
20. სტეფან ხატისიანცი – 1844-1845 წწ
21. მოვსეს ტერ-გრიგორიანცი – 1845-1846 წწ
22. ოვანეს შადინიანცი – 1847-1848 წწ
23. ტოვმა ფრიდონიანცი – 1848-1849 წწ
24. ზაქარია ამირაგიანცი – 1850-1851 წწ
25. ოვსეფ მირიმანიანცი – 1851-1852 წწ
26. ავეტიკ ასტვაცატრიანი – 1853-1856 წწ
27. სოგომონ სარაჯევი – 1856-1857 წწ
28. ანდრეი მანანოვი – 1857-1858 წწ
29. ვარდან არშაკუნი - 1857 – 1860 წწ
30. სოგომონ აქისოგომიანცი – 1860-1861 წწ
31. სოგომონ მირიმანიანცი – 1861-1862 წწ
32. გევორქ ფრიდონიანცი – 1862-1864 წწ
33. გალუსტ-შერმაზან ვარდანიანცი – 1864-1865 წწ
34. ერემია არწრუნი – 1866-1868 წწ
35. ნიკოგაიოს ალადატიანცი – 1868-1869 წწ
36. დიმიტრი თუმანიანცი – 1869-1870 წწ
37. იაზონ თუმანიანცი – 1870-1874 წწ
38. დიმიტრი ყიფიანი – 1875-1879 წწ
39. ალექსანდრ მატინიანცი – 1879-1891 წწ
40. ნიკოგაიოს არგუტინსკი-დოლგორუკი – 1891-1893 წწ
41. პოღოს იზმაილიანცი – 1893-1895 წწ
42. ნიკოგაიოს არგუტინსკი-დოლგორუკი – 1895-1896 წწ
43. გევორქ ევანგულიანცი – 1897-1901 წწ
44. ალექსანდრ არგუტინსკი-დოლგორუკი – 1902-1903 წწ
45. ნიკოგაიოს არგუტინსკი-დოლგორუკი – 1903-1904 წწ
46. ქრისტოფერ ვერმიშიანცი – 1904-1905 წწ
47. ვასილი ჩერქეზიშვილი – 1907-1909 წწ
48. ალექსანდრ ხატისიანცი – 1910-1917 წწ

როგორც ხედავთ, სანუგეშო არაფერი გვაქვს, რადგან მთელი ამ დროის მანძილზე საქართველოს დედაქალაქს სათავეში ედგნენ სომხები, არაბები, თურქები თუ სხვა გადამთიელები. როცა ლავრენტი ბერია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს, თბილისის ქალაქის თავი სომეხი ეროვნების იშხანოვი გახლდათ. სწორედ ბერიამ აღმოფხვრა ეს მავნე პრაქტიკა და მას შემდეგ, შევარდნაძის “მეორედ მოსვლამდე”, თბილისს სათავეში ედგნენ ეთნიკური ქართველები. 1992 წლიდან კი, როცა ედუარდ უხსენებელი ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა საქართველოში, მან ქალაქის თავად ჯერ ეთნიკურად სომეხი კოტე გაბაშვილი დანიშნა, შემდეგ კი ასევე ეთნიკურად სომეხი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი “ქართლის დედის” ლანძღვა-განქიქებით! ჩვენ ვერც გიგი უგულავას მივაკუთვნებთ გულანთებულ ქართველთა რიგს, რადგან, მან რომ თბილისს ზიანი მიაყენა, ასეთი ზიანი გადამთიელ მომხვდურებსაც კი არ მიუყენებიათ!

ახლა გაჩნდა იმის შანსი, რომ ქალაქს ისევ მენტალურად ქართველი წარუძღვეს და ამას კვლავ გაურკვეველი ეთნიკური წარმომავლობის კორკოტაშვილები და პაპუაშვილები ეწინააღმდეგებიან.

ეს აზრი მტკიცდება ნაწყვეტით ზაზა პაპუაშვილის ინტერვიუდან, რომელიც მან გაზეთ “კვირის პალიტრას” მისცა 2010 წლის 25 ოქტომბერს: “რომ ვუფიძრდები, ჩვენ ეროვნულმა მოძრაობამ დაბვღუპა ყველაფერი მაშინ გაფუჭდა. ბევრი რამ მახსოვს იმდროინდელი: შარდის სუნი რუსთაველზე, რბილი “ლ”, ყმყმეჩური პლაკატები და ლოზუნგები, უნიჭო მმართველობა და გაუტანლობა. აი, ეს იყო ეროვნული მოძრაობა”...

ამის მერე, რა გასაკვირია, რომ კორკოტაშვილ-პაპუაშვილებს არ უყვარდეთ სამეგრელოს წიაღში შობილი და აღზრდილი ჭეშმარიტი მამულიშვილები!

იმ წარმოშობით თბილისელების, მაგრამ სულით პროვინციალების საყურადღებოდ, ვისაც ზოგიერთების „არაძირძველი თბილისური წარმოშობა“ არ მოსწონს, ვაქვეყნებთ – გამოჩენილი ქართველი “არაძირძველი თბილისელების” არასრულ სიას

მიხეილ ჯავახიშვილი – დაბ. სოფელ წერაქვში;
ილია ჭავჭავაძე – დაბ. სოფელ ყვარელში;
აკაკი წერეთელი – დაბ. სოფელ სხვიტორში
ვაჟა-ფშაველა – დაბ. სოფელ ჩარგალში;
კონსტანტინე გამსახურდია – დაბ. სოფელ ძველ აბაშაში;
გალაკტიონ ტაბიძე – დაბ. სოფელ ჭყვიშში;
გიორგი ლეონიძე – დაბ. სოფელ პატარძეულში;
ლადო ასათიანი – დაბ. ქალაქ ქუთაისში;
პაოლო იაშვილი – დაბ. სოფელ გამოღმა არგვეთში;
ტიციან ტაბიძე – დაბ. სოფელ ჭყვიშში;
კოტე მარჯანიშვილი – დაბ. სოფელ ყვარელში;
ზაქარია ფალიაშვილი – დაბ. ქალაქ ქუთაისში;
სესილია თაყაიშვილი – დაბ. ქალაქ ბათუმში;
ვერიკო ანჯაფარიძე – დაბ. ქალაქ ქუთაისში;
სერგო ზაქარიაძე – დაბ. აზერბაიჯანში, ქალაქ ბაქოში;
ეროსი მანჯგალაძე – დაბ. ქალაქ სამტრედიაში;
რევაზ ლაღიძე – დაბ. სოფელ ბაღდათში;
ბიძინა კვერნაძე – დაბ. ქალაქ სიღნაღში;
აკაკი ხორავა – დაბ. სოფელ ოჩხომურში;
ტერენტი გრანელი – დაბ. სოფელ წალენჯიხაში;
ანა კალანდაძე – დაბ. სოფელ ხიდისთავში;
ოტია იოსელიანი – დაბ. სოფელ გვიშტიბში;
ჯანსუღ კახიძე – დაბ. სოფელი ობჩაში;
შალვა ნუცუბიძე – დაბ. ფარცხანაყანებში;
ელენე ახვლედიანი – დაბ. ქალაქ თელავში;
აკაკი შანიძე – დაბ. სოფელ ნოღაში;
სარბის ცაიშვილი – დაბ. სოფელ ცაიშში;

ბოლოთქმა: პროვინცია ადამიანის სულშია დავანებული და არა გეოგრაფიაში.

აღნიშნული მასალები მომზადებულია საქინფორმის მიერ

ნაციონალები სპილოს კვლავ აფრენენ...



არა და არ მოედო ბოლო ქართულ ნაციონალურ სიწმინდეებში ბინძური ხელის ფათურით, ევროატლანტიკური ცინიზმით შენელებული და ამერიკული დემოკრატიის საფანელმოყრილი პოლიტიკური თაღლითობით ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყის დაჩაჩანაკების მოდალატურ მცდელობას.

ამერიკელთა მიერ ოკუპირებულ საქართველოში განა ეროვნული სიამაყის დამცრობის მკაფიო მაგალითი არ არის უცხოეთიდან თავსმოხვეული კოჰაბიტაცია?! ქართველი ხალხი გათავხედებულ ნაციონალთა აღვირახსნილი ძალადობით მოთმინების ზღვართან იყო, რომლის გადალახვის შემთხვევაში ქვეყნის მოსპობის და ერის გადაგვარებად მოვლენილ გაზულუქებულ პარაზიტებს ვერავითარი უცხოელი პატრონი ვეღარ უშველიდა. ამერიკელებს ამის მწარე აბები ჯერ კიდევ კუბიდან აქვთ ნაყლაპი, მაგრამ ჭკუის სასწავლებლად მაინც არ ჰყოფნით.

მსოფლიო საბორდელოდ გადაქცეული კუბა ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის, გახრწნის, გარყვნილობის და ეკონომიკური დაბეჩავების ნათელი მაგალითი იყო. რომელ ეროვნულ სიამაყეზეა ლაპარაკი, როცა გაზულუქებული ამერიკელები თავიანთ ზნედაცვნულობას კუბის კაზინოებში, სასტუმროებში, რესტორნებში და საბარდელოებში იკმაყოფილებდნენ. ეს პროცესები შეუქცევადი რომ ეგონათ, კუბის დირსეულმა მამულიშვილებმა ქვეყანა გამოგლიჯეს ზნედაცვულ, დემოკრატიისნიღბიანი ამერიკული სპრუტის საცეცებს და, ზედ მის ცხვირწინ, ეროვნული სიამაყის გამარჯვებას დღემდე ზეიმობენ.

მთელ მსოფლიოში სამარცხვინოდ ისმის ევროკავშირის კარებთან ქართველ პოლიტიკოსთა ღრეჭა ჩვენს მისაღებად. ქართველებს ვიღაცეები რაღაცას შეპირდებიან, როგორც ბრჭყვიალა სათამაშოსათვის ტირილით გადაფიჩინებულ ბავშვს, ჩამოვლენ საქართველოში და ტელეეთერებში თავიანთ სასაცილო მიღწევათა შიგთავსს ამაყად ჩამოცლიან, რადგან ევროპიდან ჭირვეული ბავშვივით დაყვავებით გამოუშვეს და ჭიტლაყით არ გამოაპანღურეს. ესაც დიდი სტიმულია ევროპის კარზე ისევ მათხოვარივით ასატუზად. არა და, ამ საცოდავ თაგვებს ცაში ლაღად მოსრიალე ჩიტებად კი არა, ღმურებად გადაქცევაც არ აღირსეს მათმა ევროპელმა წამქეზებლებმა. მაინც კმაყოფილები არიან და, როგორც ფარეხში ჩამოკიდებული კატის ჩხავილი მშიერ ცხვრებს, ისე დაგვჩხავიან გაუსაძლის ცხოვრებისაგან შეჭირვებულთ ევროატლანტიკური ლაქუცის ქართველი ხალხის სურვილზე გადაბრალებით.

ამაყი, მომთმენი, კეთილშობილი, სამართლიანი ქართველი ხალხი უცდის გამათხოვრების გზაზე დამდგარ უძღებ შვილთა სიცრუესთან წილნაყარ გაწამაწიას, რომელთაც ავიწყდებათ, რომ ხალხის მოთმინების ფიალა უძირო არ არის.

ევროკავშირია, ნატო, კატო თუ სათენიკა, არ უნდა ეხვეწო მასთან შესვლას, ისე მოაწყე ცხოვრება, იყავი თავმოყვარე და ამაყი, რომ აქეთ გეხვეწონ, ჩვენთან თუ არ შემოხვალ, შენთან მაინც მიგვიღეო. ასეთი სამშობლოს ღირსია კაცობრიობის პატარა მარგალიტი, მისი კეთილშობილება ქართველი ერი.

გამჭრიახი, მოქნილი, პრინციპული, სამშობლოსათვის ყველაფრის შესაწირად მზადმყოფი პოლიტიკოსია საჭირო დღევანდელი უბედურებისაგან თავის დასაღწევად და არა ქვეყნის მაცოცხლებელ ძარღვზე წურბელასავით მიმჯდარი, სიცრუის და ტრაბახის კორიანტელს რომ აყენებს და ტელეშოუზე უკბილო ოხუნჯობით ტრაბახობს.

არა და, რატომ წუნობენ აზიელობას, თუნდაც აფრიკელობას, სადაც ისეთ ღრმა წარსულში დაირწა ცივილიზაციის აკვანი, რომ მის სათავეებთან დღემდე ვერ მიუღწევიათ?! ევროპაში ცხოვრების დონემ, ეკონომიკურმა სიძლიერემ და დემოკრატიამ მიიზიდათ? ასე ფრენა-ფრენით ამოყოფენ თავს ლაპლანდიაში, თუ უკვე იქიდან არ გვირევენ გზა-კვალს.

ევროპელობა რომ მოგვინდომეს, რით არიან ისინი სპარსეთის, ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის, თუნდაც არაბების მიერ კაცობრიობის წინაშე დამსახურებაზე მაღლა? იქნებ ტოლერანტობით და მოყვასისადმი სიყვარულით უსწრებენ აზიელებს?

ადამიანთა მოდგმას დღესაც აშფოთებს საზარელი ინკვიზიციის ბოროტი აჩრდილი, ინდულგენციებით თაღლითობა, რაც არასდროს უკადრია მართლმადიდებლობას. ნურც სამარცხვინო ჯვაროსნულ ლაშქრობებს დაივიწყებენ, ნურც მუსულმან სალადინის რაინდულ საქციელს და ჯვაროსანთა საზარელ, ველურ დაუნდობლობას. ნურც ქრისტეს საფლავის მაძიებელთა მიერ მართლმადიდებელი ქრისტიანობის ციტადელის ხუთჯვრიანი დროშის ფრიალით საზარელ აოხრებებს დაივიწყებენ. ნაციონალების მიერ სახელმწიფო დროშად აღიარებული ამ უბედურების ისევ დატოვება იმის ტოლფასია, ფაშიზმის დამხობის შემდეგ გერმანიაში ისევ სვასტიკიანი დროშებით რომ მოეწონებინათ თავი.

სულმნათი გურამ შარაძე ამ შერცხვენილი დროშისა და ნაციონალთა მუხთლობასთან შეურიგებლობას შეეწირა, რომლის მკვლელობა, გამოძიების ჭოგრიტის ქვეშ, შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად სჩანს.

კოჰაბიტაციით დაშინებული კბილაშვილი წავიდა და დაგვიტოვა ფრთოსანი გამოთქმა: ნაციონალების დროს მომუშავე პროკურორები იმ ხელისუფლების მძევლები იყვნენო. ეს ძალადობის ტყვე ქოსმენივით ნაპატივები პროკურორები მძევლები ყოფილან, მათ მიერ გაუბედურებული უდანაშაულო ადამიანები კი – ამ ხელისუფლების ნებიერნი. ამჟამად ხალხი რწმენით უცდის, რომ კოჰაბიტაციის ჯადო მოხსნილია და ახალი პროკურორი ნაციონალთა მტაცებლის სიფათზე ახლად დაკემსილ ნიღაბს ბოლომდე ჩამოხსნის და მათ სამარცხვინო ნაგავსაყრელის გზას გაუყენებს.

ხალხმა საქართველოს დაქცევა-დაშლის გზაზე მდგარი ნაციონალები ქუთაისში ცოდვიან პარლამენტის შენობასთან ამოაბუქსავა. ახლა, დროდადრო, იუმორით იყუჩებს მუხთალთა მიერ მიყენებულ ტკივილს. ერთი პარლამენტარი ქალბატონი თურმე შეწუხებული ამბობს, ცალი ფეხი თბილისში მაქვს, ცალი კიდევ ქუთაისშიო, რა შესახედავი იქნება ხაშურიდანო. არადა ცოდვით გაპოხილი პარლამენტის შენობიდან გამოსვლას ვერა და ვერ ახერხებენ და ხაშურელებსაც გასართობი არ მოაკლდებათო, ოხუნჯობენ ხალხში. კარგად ახსოვთ, ტუტუცი პრეზიდენტი როგორ სატელევიზიო მთავრობის სხდომებს ატარებდა, მარტო თვითონ ბაქიბუქობით ნაცარს ამტვერებდა და სიცრუის კორიანტელში მჯდარი მთავრობის წევრები პირმოთნე ღიმილით პოსტის შენარჩუნების სურვილს იკმაყოფილებდნენ. ხალხი კი ოხუნჯობს:

ნაცარს მაგრად ამტვერებდი,
სიცრუეს კი კვლავ როშავ,
პარლამენტში გაგილაყდა,
ტყლაპად გექცა პადოშა.

პარლამენტში ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლის დროს ნაციონალთა სამარცხვინო დავდავის მოსმენისას გამახსენდა: ნაციონალების ერთ მინისტრს ჰკითხეს, სპილო დაფრინავსო? მან შეიცხადა, რას ბოდავ, სპილოს ფრენა ვინ გაიგონაო?! აბა, მიშა რომ ამბობს სპილო დაფრინავსო. ჰოოო, მთლად ჩიტივით ვერა, მაგრამ დაბლა-დაბლა კი დაფრინავსო. ამგვარად, მიშას მიერ სპილოს გაფრენას მისი მთავრობის წევრების ხელის ქნევაც უწყობდა ხელს. მის სულელურ გამოსვლას პარლამენტში ოვაციით ხვდებოდნენ და ერთს არ დაბადებია ყოვლად უვნებელი შეკითხვის დასმის სურვილი. ღარიბაშვილს კი ისეთი გაცოფებით აძლევდნენ სამარცხვინო შეკითხვებს, რომ სახეზე ნიღაბი აღარ უჭერდებოდათ და მაყურებელს კოშმარივით ახსენდებოდა ნაციონალთა ბატონობის საზარელი დღეები. არა და, ისე აქვთ გამჯდარი მიშას მუხთლობაზე თავის ქნევა, ძალიან ძნელია მათი დარწმუნება, რომ სპილო არ დაფრინავს.

მთელი წელია რაც ორხელისუფლებიანობას განვიცდით: ახალი მთავრობის სასიკეთო ღონისძიებათა მცდელობა და ნაციონალთა ცოფმორეული დავდავი პროგრესის დასამუხრუჭებლად და უკან დასახევად, უცხოეთში ცრუ დასმენების და მათი პატრონი მაღალჩინოსნების გაავებული თითის ქნევა დემოკრატიის დამველთა ნიღბით... შედეგად გათავხედებული, კოჰაბიტაციის ჯღანით დაცულ ნაციონალთა ხელშეუხებლობა საკუთარ თავზე ვიწვნიეთ.

თავხედობა, მთელი ერის დაცინვა, ქვეყნის ღალატი, სხვა რა უნდა ეწოდოს თავქარიანი მიშას მიერ ათასობით უცხოტომელებზე საქართველოს მოქალაქეობის ასე ფლავივით დარიგებას. ამ პოლიტიკურ გვამად ქცეულმა მეძავმა საქართველოს მოქალაქეობა არ მისცა ბიძინა ივანიშვილს, რომლის ქვეყნისა და ერის წინაშე ღვაწლზე ყველამ კარგად იცის. ასევე უარი უთხრა ღირსეულ ქართველ მამულიშვილს – ალექსანდრე ებრალიძეს, იმ დროს, როდესაც თავქარქაშა მიშა და მისი ხროვა მთელი თავისი ბინძური არსენალის გამოყენებით ებრძოდა ქართულ ინტელიგენციას და მის გადაგვარებას ცდილობდა, პეტერბურგში მცხოვრებმა სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა მამულიშვილმა დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია დააარსა, რომლითაც შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს აჯილდოებდა და ხელი შეუშალა ამ მუხთალთა ხროვას, რომ ქართულ გენში შემოქმედებითი ცეცხლი ჩაქრო და ბინძურ უზნეოთა გარყვნილებას ეზეიმა. გასაკვირი და გამაოგნებელია, რომ **"ნაციონალები"** სასიკეთოდ ამოძრავებულ ცხოვრების ფორანს მიწოლის მაგიერ თვლებში ეჩხირებიან და მიშას მიერ სპილოების გაფრენის ოინბაზობას ახალი ენერგიით უქშევენ ხელს.

ქვეყანა დაქცევამდე მიიყვანეს; მიწები გაყიდეს; საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ომი დაიწყეს; ახლა საქართველოს საბოლოოდ დაქუცმაცების სიმბოლოდ ქცეულ ქუთაისის პარლამენტში სხედან და **"ქართული ოცნების"** ნაკლოვანებების მოგროვილი ჩხრიმლით ტივის შეკვრას ცდილობენ, ქვეყნის დასაქცევად, მეორედ მოსვლისათვის ხალხის ბობოქარ ოკეანედ ქცეული რისხვის გადასაცურად. იმდენი მსხვილ-წვრილი ღალატთან წილნაყარი დანაშაულობანი აქვთ ქვეყანაში გაფანტული, რომ მათი ამოშანთვის გარეშე ნორმალურად განვითარება შეუძლებელია. მცირედი ნამუსი მაინც რომ ჰქონდეთ შერჩენილი, სადმე ბნელ კუთხეში მიჯდებოდნენ და შენდობის ხვეწნა-მუდარით შეაწუხებდნენ მათზე ესოდენ განაწყენებულ ქართველთა მფარველ ღვთაებას. ესენი კი, რაც დრო გადის, უფრო უმატებენ სამსალას თავიანთ გაუკუღმართებულ საქმიანობას. აბა, რისი სტიმულატორია მეოცნებეთა კოჰაბიტაციით დადონდლოებული სახედარი, რომელსაც ევროატლანტიკური ჭინკა გადასჯდომია და ნაციონალთა უკუღმართ კვალზე უპირებს გაჭენებას?!

თურმე, ნაციონალების მიერ პარლამენტის შესახებ კონსტიტუციაში შეტანილ კანონს ვერ ცვლიან; ასევეა პრეზიდენტის უფლებების შესახებ კანონიც. რა, კვლავ მიშას ჯიბის პარლამენტის ნაბოდვარზე გვიხდება სიარული? რადგან დღევანდელი ხელისუფლება კანონმორჩილია, მუხთალთა მიერ დაკანონებული ვერაგობა უნდა მოვითმინოთ?

ერთი გლეხი გულისტკივილით ამბობდა: **"ეს უამრავი პრეზიდენტობის კანდიდატები დაპირებებს თამამად რომ აფრქვევდნენ, რისი იმედით, როცა პრეზიდენტს სხვის მიერ მოწოდებულ ქაღალდზე ხელის მოწერის მეტი უფლება აღარ დაუტოვესო. ჩემი ბიჭიც ეგრეა, რასაც ხელი მოჰკიდა, ჩააოხრა. ახლა უქმად არის, რომ მოვკვდები, სამძიმარზე მოსულებს ხელს მაინც ჩამოართმევსო. კაცო, ის პრეზიდენტი ტუტუცი და მოღალატე რომ იყო, ახლისა რა ბრალია, რბისგან შეშინებულები დოს რატომ უბერავენო. გუბერნატორებია თუ რწმუნებულები, თავისი აპარატით, ზედმეტი რომ არიან, მე ვატყობ და თვითონ რატომ ვერ მიმხვდარან? ეგ შევარდნაძის მოგონილი მეჭეჭი მას სჭირდებოდა, ხალხის რომ ეშინოდა, იმიტომ. ამ ახალ ხელისუფლებას, რომელსაც ხალხის ნდობა და მხარდაჭერა აქვს, რაში სჭირდება მათზე ბიუჯეტის გადაყრა – დღეს ხომ საქართველოს ბიუჯეტის ასე მიშასეული ხელაღებით განიავების ფუფუნების უფლება არა გვაქვს"**-ო.

ხალხს ვერაფრით ვერ მოატყუებ, მან ყველაფერი იცის და თავის დროზე ყველას სათანადოდ მიუზღავს. თუნდაც ნაციონალების მიერ გაპიარებულ სიღნაღზე ხმაური. არაფერს ამბობენ, რატომ დააქციეს სიღნაღის შესასვლელთან მთელი ქიზიყის სიამაყედ აღმართული ამირანის უზარმაზარი ძეგლი. იქვე, საუკეთესოდ კეთილმოწყობილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შენობა, კაცმა არ იცის, ვის მიაყიდეს, რომელმაც დაანგრია და ბეტონის ნარჩენებად აქცია; იქვე, კეთილმოწყობილი საავადმყოფო მიწასთან გაასწორეს; ბიბლიოთეკა, რაიონს რომ ემსახურებოდა, შენობიდან გამოასახლეს და უნიკალური წიგნების ფონდი სარდაფში შეყარეს; სამამულო ომში დაღუპულთა ბრწყინვალე ობელისკი გაანადგურეს, რაიონიდან სამამულო ომში დაღუპული ხუთი ათასი ვაჟკაცის წმიდათაწმიდა ხსოვნის აღსანიშნავად რომ იყო აღმართული. რა უფლებით წყრებიან, როცა ამ საძულველ ნაციონალებს ნეოფაშისტებად მოიხსენიებენ. თვითონ ბერლინში, სადაც ფაშიზმის ამოსაძირკვად ყველაზე მძიმე და დამანგრეველი ბრძოლა გაიმართა, ფაშიზმის საშინელებათა მომსწრე გერმანელი ხალხი ასე სათუთად უვლის და უფრთხილდება საბჭოთა მებრძოლების ძეგლებს.

ნაციონალების მიერ სიღნაღში ჩადენილ დანაშაულობათა პასუხის გარეშე დატოვება ამ ვანდალების წახალისების ტოლფასია; უამრავი მსგავსი დანაშაული აქვთ ჩადენილი ნაციონალებს. რა პირით უნდა მოითხოვო ევროპელობა, სადაც ფაშიზმის წინააღმდეგ დაღუპულთა ხსოვნას ასე სათუთად უფრთხილდებიან, აქ კი ვანდალები მათ მიერ განადგურებულ და სისხლდანთხეულ ადგილზე აშენებულ ცოდვიან შენობაში თავიანთ მუხთლობას არ იშლიან. როგორი ევროპელი ხარ, სად გინდა მიიტანო ამ ნეოფაშისტურ მკბენარებისაგან გაუწმენდავი სხეული?!

საქართველოს გაერთიანება ქუთაისიდან დაიწყო და მისმა ძლიერებამ თავის ზენიტს მიაღწია. უცხოეთის ლაქია ნაციონალები კი მის დაქცევა-დაქუცმაცების ზრახვებს ქუთაისისკენ მიახრიგინებენ. თუმცა დიდი ზიანი მიაყენეს ქვეყანას, მაინც ვერ დააქციეს. ხალხმა **"ქართულ ოცნებას"** დაავალა მათი დანაშაულობების გამოძიება, რომელიც ისედაც თვალნათლივ ტივტივებს.

ვინც ნაციონალების შენარჩუნებაზე თავს იდებს, აუცილებლად უნდა მოეკვეთოს კუდი. ყოველი ნაბიჯი ნაციონალებთან თანამშრომლობის, ოპოზიციად ჩათვლის და ჩაკოჰაბიტაციებით ქართველი ერის ნდობის დაკარგვის ტოლფასია. ესენი სამშობლოს ღალატის კეთრის მატარებლები არიან. სამწუხაროდ, ამ დაავადების ნიშნები სხვებზეც შეინიშნება. ამიტომ, ხალხი ასე დაბეჯითებით მოითხოვს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, რომელიც ქარიშხლის მომასწავებელ გუგუნად გადაიქცევა, თუ მაღალ სკამზე მოკალათებული ზოგიერთი ბღენძი მისი ჩატარების წინააღმდეგ ხრიკების ბლანდვას გააგრძელებს.

გივი სომხიშვილი,
მწერალი, მეცნიერებათა აკადემია
"აია"-ს წევრი,
ქ. სიღნაღი

იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა

ებრაულ ასონიშნებს ჰქვია ფინიკიური (სემიტური ოჯახის წევრია) სახელწოდებანი, მაგრამ განსხვავებით ფინიკიელებისაგან, რომლებმაც თავიანთი დამწერლობა შექმნეს ეგვიპტური იეროგლიფების საფუძველზე და მათი ასონიშნები აშკარად გამოხატავენ ეგვიპტური იეროგლიფების პროტოტიპად გამოყენებას, ეს მსგავსება, თითქმის, აღარ შეინიშნება ებრაულ ასონიშნებში და აშკარად ეტყობა ხელოვნურობა!

აი რამდენიმე ებრაული ასონიშანი:

א (ა) – alep^{h} – ხარი; ב(ბ)-bet^{h} – სახლი; ד (დ) – dalet^{h} – კარი; ו (ვ) ωαω (კავი); י (ი) – jod//jud (ხელი); כ (კ) – K^{h}ap^{h} (ხელისგული); ל (ლ) – lamed (არწივი); מ (მ) – mem – (წყალი); נ (ნ) – nŭn (თევზი); ר (რ) – rëš – (თავი); ש (შ) – šin (კბილი).

ამდენად, არც ებრაული ასონიშნებია წმინდა ასოები! ყველა ისინი ადამიანის გონების ნაყოფია.

რიგითი სათვალავი და რიცხვითი მნიშვნელობა მინიჭებული ასოებით აღნიშნული ბგერებისგან შედგენილ სიტყვებსა და წინადადებებში დაფარულ სულიერ საიდუმლოებათა გახსნის ლინგვისტურ-მათემატიკურ მეთოდს **ჰემატრია** ეწოდება. (ეს ჰემატრისტების განმარტებაა).

რიცხვითი მნიშვნელობებით ტოლძალოვანი სიტყვებისა და ფრაზების მოძიება, დაახლოებით, შეიძლება შევადაროთ ალგებრული და ტრიგონომეტრიული ამოცანების წინასწარ ცნობილი პასუხის მიღებას ცნობილი ხერხებითა და საშუალებებით. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით მუშაობა და გონების ვარჯიში ანვითარებს აზროვნებას, მაგრამ იმაზე მეტი სარგებლობა მოჰქონდეს საზოგადოებისა და თვით ავტორისათვის სულიერ-ზნეობრივი დონის ამაღლებაში, ვიდრე მათემატიკური ამოცანების ამოხსნაა, მეეჭვება, მაგრამ შეიძლება ვცდებოდე და ჭეშმარიტებას ვირწმუნებ მხოლოდ მაშინ, როცა მომეცემა იმდენივე მაინც საფუძველი, როგორც რუსთაველის ცნობილი სიბრძნისა და სიტყვების რაობისა და მნიშვნელობის სულიერი დონის ახსნა მე მოვახერხე.

შეიძლება ვიამაყოთ ჩვენი წინაპრების წარმატებებით სულიერ-ზნეობრივ სფეროში, მაგრამ არამც და არამც არა გვაქვს უფლება ვიტრაბახოთ, რადგან სულიერ-ზნეობრივად ამაღლებულ წინაპართა გენეტიკური მემკვიდრეობა, თუ ჩვენც ვერ შევძელით იმათ დონეზე და უფრო მეტად ამაღლება, რომ სულიერად გამოვკვებოთ და სრულვყოთ გარემომცველი საზოგადოება, აბსოლუტურად ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგვიტანს. ჩვენს უძველეს წინაპართა სულიერ სამყაროში ჩახედვამ კი, შეიძლება, ჩვენი მხოლოდ დაინტერესება გამოიწვიოს. დაინტერესებას, ცხადია, უთუოდ სასარგებლო შედეგის მოტანა შეუძლია, მაგრამ ტრაბახი, მით უმეტეს, შედეგის მიღებამდე, გონებრივი სიმსუბუქის მაჩვენებელია. ასევე, არ შეიძლება ვიტრაბახოთ ჩვენი სალიტერატურო ენის სრულყოფილებით, მიუხედავად იმისა, საამაყო ნამდვილად გვაქვს, რადგან ამან შეიძლება კმაყოფილება გამოიწვიოს, კმაყოფილება და სიმშვიდე კი რეგრესთან ახლოსაა. უნდა ვირწმუნოთ, რომ დაკონსერვებული (იბერიული) კი, მაგრამ განვითარებადასრულებული და აბსოლუტურად სრულყოფილი ენა ბუნებაში არ არსებობს. ამიტომ ჩვენი ვალია, მუდამ ვეცადოთ მის განვითარებას და დაცვას.

ჰემატირისტების აზრით, ამა თუ იმ საკვლევ ენაში თუ აღმოვაჩენთ დადებითი ჟღერადობისა და მნიშვნელობის ფრთოვან სიტყვებს და ფრაზებს, რომელთა რიცხვითი მნიშვნელობა ზუსტად ემთხვევა მანამდე არსებულ, დოგმად და სახელმძღვანელოდ მიღებულ, დიდი ღირებულებების მქონე სიტყვებისა და ფრაზების რიცხვით მნიშვნელობებს, ნიშნავს, რომ ახალმოძიებული სიტყვებიც და ფრაზებიც ზუსტად ისეთივე ღირებულებისაა და ასეთ ენას მიიჩნევენ **„წმინდა ენად“**, ხოლო ამ თეორიის შემქმნელებს წმინდანად.

რა თქმა უნდა, ასეთი მრავალი სიტყვებისა და ფრაზების მოძიება სახალისოა და გონებას ანვითარებს, მაგრამ ამას სულიერ სფეროში ნახტომის გაკეთება შეეძლოს, გაზვიადებულად მეჩვენება, რადგან ბუნებაში არსებობს ურთიერთდაპირისპირებულობის კანონი: ზევით-ქვევით, წინ-უკან, მარჯვნივ-მარცხნივ, კარგი-ცუდი, სიკეთე-ბოროტება, ზოგადად, დადებითი-უარყოფითი და ა.შ. უსასრულოდ, შეიძლება იმდენივე უარყოფი სიტყვებისა და ფრაზების მოძიება, რამდენიც დადებითია. ცხადია, ამ კანონის ძალით, ერთის გარეშე მეორეც ვერ იარსებებდა.

ჩვენი აზრით, ტოლძალოვანი, ფრთოვანი სიტყვებითა და ფრაზებით ტოლი რიცხვითი მნიშვნელობების მქონე ერთი და იგივე ღირებულების აზრის გამოხატვის შესაძლებლობა და სიმრავლე გვაძლევს საფუძველს, ვიმსჯელოთ მხოლოდ ამ ენის განვითარებისა და გამომსახველობითი უნარის დონეზე და არა სულიერ უპირატესობაზე. ცნობილია, რომ დედამიწაზე არსებული ენები, ამ მხრივ, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგ., დღემდე აფრიკაში ცხოვრობს 30 კაცამდე ნახევარველური ტომი, რომელთა საკომუნიკაციო ლექსიკა სულ 50-მდე სიტყვით შემოიფარგლება და, ღვთის ნებითა და წყალობით, დღემდე ცოცხალია იბერიული ენა, რომლის ლექსიკური ფონდი, მამანტი ძაძამიას ბოლოდროინდელი გამოანგარიშებით, პოტენციურად გამოყენებად ფორმებთან ერთად, 1 მილიარდ 400 მილიონ სიტყვას აღემატება.

ბუნებრივია, 33 სამეტყველო ბგერის შემცველი ქართული ენის გამომსახველობითი შესაძლებლობა ებრაულ ენასთან შედარებით, რომლის ლექსიკური ფონდი 22 ბგერით აღიწერება, ბევრად მეტი იქნება და ე.წ. ჰემატრიას ამ ენაში მეტი გაქანება ექნება. ეხლა წარმოვიდგინოთ დღემდე 36 სამეტყველო ბგერის მფლობელი ძველი იბერიული ენა, რომლის ლექსიკური ფონდი პოტენციურად გამოყენებად ფორმებთან ერთად, 1 მილიარდ 400 მილიონს აღემატება, რა შესაძლებლობისა და გაქანების ყოფილა. შესაძლებლობათა ასეთი დიდი განსხვავების მქონე ენების შედარება სამყაროს შესაცნობად და შემოქმედთან დასაახლოებლად, უბრალოდ, უხერხულია.

გარდა ამისა, ყველა სხვა ენებისგან განსხვავებით, როგორც აღვნიშნეთ, იბერიული ენა ფლობს თითო თანხმოვნით გამოხატული სიტყვების წარმოშობისა და მათგან სამეტყველო ბგერების წარმოშობის მექანიზმებს, ამასთან ბუნებაში არსებულ ჰარმონიულ ბგერათა კომპლექსებით გამოხატულ ძირისეულ ფორმებს, რაც უეჭველია, ღვთის ნებისა და მასთან სიახლოვის გამომხატველია. ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ, საენათმეცნიერო საზოგადოების მიერ, ჩვენთვის დაკარგულად მიჩნეულ ენისა და მეტყველების წარმოშობის საიდუმლოებებს. და კიდევ, ჩვენ გვაქვს ხატოვანი დამწერლობიდან ბუნებრივი ტრანსფორმირების შედეგად წარმოშობილი, ულამაზესი, ე.წ. მხედრული დამწერლობა (იხ. ჩვენი „ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“) და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, მართლაც, ღვთიური წმინდა გონების ნაყოფი – ე.წ. ქართული ასომთავრული, რომლებიც ციური სხეულების იდეოგრამას და სახელდებას წარმოადგენენ: (ა) **ან** [(მ)ა(შო) ნ(,)//მაშო წყარი სიცოცხლეში (მესთვის წყარო სიცოცხლისა), იგივე მთვარე, რომლის გარეშე სიცოცხლე არ იქნებოდა დედამიწაზე]; (ბ)– **ბან** [ბ(/,) **ან**(ც), ანუ ბმულია ცაზე (ცამრგვალზე) ზოგადად, ციური სხეული]; (გ) – **გან** [გ(,) **ან**(ც), ანუ აგო ცაში. მიწის ზედაპირს ზევით ცაა]; (დ) – **დონ** [**დ**(ღა) **ო**(რე) (ა)ნ(ც)=დღე არის ცაში];

(ვ) – ვინ [ვ(,ქ) **ი**(„,) (ა)ნ(ც) = ვაება (უსიამოვნება) იქნა ცაში (ატმოსფერული წონასწორობის დარღვევაზე, ნორმაზე მეტ ხანგრძლივ დარზე, თუ ავდარზეა საუბარი, რომლებიც ხშირად შემაწუხებელია და უსიამოვნო გრძნობების გამომწვევი. ატმოსფერული წონასწორობის დარღვევა კი სხვადასხვა დონეზე მდგარი სასწორის პინების იდეოგრამითაა გამოხატული]; (კ) – **კან** [**კ**(,) ან(ც)= =სიმაგრე ცაში. **სიმაგრე ცაში** კი გაკლაქტიკაა და სწორედ მისი იდეოგრამაა გამოყენებული (იხ. ჩვენი **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“**, გვ. 68)] და ა.შ.

ნიჭიერმა ებრაელმა ბრძენებმა, რომ დაერწმუნებინათ ებრაელობა და მთელი მსოფლიო თავიანთ უპირატესობასა და უტყუარობაში, და შეუცდომლობის რწმენა შთაენერგათ საზოგადოებისათვის, სიზუსტის დამადასტურებელი, ასოებისათვის მინიჭებული რიცხობრივი მონაცემები გამოიყენეს, რომელსაც თავიდან სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია) და შექმნეს **„ენათმეცნიერულ“**-მათემატიკური თეორია – ჰემატრია, რომელსაც ენათმეცნიერებასთან და, მით უმეტეს, სულიერ მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ჰემატრიის გარეშე, სულიერი სრულყოფის შემსწავლელი მეთოდი – კაბალა, ჩვენთვის – ქართველებისათვის, უფრო მისაღებია. მაპატიოს ღმერთმა, მაგრამ მისი ნებით მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან და მეტს არა, რომ ჩემში ცუდი თვისებები არ გაზარდოს, ამასაც იძულებით წარმოვადგენ:

ერთადერთი ღმერთი =162= გიჟუა ფედერასტი (რიცხვი **162** მიღებულია აქ მოცემულ სიტყვებში შემავალ ასონიშანთა ანბანთ მწკრივში რიგითი ნომრების შეჯამებით).

მსგავსი მაგალითები მოტანილი მაქვს წერილში **„ფარული წინააღმდეგობებით ჩემი კვლევების ჭეშმარიტება უფრო იკვეთება“**, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ განმეორება დამჭირდეს.

მტკიცებები, რომ სახელში მოშე **შ** ბგერა იმიტომ შედის, რომ ის ღმერთკაცის სახელში **იეშუა** შემავალი ბგერაა; სახელში **შიმონი შ** და **მ** ბგერები იმიტომ შედის, რომ ისინი **იეშუაში** და **მოშეში** შემავალი ბგერებია; სიტყვაში **მაშიახი** (მესია) მ, შ და ხ იმიტომ შედის, რომ ისინი **იეშუაში**, **მოშეში** და **იცხაკში** შემავალი ბგერებია, ვერ გამოდგება იმის დამადასტურებლად, რომ მათ სახელებში **წმინდანების** სახელებში შემავალი **„წმინდა“** ასოები შედიან და არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამ მტკიცებას, იმიტომ, რომ ყველა ამ სახელებში შემავალი ასონიშანი **შ**, თუნდაც, მათი თეორიის თანახმად, საწყისი ბგერის აღმნიშვნელი ნიშანია ებრაული ასონიშანისა – **შინ**, რაც კბილს ნიშნავს და არ შეიძლება ხორცის მჭამელი **კბილი** და მისი იდეოგრამა მზისა და მთვარის იდეოგრამაზე წმინდა იყოს. არც იმაში შეგვიძლია დავეთანხმოთ ებრაელ ბრძენებს, რომ აღნიშნულ სახელებში **„წმინდა“** ასოების არსებობას რაიმე როლი ეთამაშოს ხსენებული ბრძენების ზეკაცებად ჩამოყალიბებაში, რადგან ჩვენს დროშიც ცდილობდნენ ზოგიერთი მშობლები, მათი შვილები დამსავსებოდნენ ცნობილ პერსონებს და ამ მიზნით მათ სახელებს არქმევდნენ, მაგრამ სახელის **ვილენი** შერქმევას არავინ გაუხდია **ვლადიმერ ლენინის** მსგავსი და არც ჩემი მეზობელი **ლესტანბერი** გამხდარა **ლენინ-სტალინ-ბერიას** თვისებების მქონე. ყველა დიდ წმინდანთა და ბრძენთა მოვლენა დედამიწაზე უზენაესი შემოქმედის ნება იყო.

რაბი ამნონა-საბას ასონიშნებში ვკითხულობთ: **„თქვა რაბი ამნონამ: <<თორას ოთხ პირველ სიტყვაში ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ – ბერეშით ბარა ელოკიმ ეთ, ორი პირველი სიტყვა იწყება ასონიშნით ბეთ-ი, ხოლო ორი შემდეგი – ასონიშნით ალეფი>>.** (ასო **ალეფი** გამოითქმება როგორც ბგერა **ა** და როგორც ბგერა **ე**). თქმულია: როცა ჩაიფიქრა ღმერთმა შეექმნა სამყარო, ყველა ასონიშნები იყო დაფარული, და ჯერ კიდევ 2000 წელი სამყაროს შექმნამდე შემოქმედი ათვალიერებდა ასოებს და ერთობოდა მათი>>. (იხ. Михаел Лаитман, ЗОАР, გვ. 284).

კუკური ფიფია,
„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი,
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

სათრეველები “ნაცების” საიტებზე

ᲐᲠᲐ ᲪᲘᲚ ᲡᲬᲐᲛᲝ!

მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბუეზინსკისეული ბრძოლა და ერის დიდი სულიერი მამის უდიერად ხსენება გახშირდა „ნაციონალთა“ საიტებზე.

ნათლის სვეტის წინ თქმული აუგად
სიტყვა არავის შვენის,
თანაც კაცურად ნათქვამს რა უგავს
ხმა – ყეფისა და ღრენის?
რომ არ ეკრძალვი ერის დიდ მამას,
ღვთის შიში არ გაქვს, ნაცო?
გონება ასე რამ დაგიშლამა
ბუეზინსკის ბოთლის საცობს?!
უკანასკნლის დღე პირველი
ხელს არ აძლევს სიწყნარე
და ზის თავის „ცოცხებზე“,
პედოფილებს იწყალებს,
მკვლელს და ჩირქის მომცხებელს.
რომ ექცია „ნაცები“
ნამდვილ არაკაცებად,
დაიწყო გატაცებით
ორდენების გაცემა...
ნაღმი უკვე ბევრი დევს
წინ რომ გვიდევს, იმ ხიდზე,
შინაურ მტერს ერიდე,
საქართველოვ, იფხიზლე!

ᲨᲐᲜᲡᲘ

აბურდვად და აბრუნდებად
უკვე ვეღარ დაბრუნდება
და დრომ რადგან გადახვეტა,
სამომავლოდ ერთ გზას ვხედავ:
საგანგებო ნიშაში და
„სვეტაფორის“ ნიშანშია,
რომ დღეს „დეპო“ ის შანსია,
რაც საკუთრივ მიშასია!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

ᲮᲕᲐᲛᲔᲚ ᲥᲝᲠᲓᲐ

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲡᲘᲖᲘᲜᲐᲡ

ბრელ გინუდალ ომარგალეს
მერეხი დო ჭოროფა,
კოჩ იზიმუ მუშ კუნთხუში
შურ დო გურიშ ყოროფათ...

სქანი დანკი რე ყონიერი
ნერგიშ ენორგუალა,
თოლმურიცხამ ბაღანეფიშ
ბოშკოჩეფო რდუალა...

ქვერსემ-ქვერსემ სპორტსმენეფო
ნოტე არძა ართო მორდას,
ჯგირობუაშ თასუაშენ
სი ღორონთშე ხვამელ ქორდა!

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲙᲨᲐᲠᲐ

ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ-ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲐ

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲘᲚᲘᲐ II** დალოცავს **ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ-ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ლიბერთი ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-248

აზუსტებენ რა მეგრულის ლექსიკას, ავტორები წერენ, რომ მეგრული ენის ლექსიკის გამოწვლილვით შესწავლის საფუძველზე ასაბუთებენ, რომ ამ ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი (98%) ხმამიბაძვით საფუძველზეა წარმოშობილი და რომ ამ ენაში დღემდე შემორჩენილია პირველყოფილი მეტყველების დიდმნიშვნელოვანი კვალი. ეს მაშინ, როდესაც ენათმეცნიერებაში გაბატონებული მოსაზრებით თანამედროვე ენაში ასეთი კვალიც არ არსებობს და ენის წარმოშობის საკითხზე მსჯელობა წყლის ნაყვაა, **„მას ჩვენ ვერასოდეს გავიგებთო“** – ასეთ პირობებში აღნიშნული ავტორები ადასტურებენ, რომ მეგრულს ახასიათებს მსოფლიოს ოთხივე ტიპოლოგიის ენათა ნიშანთვისებები; რომ ეს ენა აგლუტინაციურთან ერთად ძირისეული ენაცაა, ფლექსიური ენაც და ინკორპორაციული ენაც (ცხადია, აგლუტინაციურის დომინანტობით). მეგრულის მონაცემების გამოკვლევისა და ამ მონაცემების სხვა ენების მონაცემებთან შედარებითი ანალიზით ისინი ასაბუთებენ, რომ ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს საგანთა ბუნებითობა, კერძოდ, ხმაბაძვითობა. მიუკერძოებელი სპეციალისტები ამ ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევენ.

2007 წლის ბოლოს გამოვიდა მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიასა და ვლადიმერ ვახანიას შვიდტომეული (თითოეულ ტომში 620-650 გვერდია): **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**, რომლის ავტორები მიუთითებენ, რომ მეგრული ენის ლექსიკა ანუ სიტყვობრივი მარაგი, როგორც აღინიშნა, 100 მილიონზე მეტია, რომლის გამოცემას დასჭირდება 2 ათასზე მეტი ტომი.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აქამდე მეცნიერებს ენის წარმოშობის შესწავლა შეუძლებლად მიაჩნდათ, შვიდტომეულის ავტორები წერენ: **„ენათმეცნიერება დიდი ხანია თვლის, რომ ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა შეუძლებელია. წინამდებარე ნაშრომი ამ პრობლემას წარმატებით წყვეტს“.** ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ სახის ლექსიკონი პირველია ლექსიკოგრაფიის, მთლიანად ენათმეცნიერების ისტორიაში. (მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ვლადიმერ ვახანია, მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა, I, თბ., 2007, გვ. 10.).

ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან, მოსალოდნელია მეგრული ენის არამოსურნე მეცნიერების გალაშქრება მ. და ც. ძაძამიების, ვ. ვახანიას შვიდტომეულში მოცემული დებულებების წინააღმდეგ, **„ჯვაროსნული ლაშქრობა“**, შვიდტომეულის დაგმობა ან ქართველ მეცნიერთა **„მამები“** შეეცდებიან **„ხმა არ ამოიღონ“** და ამით ყოველნაირად დაუჭირონ მხარი შვიდტომეულის წინააღმდეგ მებრძოლებს. მაგრამ კატეგორიულად შეიძლება იმის მტკიცება, რომ მიუხედავად დიდი წინაღობისა, შვიდტომეულის დებულებები ფართო გზას გაიკაფავს მსოფლიო მეცნიერებაში და ეს იქნება ქართველი მკვლევარი. – მეცნიერთა ისტორიული გამარჯვება. **„შვიდტომეულის“** მსოფლიო აღიარებას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. ძაძამიებისა და ვახანიას ზემოთ აღნიშნულ ნაშრომს ქართველ მეცნიერებს შორის **„მოწინააღმდეგეები ყავს“.** მაგრამ ჯერჯერობით ხმას ვერ იღებენ, თუმცა ნაშრომი უკვე საკმაოდ დიდი ხანია რაც გამოვიდა.

მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიას, ვლადიმერ ვახანიას ენათმეცნიერულ ნაშრომებზე შედარებით ფართოდ იმიტომ შევჩერდით, რომ ზოგიერთ მეცნიერს მეგრულ-სვანური ენები არათუ უძველეს, უპირველეს ენებად მიაჩნიათ, არამედ მათ თვლიან სხვა ენის დიალექტად და კილოკავად. როგორც ცნობილია, 2002 წლის მაისში ქ. ქუთაისში გაიმართა ქართველოლოგთა სიმპოზიუმი **(„ქუთაისური საუბრები“)**, რომელშიც მონაწილეობდნენ ენათმეცნიერები, ეთნოგრაფები, ისტორიკოსები, ფოლკლორისტები. სიმპოზიუმის დოკუმენტებს პროფესორი მამანტი ძაძამია უწოდებს **„ქართველური ენების უგულებელყოფის ცდას“**. (მამანტი ძაძამია, ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმის მემორანდუმი ქართველური ენების უგულვებელყოფის ცდა, ჟურ. **„აია“,** 2002, №11, გვ. 32, აგრეთვე იხილეთ მისივე წერილი გაზეთ **„ფარტაზის სამრეკლოში“,** 2002, ოქტომბერი, გვ. 4-5-6.). არ შეიძლება არ ითქვას, რომ სიმპოზიუმის მემორანდუმი მეგრულ, ჭანურ (ლაზურ), სვანურ ენაზე მოლაპარაკე ხალხების ახალი შეურაცხყოფის ცდაა.

სიმპოზიუმის მასალების მიხედვით გამოდის, რომ თითქოსდა არასდროს არსებულა ცალკეული ქართველური ენები – მეგრული, სვანური, როგორც ტომობრივი უმწერლობო ენები, რომ მეგრელები, ჭანები, სვანები, ენობრივი თვალსაზრისით, არ განსხვავდებიან ქართველებისაგან, კახელებისაგან, ტაოელებისაგან, კლარჯებისაგან და ა.შ. არავის გაუგია **„კახური ენა“, „კლარჯული ენა“, „სამცხური ენა“** (მ. ძაძამია) და სხვა.

განა უცნობია, რომ ათასწლეულები არსებობენ ქართველური ენები: მეგრულ-ჭანური (ლაზური), სვანური საკუთარი დიალექტებითა და კილოკავებით.

ნუთუ იმის გამეორებაა საჭირო, რომ ანტიკური პერიოდის ბერძენი სწავლულების ცნობის მიხედვით კოლხებს დამწერლობა უძველესი დროიდან ჰქონიათ. ჰეროდოტე წერდა: **„კოლხებს უძველეს დროში დამწერლობა ჰქონდათ.“** ამასვე ამბობს აპოლონიოს როდოსელიც. პროფ. აკაკი ურუშაძე ამბობს: **„იგი პირველი ცნობაა ქართველურ ტომებში არსებული დამწერლობის შესახებ. (აკაკი ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, გვ. 145-148.)“.**

კარგადაა ცნობილი, რომ ზანურ (კოლხურ), მეგრულ-ჭანურ, სვანურ ენებს ცალკეულ ენად ცნობდნენ (განიხილავდნენ) გამოჩენილი მეცნიერები: ალ. ცაგარელი, ნ. მარი, მ. წერეთელი, გ. წერეთელი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ვ. თოფურია, ი. ყიფშიძე, ს. ხუნდაძე, ვ. ბერიძე, გ. ნებიერიძე, ა. კიზირია და სხვები. აქ უნდა ითქვას: მათ შორის ზოგიერთი ისინიც, რომლებიც უკვე იზიარებენ ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმის მემორანდუმს და ცდილობენ საკუთარი გვარიც კი დამალონ.

ვის რაში სჭირდება ამგვარივე ურთიერთგამაუცხოებელი, მეტიც, ურთიერთდამთრგუნველი, ურთიერთშორის მტრობის ჩამომგდები ღონისძიებების მოფიქრება და რეალიზაცია? – კითხულობს პროფ. მამანტი ძაძამია და პასუხობს: სხვა რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს განსახილველ მემორანდუმს? – არაფერიც, გარდა იმისა, რომ მისი საბოლოო ამოცანაა როგორც ცალკეული ქართველური ენების, ასევე მათი მატარებელი ხალხების გადაშენება, სიკვდილი – ვინაიდან ენის სიკვდილი, როგორც წესი, იმავე ხალხების გაქრობას ნიშნავს. ხაზგასმით ვიმეორებ, ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: **„ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.“**

ამ უცნაური, გაუგებარი დოკუმენტის მხარდამჭერები ამას **„ასაბუთებენ“** იმით, რომ მეგრულის და სვანურის ცალ-ცალ ენობრივ ერთეულებად გამოცხადება საფრთხეს უქმნის ქართველთა ერთიანობას (ვითომ აქამდე არ არსებობდა კოლხური, მეგრულ-სვანური ენები), მათ ვითომ არ იციან, რომ კოლხურ-მეგრულ, ჭანურ (ლაზურ) ენას და კოლხეთს მრავალათასწლოვანი ისტორია აქვს. ზოგიერთს უნდა საქართველოს ისტორია, ქართული დამწერლობა V საუკუნიდან იწყებოდეს. ცნობილია, რომ **„შუშანიკის წამების“** ხელნაწერები მხოლოდ X საუკუნიდან გვაქვს, თუმცა აღნიშნული თხზულება V საუკუნის ძეგლად არის ცნობილი. იმის აღიარება, რომ ქართული დამწერლობა ამ დროიდან – V საუკუნიდან იწყება, არა მარტო უდიდესი დანაშაულია ქართველი ერის წინაშე, არამედ მსოფლიო მეცნიერების წინაშეც და საზოგადოებრივი აზრის აბუჩად აგდების ცდაა.

ყოვლად გაუგებარია, რატომ ებრძვის ასე თავგამოდებით ქართული მეცნიერული ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი მეგრულ ენას და, საერთოდ, კოლხეთის მდიდარ წარსულს? რატომ აღიზიანებთ მათ მეგრული ენა? რატომ ეუცხოვებათ საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხის წარსული? – ამას კითხულობს თავის ნაშრომში ძველი კოლხეთის ისტორიის მკვლევარი გუდუ სოფია და არა მარტო ის, არამედ სამეგრელოს მოსახლეობა, და არა მარტო ის, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა – ამ კითხვაზე პასუხი ვერ გაუციათ! რა არის მიზეზთა მიზეზი?

აკაკი წერეთელი, როგორც ითქვა, მეგრულსა და სვანურში ეძებდა და პოულობდა ქართული სიტყვის ძირებს – რა იყო ამაში ცუდი?

შემთხვევით არ ამბობდა იაკობ გოგებაშვილი, რომ **„ძველი საქართველოს აყვავების ხანაში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს ქართული განათლების საქმის ინიციატივა და ხელმძღვანელობა მთელ საქართველოში სამეგრელოდან მოდიოდა, რადგან სამეგრელოს ჭყონდიდის მიტროპოლიტთან განუყრელად დაკავშირებული იყო საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის მოვალეობა.“**

როგორც ითქვა, მეგრული ენა უდიდეს ცოდნასა და წარსულის ხსოვნას ინახავს, ის უხსოვარი დროიდან მოედინება, მას ახსოვს ბევრი რამ, რაც დღეს დავიწყებულია.

მას შემდეგ, რაც კავკასიის სამხრეთით და ჩრდილოეთით ოსმალეთისა და რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფოები შეიქმნა, კოლხეთის დიდი კულტურული მემკვიდრეობა თანდათან, მარცვალ-მარცვალ იკარგებოდა.

ისტორიკოსი, ლიტერატორი, **“ფაზისი”**-ს აკადემიის აკადემიკოსი, რამოდენიმე სქელტანიანი ნაშრომების ავტორი ომარ ხუხუა წერს: **„ენა, რომელსაც გააჩნია მილიონობით ლექსიკური ერთეული იშვიათობაა. ასეთია მეგრული ენა. სამწუხაროდ, იკარგება ეს ენა და არც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ადარდებს, არც მწერალთა კავშირს, არც განათლებისა და კულტურის სამინისტროებს, არც ხელისუფლებას. ჩვენი ისტორიული მეცნიერება „ქართლის ცხოვრების“ ყალბ გზას მიყვება... საქართველოს ერთი საუკეთესო ნაწილი – სამეგრელო, რომელმაც ყველაფერი შეწირა საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობას, დღეს თავადაა განწირული, მხედველობაში მაქვს მეგრული ენის ბედი. თუ მეგრული ენა შეწყვეტს არსებობას, ამით სამეგრელო შეწყვეტს არსებობას. ბედნიერებაა, რომ ეს ენები ჯერჯერობით ცოცხალია. მეგრული და სვანური ენების გაქრობა ქართულ ენას არაფერში წაადგება, მათი გადარჩენით კი გადარჩება თვითონაც“.** (ომარ ხუხუა, **“ქართული და სვანური – სასიკვდილოდ განწირული ენები”**, გაზ. **„დიოსკურია“,** 2007, ივნისი, №42, გვ. 5.).

ომარ ხუხუა განაგრძობს: ღმერთო მოგვეცი შეძლება, მეგრელ ბავშვებს მეგრული ვასწავლოთ, ქართულთან ერთად, არ დავავიწყოთ თავიანთი კოლხური წარმომავლობა, საქართველოსათვის გავზარდოთ ახალი გუბაზები, ფარნავაზები, აიეტები, მედეანი, ახალი არსაკიძეები, ჭყონდიდელები, ცოტნენი!

...მე მინდა ქართულ ენაზე, კვირაში რამდენიმე საათი მაინც, გადმოიცემოდეს სატელევიზიო საუბრები, რადიო მიმოხილვები, მე მინდა მეგრულ ენაზე იდგმებოდეს პიესები, გამოდიოდნენ ჟურნალ-გაზეთები, ასევე სვანურ ენაზე. მე მსურს არსებობდნენ მეგრული და სვანურენოვანი ეთნოგრაფიული ანსამბლები და მღეროდნენ მეგრული, სვანური მუსიკალური ფოლკლორის მარგალიტებს. და ეს ყოველივე უნდა დაიწყოს ქართული სკოლიდან, ქართული სასწავლო დაწესებულებებიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან, მწერალთა კავშირიდან, პარლამენტიდან. უმაღლესი ხელისუფლებიდან ღირსეულ ერისკაცს, ომარ ხუხუას თავის სტატიაში ყველაფერი სწორად აქვს გადმოცემული, ამიტომ მოვიტანეთ ვრცელი ამონარიდი.

მსოფლიოში ბევრი ეთნოსი და ენა გაქრა. გაყვა ისტორიის უკუღმართ წიაღსვლებს. მაგრამ, მსოფლიოს უპირველესი და უძველესი ენა კვლავ და კვლავ გვიხმობს სიკეთისაკენ, ქართველი ხალხის სრული ჰარმონიისა და ერთიანობისაკენ, ძველი დიდებისაკენ.

კოლხეთი ათასწლეულები ინარჩუნებდა სახელმწიფოებრიობას, მიუხედავად ათასჯერად შემცირებისა (ტერიტორია, მოსახლეობა), შეინარჩუნა თავისი პატარა კუთხე დასავლეთ საქართველოს მცირე ზოლში, ერთიანი საქართველოსათვის მუდმივ ბრძოლაში, პელაზგ-კოლხ-მეგრელებმა ათასწლეულები შეინარჩუნეს ენა. ჩანს ღმერთს ასე უნდოდა. ღმერთმა შეუნარჩუნა კოლხეთს, მსოფლიოს პირველ ქვეყანას, თავისი ენა და ირკვევა – არც ხვალ გაწირავს ამ ენას. გვინდა დაემატოს გენიალური ნათქვამი: **“რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების”.**

ისტორიის თვალსაწიერზე ჩვენს ქვეყანას თუ მეტჯერ არა, ორჯერ მაინც ჰქონდა ყველაზე დიდი რენესანსის ხანა. პირველად აიეტის მეფობის დროს, მეორედ თამარის მეფობის პერიოდში. უთუოდ იყო მესამე, მეოთხე ხანაც? უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს გაერთიანება – დიდი დავით აღმაშენებლის გმირობა. ეს უთუოდ მესამე უდიდესი რენესანსი იყო.

საქართველოს უდიდესი და უბრწყინვალესი მეფე დავით აღმაშენებელი თბილისის განთავისუფლების შემდეგ მალე გარდაიცვალა და ვერ მოასწრო თავისი ახალი დიდი გეგმების განხორციელება. იყო სხვა, ახალი რენესანსებიც, უდიდესი წარმატებები.

ვინ გამოიკვლია ბოლომდე კოლხეთის ისტორია? ვინ ჩასდია ძირისძირამდე კოლხურ ტომების ნაკვალევს? – კითხულობს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მკვლევარი. – არავინ. მართალია, კოლხეთის ძველ და ახალ ისტორიაზე ცნობილ ქართველ მეცნიერებს მრავალი შრომა აქვთ გამოქვეყნებული, მაგრამ კოლხეთის ისტორია ფუნდამენტალურად არავის გამოუკვლევია, **„ძირისძირამდე“** არავის შეუსწავლია, კოლხეთის უძველესი, ძველ და ახალ ისტორიაზე ერთიანი მეცნიერული ნაკვლევი, ნაშრომი არ შექმნილა. ამის პრეტენზია ოდნავადაც არა აქვს ამ წინამდებარე ნაშრომის ავტორს, ღმერთმა დამიფაროს ასეთი უტოპიური პრეტენზიისაგან – ეს ნაშრომი არის კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხის მოკლე პუბლიცისტური მიმოხილვა, რომელშიც მთელი რიგი მიზეზების გამო დაცული არ არის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, არის გამეორებები, რისთვისაც კვლავ ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე.

რუსეთის ერთ-ერთი სკანდალური ინტერნეტ-გამოცემა **„კომპრომატრუ“** (რომელსაც თავად რუსები არ სცემენ პატივს) აქვეყნებს კომპრომატებს, განსაკუთრებით საქართველოს წინააღმდეგ – ცილისმწამებლურ მასალებს. ერთ-ერთ თავის მიმოხილვაში აღნიშნავს: **„ეთნოგრაფების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მეგრელები არიან კოლხეთის ავტოქტონური მოსახლეობის შთამომავლები... მეგრელები თავს მიიჩნევენ არა მხოლოდ საქართველოს უძველეს ადგილობრივ მოსახლეობად, არა მხოლოდ ლეგენდარული კოლხების შთამომავლებად, არამედ ყველაზე „სუფთა“ ერად – არასდროს იყვნენ დაპყრობილნი თურქების ან სხვა ერების მიერ, არ ქორწინდებოდნენ უცხოტომელებთან. ქართველებს არ უყვართ მეგრელები, რადგან შურთ მათი ზნეობა, კულტურა და მშვენიერი მიწა... მეგრელები ქართველები გახდნენ სტალინის დროს, 1926 წელს მოსახლეობის აღწერისას, იქამდე მათ დამოუკიდებელ ეთნოსად მიიჩნევდნენ“.** ეს ავადსახსენებელი ინტერნეტ საიტი **„კომპრომატრუ“** არ ღალატობს თავის ჩვევებს, ჯერ აქებს სამეგრელოს, მეგრელების წარსულს, შემდეგ კი ამბობს: მეგრელებმა სამამულო ომში ცუდად გამოიჩინეს თავიო. ეს ცილისწამებაა.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲔᲜᲐ ᲚᲐᲖᲐᲠᲔ

– იოანე-ზოსიმეს მიხედვით **“ამას ენასა სახარებასა შინა ლაზარე ქვია”**, თუმცა დღეს ჩვენ არ ვიცნობთ ენას რომელსაც **“ლაზარე”** ეწოდება, მაგრამ იქნებ იოანე-ზოსიმეს გააჩნდა ცნობა ასეთი სახელწოდებიანი ენის რეალურად არსებობის შესახებ?

–**”ლა”** თავსართი მეტყველების აღმნიშვნელ ქართველურ სიტყვებში საკმაოდ მოგვეპოვება: **“ლაპარაკი”, “ლაზღანდარი”, “ლანძღვა”, “ლაყაფი”, “ლარჯგვალი”** **“ჟ”=”ზ”-”ძღ”=”ზღ”**-ძირი ქართველურ ენებში ხშირად მეტყველების აღმნიშვნელია: **”მოძღვრება”,“ძიძღინი”,“ძღაძღალი”,“ძრახვა”=”ზრახვა”, “ზღაპარი”, “ძახილი”,”ძირგინუა”, “ძაძგალი”, “ძვაბალი”** და ა.შ. ბოლოსართ **“არე”**,რომელიც ასევე იკვეცება **“ე”** დაბოლოვებად, გვხვდება სიტყვებში: **“მოლაზღანდარე”, “მდუმარე”, “მჯმუნვარე”, “მწუხარე”,“მქუხარე”,“მოლაპარაკე”,“მორაგადე”** და ა.შ. ამდენად სავარაუდოა რომ ერთერთ ქართველურ ენას მართლაც ერქვა **“ლაზარე”**, რომლის სახელმაც ჩვენამდე **“ლაზღანდარის”** ფორმით მოაღწია,საწყისი ფორმა კი იყო **“ლაძღარე”=”ლაზღარე”**. იოანე-ზოსიმეს მიხედვით ეს ენა **“ახალმა ნინომ”** და ჰელენე დედოფალმა მოაქციეს – ნინოს **“ახალი”** იმიტომ უწოდა, რომ **“ძველი ნინო”** წარმართულ დედაღვთაებას გულისხმობდა,**“ენის მოქცევა”** კი გულისხმობს მის რეფორმას ქრისტიანული რელიგიისათვის განკუთვნილი ტერმინოლოგიითა და გრამატიკული ფორმებით. ამდენად **“მოქცეული ენა”** უნდა ჩამოყალიბებულიყო **“დაწუნებული ენის”** ბაზაზე.

– ქრისტიანობას არაერთ სხვა ქვეყანაშიც მიეძღვნა **“ახალი ენა”** და დამწერლობაც,მაგალითად სლავიანური ენაც და დამწერლობაც ეკლესიის წიაღში შეიქმნა და კირილიცას მეორენაირად ბულგარულ საეკლესიო დამწერლობასაც ეძახიან. ნეოლათინური და გერმანიკული ენებიც ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდნენ: მაგალითად გოთური ალფაბეტი მათმა პირველმა პატრიარქმა შექმნა – აღსანიშნავია რომ გოთებმა თითქმის მთელი ევროპა დაიპყრეს და დღევანდელი ევროპის სახელმწიფოები გოთური სამეფოების საფუძველზეა წარმოქმნილი. სომხური და ალბანური დამწერლობებიც ქრისტიანობის გამოცხადების შემდეგ შექმნეს. ქრისტიანობასთან ერთად ჩამოყალიბდა ეთიოპური დამწერლობაც. ანალოგიურად ძველქართული ენაც ჩამოყალიბდა ქრისტიანობის გამოცხადების შემდეგ ზანური ენის ბაზაზე, რომელიც ამ პერიოდისთვის იყო ეგერიელთა,იბერთა და ალბანელთა სამეტყველო ენა. ასევე შემუშავებულ იქნა ასომთავრული ანბანი უძველესი ქალდეური (გნებავთ პელაზგური) ასონიშნების მოდერაციის შედეგად. თავის დროზე ივანე ჯავახიშვილი ასეთ ვარაუდსაც გამოთქვამდა: **“ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველ ჰყოფს,რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურ,ან სვანურ შტოს”**. ქართული ენის შექმნა ქრისტიანობის გამოცხადებისთანავე უნდა დაწყებულიყო, რომელშიც დიდი წვლილი უნდა შეეტანათ იოანე ლაზს და ბაკურ დიდს, თუმცა სახალხო ენად ის მოკლე დროში ვერ დამკვიდრდებოდა, რაზეც მიგვითითებს VI საუკუნის ბიზანტიელი აგათია სქოლასტიკოსის ცნობა: **“ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის თუკი ის გაეცნობა ფაზისის,კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას”** – ესე იგი VI საუკუნეში კავკასიაშიც და მის ირგვლივაც ლაზები, ანუ ზანურენოვანი (მეგრულენოვანი) ხალხი სახლობდა.

– ქართული დედაენის სახელმძღვანელოს შემდგენელი იაკობ გოგებაშვილი მართებულად აღნიშნავდა: **“მეგრელები დიდ პატივს სცემენ ქართულს, რადგან ის საეკლესიო-საღვთისმეტყველო ენად მიაჩნიათო”**. დიახ – მეგრელებს დღემდე ახსოვთ, რომ ქართული ენა სწორედ საეკლესიო-სამწერლობო ენად შეიქმნა და ეს რომ მართლაც ასეა ამის გადასამოწმებლად განვიხილოთ რამდენიმე სიტყვა: თავად ტერმინი **“სიტყვა”** ძველქართულად არის **“სიტყუაი”-”სიტყუა”** (მეგრულში ღემდე ასეა) – **“სი”** თავსართია, ძირად გვრჩება **“ტყუა”**. **“თქვა”** მეგრულად არის **“თქუ”**, ასე იყო ძველქართულშიც – **“უ”** ასოს ქართულ ენაში ბევრგან ჩაენაცვლა **“ვ”** ასო **(“ქვა”-”ქუა”)**. სიტყვების წარმოთქმას ქვია **“მე’ტყვ’ელება”;** აქაც ძირია **“ტყვ-ტყუ”**. ძველქართულ ენაში არსებობდა ყრუ-ხორხისმიერი **“ყ”**(ę), ანუ ნახევარი **“ყ”**, რომელიც ემსგავსება **“ჭ”** თანხმოვანს; მეგრულში ეს ნახევარი **“ყ”** დღემდე არსებობს. ამგვარი **“ყ”** ასოთი იწყება სიტყვა **“ყინტი”-”კრინტი”**(ხმა-კრინტი), **“ყია”-”ყორყელი(ხორხი)”-”ყელი”-”ყორყოტი”-”ყანყრატო”** – ანუ სახმო აპარატი; აქედანვეა სიტყვები: **“ყვირილი”,“ყიჟინა”,“ყიონი”-”ყივილი”,“ყურაფი-ყმუილი”.**

– სიტყვა **“ყუდე”** მეგრულად ნიშნავს სახლს და აქედანაა ნაწარმოები სიტყვები: **“საყდარი”-”საყუდარი”** (შეადარეთ სახლი-სასახლე). აქედან სიტყვა **“დაყუდება”**. **“ყუდედან”** უნდა იყოს სიტყვა **“ბუდეც”**, რადგან მეგრულად **“ყუჩუა-ყურჩუა”** ნიშნავს დაბუდებას, აქედან კი სიტყვა **“მოყუჩება”-”გაყუჩება”** და **“მყუდრო”** (ძველქართულად **“ყუდრო”**).

– ზანურად და ძველქართულად **“ზღვა” არის “ზღუა”,აქედან სიტყვები: “საზღუარი” – ”საზღვარი”, “ზღუდე”, “ზღურბლი”.**

– ქართული სიტყვა **“წყალი”** არის მეგრული **“წყარი”**-ს, იგივე **“წყუ”**-ს სახეცვლილი ფორმა; ქართულში თავიდანვე რომ **“წყალი”** ყოფილიყო სიტყვა **“წყურვილი”** იქნებოდა **“წყულვილი”, “წყარო” კი** იქნებოდა **“წყალო”**. დასავლეთ იმერულ დიალექტში ცხელი და ცივი წყლის გაზავებას ქვია **“აწყორვა”**. აქვე უნდა გავიხსენოთ ტოპონიმები **“აწყური” და “ტაბაწყური” – ეს უკანასკნელი მდებარეობს ტბასთან – “ტაბა” იგივეა რაც მეგრული “ტობა” (ტბა) – ეს “ტაბა” არც მთლად “ტობაა” და არც მთლად “ტბა”**-ესაა გარდამავალი ფორმა,იმ გარდამავალი მეტყველების,როცა ხდებოდა მეგრულიდან ქართულზე გადასვლა.

– მეგრულში სიტყვა **“სული”** აღინიშნება სიტყვით **“შური”** – აქ ძირია **“შუ”** – აქედან სიტყვა **“სამშუინველი”**; ძველქართული სიტყვა **“იშუა”** (იშვა-დაიბადა) ნიშნავს სული ჩაედგას. იესოს ძველქართული სახელი **“იესუ”** და არამეული **“იეშუა”** ნიშნავს განსხეულებულ (სხეულში სულდგმულ) ღმერთს.

–სიტყვა **“გოლიათი”** ზოგს ებრაული სიტყვა გონია, სინამდვილეში ის არის ებრაულში პალესტინურ-პელაზგურიდან, იგივე ქალდეურიდან შესული ზანიზმი – **“გოლიათი”** ხომ პალესტინელების ლიდერს ერქვა. **“გოლა”** მთას ნიშნავს მეგრულად, **“გოლიათი”** კი მთაკაცს. ამავედროს **“გოლა”** პალესტინურადაც მთას უნდა რქმეოდა – არამეული სიტყვა **“გოლგოთა” – “გოლგოთა”** განიმარტება როგორც **“თავისქალის მთა”.**

– მეგრული სიტყვა **“ქვარა”** ნიშნავს მუცელს და ამავე დროს მუცლიანი ჭურჭლის სიღრუესაც, მაგალითად დოქის **“ქვარა”,** თავად დოქს და ქვაბსაც მეგრულად ამასთანავე ეწოდება **“ქვარქვათანა”;** აქედან კი სიტყვები **“ქვაბი”,“ქვიჯა”,“გამოქვაბული”** (აქედან გამოქვაბულების სახელები: ქვილიშარი, ქვაჯი, ქვაბჩარი) და ალბად **“ქვირითიც”**, რადგან ქვირითს სწორედ თევზის მუცელში (ქვარაში) პოულობდნენ.

– ქართული სიტყვა **“თვალი”** ძველქართულად იყო **“თუალი”,** რაც ნაწრმოებია მეგრული სიტყვიდან **“თოლი”** – ეს ფორმა შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც. მეგრულად თვალს აგრეთვე ქვია **“ჭურია”, “ჭურჭული”** კი ნიშნავს თვალის გუგას; აქედან უნდა იყო სიტყვა **“ჭურეტა-ჭვრეტა”; “ჭვიტინი-ჭვრიტინი”, “ჭუჭრუტანა”, “დახუჭვა”, “მოჭუტვა”, “დაჭყეტვა”, “ჭიტა”...**

– ქართული სიტყვის **“დათხოვნას”** ძირი არ გახლავს სიტყვა **“თხოვნა”**; მეგრულად **“დათხინაფა” – ”დათხიება” – ”თხიება” – ”დათხია”** ნიშნავს ჩამოშორებას, მოცილებას; **“დუმეთხი!”** ნიშნავს მომშორდის – თავი დამანებეს.

– მეგრული სიტყვა **“ონტება”** ნიშნავს გაქცევას – ძველქართულში იყო სიტყვა **“ოტება”,** რაც ასევე ნიშნავდა გაქცევას; მეგრული **“ინტუ”** ნიშნავ **“იოტნას”-”განილტვოდას”; “გოტება”** ნიშნავს **“გაშვებას”;** აქედან უნდა იყოს სიტყვები **“(და)ტოვება”, “(გან)ლტოლვა”, “განტევება”**

– სიტყვა **“ჩალა”** და **“ჩალირი”** მეგრულად ნიშნავს მხდალ და გონებაჩლუნგ ადამიანს – აქედანაა სიტყვა **“ლაჩარი”**: **“არი”** ბოლოსართია,**„ლა„** თავსართი,ძირი გამოდის **“ჩ”**. აქედან სიტყვები **“ჩალა”, “ჩაჩანაკი”** (ჩუთუ), **„ჩამიჩი„.**

– მეგრულში არის ერთ ასოიანი სიტყვა **“გ”**-გავს; **“გუალო”** არის **“მსგავსი-მაგვარი”** – იტალიურში **“უგვალე”,** ფრანგულში **“ეგალ”**, გერმანულად **“გლაიხ”** ნიშნავს მსგავსს – იგივეს.

ბაკურ მორგოშია

საფრთხე! – ისტორიული ძეგლები სტატუსს კარგავენ!

“კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” კანონში დაგეგმილი ცვლილებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა მარტივდება. კულტურის სამინისტროს განმარტებით, სტატუსის მოხსნა **“საზოგადოებრივი მნიშვნელობის გარკვეულ შემთხვევაში”** მოხდება. არასამთავრობო სექტორის ნაწილი ამ გადაწყვეტილების მიმართ პროტესტს გამოთქვამს და ფიქრობს,რომ დაგეგმილმა ცვლილებებმა შესაძლოა, ჩვენს ძეგლებს ისტორიული წარსული დაუკარგოს. გარდა ამისა, არასამთავროები მოითხოვენ დაზუსტდეს, რა იგულისხმება **“საზოგადოებრივი მნიშვნელობის გარკვეულ შემთხვევაში”** და სასწრაფოდ მოხდეს ამ მცნების გასაჯაროება.

დაგეგმილი ცვლილების საწინააღმდეგოდ უკვე მომზადდა პეტიციაც,რომელზეც ხელს 12 არასამთავრობო ორგანიზაცია და 500-ზე მეტი ფიზიკური პირი აწერს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონპროექტის პარლამენტში განხილვა რეგლამენტის წესის დარღვევით მოხდა,– განათლებისა და კულტურის კომიტეტმა კანონპროექტი მისი მიღებიდან მესამე დღეს განიხილა. ამასთან,სხდომის შესახებ ინფორმაცია სხდომის დაწყებიდან ერთი საათით ადრე გამოქვეყნდა.

გაზეთი დაინტერესდა, რეალურად რა საფრთხის წინაშე დგას ისტორიული ძეგლები.

კახა კოჟორიძე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე: ეს ზოგადი ტერმინები კონკრეტულ შემთხვევაში როგორ განიმარტება, ესაა სარისკო. ანუ ჩვენ არ ვიცით, ამ ტერმინებში რა შინაარსს ჩადებს ვინმე და სწორედ რისკის შემცველი იქნება ის, რომ **“სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, თუ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში”,** ვინმემ ჩათვალოს რამე ისეთი, რაც კულტურის ძეგლის სტატუსის მოსახსნელად არ იყოს საკმარისი დასაბუთება და არგუმენტაცია. გარდა ამისა, პარლამენტი ამ კანონპროექტის განხილვისას არ იცავს რეგლამენტს. პირველი – მიუხედავად რეგლამენტისა, რომ შეტანიდან სამი დღის ვადაში არ მოხდეს კანონპროექტის განხილვა, მათ მაინც დაიწყეს და ეს სამი დღე არ დაუტოვეს დაინტერესებულ საზოგადოებას, გამოეთქვათ პროტესტი და ზოგადად საკუთარ აზრი. მეორე – დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა, საერთოდ არც კი გამოაქვეყნა დღის წესრიგში, რომ ეს კანონპროექტი იხილებოდა. ასევე დამაფიქრებელი და გაურკვეველია მინისტრის განცხადება,რომ მართალია კანონში ხარვეზებია, თუმცა ამას პარლამენტი ჩამოქნის. ჩემთვის გაუგებარია,რას ნიშნავს ეს. თუ ხარვეზებია მინისტრის პირდაპირი მოვალეობაა, რომ თქვას ეს. და საერთოდ, სახელმწიფოს ვალდებულებაა კულტურული მემკვიდრეობა დაიცვას.

ალეკო ელისაშვილი, “ტფილისის ჰამქრის” ხელმძღვანელი: ის,რომ კანონში შევიდეს ცვლილება და გაურკვეველი მიზეზით მოხდეს ძეგლზე სტატუსის მოხსნა, ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი. სახელმწიფო ფაქტობრივად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მოვლა-პატრონობას დეკლარირებულად თვლის და აღარ აღიარებს. ამიტომ მინდა სახელმწიფოს მივმართო, რომ დაფიქრდნენ და ასეთი ნაბიჯი არ გადადგან, რადგან კულტურული მემკვიდრეობა არის დიდი საგანძური და ამას აუცილებლად უნდა გავუფრთხილდეთ.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი: ეს არის ძალიან არაგონივრული გადაწყვეტილება, ეს არის სააკაშვილის პოლიტიკის გაგრძელება, როცა კულტურული მემკვიდრეობა აბუჩად იყო აგდებული და დღესაც იგივე ინერცია გრძელდება. გარდა ამისა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს კულტურის სამინისტროს პრეროგატივაში ძალიან ცუდად იჭრება ეკონომიკის სამინისტრო. გავიხსენოთ თუნდაც ე.წ. **“იმელი”**-ს შენობა, რაც მის ირგვლივ მოხდა, იგივეს გამეორებას აპირებს დღეს კულტურის სამინისტრო. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი და ჩვენ ვთხოვთ, მოვუწოდებთ მთავრობას, არ დაამტკიცოს ეს ცვლილება.

პეტიციას ხელმომწერები მოითხოვენ, ეკონომიკის სამინისტრომ განუმარტოს საზოგადოებას, რა იგულისხმება განმარტებით ბარათში აღნიშნული **“საზოგადოებრივი მნიშვნელობის გარკვეულ შემთხვევაში”.** თუმცა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ამ დრომდე ოფიციალური კომენტარი არ გააკეთებულა.

კონომიკის სამინისტროს მიერ პარლამენტში ინიცირებული პროექტის თანახმად კი, ძეგლისთვის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებულ მუხლს ემატება ნორმა, რომლის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობის არსებობისას, მთავრობის განკარგულებით ძეგლისთვის სტატუსის მოხსნა დასაშვები ხდება. გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული.

ამავე პროექტის გათვალისწინებით, **“განსაკუთრებულ შემთხვევებში”** ძეგლისთვის სტატუსის მოხსნის შესაძლებლობა არ ვრცელდება ეროვნული კატეგორიისა და მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ძეგლებზე.

ნ. ოსანაძე

პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს

დასაწყისი – "ილორი" №№238-248

სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს.
ბალზაკი

ჭეშმარიტება არ იჩაგრება იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს.
შილერი

მეც გულწრფელად ვწუხვარ, ბატონო ჯემალ, იმასთან დაკავშირებით, რომ გალის რაიონში მოსახლეობას ეკრძალება მშობლიურ ენაზე სწავლა და აუტანელი ეროვნული დამცირების პირობებში უწევს არსებობა. ეს ჩვენი საერთო უბედურებაა, რომელიც სწორედაც ძალისმიერმა დაპირისპირებამ, უგუნურმა პოლიტიკამ მოგვიტანა – ეს ახალი არ არის, მაგრამ ასე განსაკუთრებულად **„შეშფოთებული“** ადრე არ მინახიხარ. მხოლოდ ერთხელ წამოგცდათ ჩემთან, რომ ენგურს გაღმა ჩვენს მოსახლეობას უსწორდებიან როგორც ქართველებს, ხოლო ენგურის გამოღმა როგორც – არაქართველებს! ეს თქვენი სიტყვებია, მაგრამ ასეთი პოზიცია თქვენ ოფიციალურად არსად დაგიფიქსირებიათ. რატომ?! რატომ დუმდით?! მაშ, დღეს რამ **„აგიჩუყათ“** გული გალის პედაგოგებისა და მოსწავლეების აუტანელი მდგომარეობის გამო?

– სად იყავით მაშინ, როდესაც მე ფეხდაფეხ მოვიარე გალის რაიონის ზღვისპირა და ენგურს განაპირა სოფლები, ვხვდებოდი ადგილობრივ მოსახლეობას, ვაცნობდი მათ სკოლებისა და ოტობაიის ამბულატორიის აღდგენის, გალში რეგიონური თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სამედიცინო ცენტრის შექმნის, გალის რაიონის ინფრასტრუქტურის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების გეგმას?

– სად იყავით მაშინ, როდესაც ხელჩართული ბრძოლა მქონდა უმაღლეს საბჭოსა და მთავრობაში ამ პროექტების დაფინანსების შესახებ, ქვეყნის დარგობრივ სამინისტოებსა და საპარლამენტო კომისიებში ვეძებდი მხარდაჭერას?

– სად იყავით მაშინ, როდესაც ვამუშავებდი აღნიშულ პროექტებს და ვაგზავნიდი, ქვეყნის სათანადო უწყებების ხელშეწყობით, ევროკომისიაში, რომელმაც მოიწონა და, რომ არა 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი, ისინი რეალიზებული იქნებოდნენ?

– სად იყავით მაშინ, როდესაც მიდიოდა ოტობაიის საუბნო ამბულატორიის აღდგენა, მისი აღჭურვა თანამედროვე საოფისე ავეჯით, სტომატოლოგიური კაბინეტით, სამედიცინო ხელსაწყოებითა და დანადგარებით, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანით და ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროში ვაგვარებდი ჩვენი ოტობაიისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების იმ პროგრამის გათვალისწინებას, რომელიც დღემდე ემსახურება მის და მიმდებარე 7-8 სოფლის მოსახლეობას? ამ საკითხში ჩემს გვერდით იდგა მხოლოდ აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი, ქალბატონი დალილა ხორავა. ხოლო თქვენი მხარდაჭერა, თუნდაც ერთი კეთილი სიტყვით, მე არ მახსოვს!

როგორ მჭირდებოდა მაშინ თქვენი თანადგომა... რომ გალის რაიონი, მისი პრობლემებით, პრიორიტეტულ მიმართულებებში ჩართულიყო, ისევე, როგორც ქვემო სვანეთი, ანდა ანაკლია? მაგრამ მაშინ ჩვენი სოფლებისა და გალის მოსახლეობის ავბედითობაზე ფიქრისთვის თქვენ სად გეცალათ, იმ **„მოძღვრების“** თეორიულ უზრუნველყოფაზე მუშაობდით, რომელ თემებს დაედებოდა ტაბუ, რისი თქმა შეიძლება და რისი – არა.

მესმის თქვენი, რომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება!

იმაშიც გეთანხმებით, რომ არასასიამოვნოა (ძალზედ მტკივნეულია!) საუბარი იმაზე, თუ როგორ აუპატიურებდნენ **„მხედრიონელები“** ოჯახის დედებსა და ქალიშვილებს მამების, მეუღლეებისა და ძმების თვალწინ; ამაზე საუბარიც არაადამიანურია!

– არ შეიძლება (საშინელებაა!) საუბარი იმაზე, თუ როგორ ასალმებდნენ სიცოცხლეს ორსულ ქალს და ჭრიდნენ მას, რომ გაეგოთ – ნაყოფი ბიჭია თუ გოგო?!

– თქვენი მოსაზრებით, შეიძლება საუბარი მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ბურთაობდნენ აფხაზები ქართველი ჯარისკაცების თავებით გაგრის სპორტულ მოედნებზე;

– არ შეიძლებოდა ე.წ. კოლუმბიური გალსტუხებით ურთიერთგანებივრება, რასაც არცთუ ისე იშვიათად მიმართავდა ორივე მხარე;

– არ შეიძლება (აგაცრემლებს!) საუბარი იმაზე, თუ როგორ გაჰყავდათ დამით პალატიდან დაჭრილი ავადმყოფი და ზღვის პირას ახვევდნენ ცეცხლის ალში;

– არ შეიძლება ხმამაღლა საუბარი იმაზე, თუ როგორ გაჰყავდათ ღამ-ღამობით თითო-ორ-ორად პატიმრები **„პირადი ციხეებიდან“** – სარდაფებიდან და როგორ არ ბრუნდებოდნენ ისინი უკან;

– არ შეიძლება (ადამის მოდგმას შეგაძულებს!) საუბარი იმაზე, თუ როგორ გამოასალმეს **„მხედრიონელებმა“** სიცოცხლეს ქართული გვარის ახალგაზრდა აფხაზი დაჭრილი მეომარი ქალი გენიტალიაში ავტომატის ჯერით;

– არ შეიძლება (შეგზარავს!) საუბარი იმაზე, თუ როგორ იწვოდა მაღალჩინოსნების დავალებით არქივი ან კინოთეატრი და მის ჩასაქრობად შეიარაღებული არამზადები არ ატარებდნენ ხანძარსაწინააღმდეგო მანქანებს, როგორ არ აძლევდა შს სამინისტრო მათ ბენზინს და არ უშვებდა ცეცხლის ჩასაქრობად (თვითონ ვარ თვითმხილველი (!), როცა კინოთეატრი **„აფსნი“** იწვოდა, ბატონ აკაკი გასვიანთან ერთად, უშიშროების კომიტეტში ვითხოვდი ბენზინს სახანძრო მანქანებისთვის, მაგრამ ამაოდ!..)

– არ შეიძლება (გაგაოგნებს, ჭკუიდან შეგშლის!) საუბარი იმაზე, თუ როგორ აგდებდნენ **„მხედრიონელები“** ჩვენს ნაჯაფ-ნაწვალებ-ნანოლიავებ სახლებში ხელყუმბარებს და ცეცხლში ახვევდნენ სიტყვებით: **„აბა რა, მტერს ხომ არ დავუტოვებთ ასეთ სახლებსო!“;**

– არ შეიძლება (დაგაბეჩავებს, გაგნადგურებს!) საუბარი იმაზე, თუ როგორ შემომიგზავნა საკუთარ კაბინეტში ქურდი შს მინისტრმა აუდიო-კასეტის ხელში ჩასაგდებად, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ჩემი სახლის (ტრაგიკულად დაღუპული უფროსი ვაჟის პირადი ნივთების) გაქურდვის და ქურდების ვინაობის შესახებ, რომლის არსებობაზე ვიცოდით მხოლოდ (!!!) მე და ამ უბადრუკმა მინისტრმა!

– არ შეიძლება საუბარი იმაზე, თუ რისი თვითმხილველნი ვყოფილვართ ჩვენ, მე და თქვენ, ბატონო ჯემალ! აბა გაიხსენეთ, თუ როგორი წივილ-კივილი იდგა **„გოსდაჩის“** პირველ სართულზე, ვინ იყო მაშინ იქ, შიგნით და როგორი ყვირილით გამოვარდა იქიდან ბესიკ მამუკელაშვილი: **„ცეცხლში მათი ბრძანებით გავხვიეთ არქივი და ეხლა მე გამოვყავართ მეისრედ და მაბრალებენ ყველაფერსო“!!!** გაიხსენეთ, კარგად გაიხსენეთ, როგორ ვამშვიდებდით და ვაწყნარებდით მას, რომ სხვებს არ გაეგოთ! იმ მაღალჩინოსნებიდან, ვისთანაც დაობდა ბესიკ მამუკელაშვილი, ერთი უკვე არ არის ცოცხალი, ხოლო მეორე თქვენ გიმშვენებთ გვერდს... მიდით, თუ გეყოფათ გამბედაობა და ვაუკაცობა, შეახსენეთ მას ეს ფაქტი. თქვენს შორის ვინ იზამს ამას?!.

მესმის, დღესაც არ შეიძლება ამაზე საუბარი, მაგრამ რა ვქნა, მან და თქვენ მაიძულეთ?!.

რამდენი ასეთი და მსგავსი ბარბაროსობა ჩაიდინა როგორც ერთმა, ასევე, მეორე მხარემ, მაგრამ მე, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ამაზე არც ერთი სიტყვა არ დამცდენია სადმე და არც წიგნში, რადგან კარგად მესმოდა, რომ არ შეიძლებოდა ამაზე ხმამაღლა საუბარი – **ვაშინერდ**! მით უფრო **ვაშინერდ** ამ დანაშაულობათა ჩადენა! **ვაშინერდ**, როდესაც კედელთან გვაყენებდნენ ექიმებს და გვეუბნებოდნენ: **„მომეცით წამალი, თორემ მო... თქვენ მეგრელ დედას“, ან კიდევ: „ჯერ აფხაზებს მოუ... დედას, მერე თქვენ, მეგრელებს დაგა... მათ ზემოთ!“**

წიგნში არ მითქვამს არც ერთი სიტყვაც საომარ მოქმედებებზე, ომის საშინელებებზე იმიტომ, რომ ვაცნობიერებდი: აფხაზებთან ჩვენ ერთად თანაცხოვრებისთვის ვართ განწირულნი და თავს გადამხდარი უბედურებების შეხსენება იარების მოშუშებას არ წაადგებოდა. წიგნში მხოლოდ დაპირისპირების გენეზისზე, მის შემომქმედ და განმახორციელებელ პირებზე ჩამოვაყალიბე ჩემი შეხედულება და მოსაზრებები – იმაზე, თუ რა ხდებოდა აფხაზეთში! ხმა ამოვიღე და ვთქვი სიმართლე, რაც იყო და მოხდა იქ, რადგან მიმაჩნდა, რომ გაჩუმება დანაშაულის ტოლფასი იყო!

ამიტომ მდებთ, ალბათ, ბრალს ღალატსა და ანტიქართველობაში! კაცს, რომელსაც დასახვრეტად გავყავდით და მიხსნიდა მეთქვა: **„მეგრელი ვარ“**, ჯიუტად ვამბობდი: **„არა მე ქართველი ვარ“!** მცემდნენ და მაიძულებდნენ: **„თქვი რომ მეგრელი ხარ“**, მე ისევ ხმამაღლა, ამაყად ვიმეორებდი: **„არა, მე ქართველივარ!“** (იხ. გვ. 292-293). ასეთ კაცს მდებთ ბრალს არაქართველობაში და სეპარატიზმში!

ეს თქვენს სინდისზე იყოს!

ნაპო მესხია,
პროფესორი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვლადიმერ ბედუკაძეს მოსკოვში "სიმამაცესა და მედიაში გარღვევისთვის" სპეციალური პრიზი მიენიჭა

ვლადიმერ ბედუკაძეს მოსკოვში **"სიმამაცესა და მედიაში გარღვევისთვის"** სპეციალური პრიზი მიენიჭა. ეს ის ვლადიმერ ბედუკაძე გახლავთ, რომელმაც ციხის ამაზრზენი კადრების გამომზიურებით საბოლოოდ მოახერხა ფეხები ნაციონალებისა და სააკაშვილის ისედაც ძირმომპალ ტახტს და მიწას დაანარცხა დაშნაკთა კასტა. ამიტომაც ვერ უპატიებიათ ნაციონალებს მათი კრახი ბედუკაძისათვის და კატეგორიულად მოითხოვენ მის სასტიკად დასჯას, მაშინ, როცა ციხის მოვლენების **"მთავარ შემოქმედთა"** დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დასეირნობს თავისუფლად და თავხედურად აქეთ გვმოძღვრავს!

რაც შეეხება ბედუკაძის დაჯილდოებას, ახალგაზრდა ჟურნალისტთა კონკურსი სახელწოდებით **"სამხრეთ კავკასიის მშვიდობიანი მომავალი – ისტორია და თანამედროვეობა"** მოსკოვში 27 ნოემბერს ჩატარდა. ამის შესახებ ინფორმაცია **რუსკლაინე.რუ**-ზე გავრცელდა.

აქვე აღნიშნულია, რომ შემოქმედებით კონკურში ჩართული იყვნენ ახალგაზრდა ჟურნალისტები საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

კონკურსის მთავარი ორგანიზატორი იყო **"რუსეთის ეროვნული გაერთიანებების კონგრესი"**.

კონკურსის მიზანი იყო **"ნდობისა და მეგობრობის ჩამოყალიბება რუს და ამიერკავკასიის ხალხებს შორის, კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება, ურთიერთსიმპათიის გაღვივება, კონტაქტების გაღრმავება"...**

საქართველოდან კონკურსის ლაურეატები გახდნენ ჟურნალისტები: ელზა არსოშვილი, ნანო გოგია, თამარ კვარაცხელია, ანი კიკნაძე და ირაკლი ყიფიანი. სომხეთიდან: ვარუჟან ბაბაჯანიანი და ვანიკ ელიზბარიანი, ხოლო აზერბაიჯანიდან – კამილა ალიევა და ნიჯატ გაჯიევი.

რაც შეეხება ვლადიმერ ბედუკაძეს, ვებგვერდზე მითითებულია, რომ სპეციალური პრიზი **"სიმამაცესა და მედიაში გარღვევისთვის" გადაეცა პიროვნებას, რომელმაც გადაიღო და ტელევიზიებს გადასცა ქართულ ციხეებში არსებული არაადამიანური მოპყრობის ამსახველი კადრები, "რამაც განაპირობა კიდეც მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის აღსასრული"**.

დაჯილდოების ცერემონია მოსკოვში, **"მშვიდობის და თანხმობის ფედერაციის"** დიდ დარბაზში შედგა.

ესწრებოდა თუ არა დაჯილდოებას ყველა ქართველი ლაურეატი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით ჟურნალისტი ვლადიმერ ბედუკაძეს დაუკავშირდა.

ბედუკაძემ დეტალებზე საუბარი არ ისურვა და ამ ეტაპზე არც გავრცელებული ინფორმაცია დაადასტურა.

"უახლოეს დღეებში გავაკეთებ განმარტებას", – აღნიშნა ბედუკაძემ.

ნ. ხიდეშელი

ზუგდიდში იეჰოვას მოწმეების სამეფო დარბაზი დაცხრილეს

"რელიგია, რომელსაც ებრძვიან, ძლიერდება" – ბოლო დროს, ამ ფრაზას უფლებადამცველები და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები ხშირად ამბობენ... თუმცა, კონკრეტულად რაში გამოიხატება ბრძოლა იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ, როდესაც სექტანტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ქუჩაში გაგაჩერონ და ან სახლში მოგადგნენ სპეციალური ლიტერატურით შეიარაღებულები და მცირე ლექცია ჩაგიტარონ, ამაზე პასუხი არ აქვთ...

"გვებრძვიან, აბა რა, ზუგდიდში, შენობას, სადაც ჩვენი სულიერი დები და ძმები იკრიბებოდნენ, ცეცხლი გაუხსნეს... კიდევ კარგი, შენობაში იმ დროს არავინ იყო. ჩვენ არავის არაფერს ვერჩით, პირიქით, სიკეთეს, სიყვარულსა და მშვიდობას ვთესავთ და მაინც გვავიწროვებენ. ქვებს გვესვრიან, შეურაცხყოფას გვაყენებენ. არაფერია, ჩვენი რწმენა სწორედ მოთმინებას გვასწავლის, ოღონდ ჭეშმარიტ მოთმინებას და არა ფარისევლურს..." – ამბობს ჩვენთან საუბარში **"იეჰოვას მოწმეების ქრისტიანული ორგანიზაციის"** წევრი **ლაშა კვარაცხელია.**

"იეჰოვას მოწმეების ქრისტიანული ორგანიზაციის" წარმომადგენლებს ზუგდიდში, კერძოდ, ზედაეწერში, შეკრების სახლის, **"იეჰოვას სამეფო დარბაზის"** ერთ-ერთი კედელი დაცხრილული დახვდათ.

შემთხვევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩხორიის ტერიტორიულ ორგანოში შემავალ სოფელ ზედაეწერში მოხდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. თუმცა, საზოგადოებაში, სექტანტების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას არ მალავენ და მიიჩნევენ, რომ უკეთესი იქნებოდა, სახელმწიფოს თავად სექტანტების წინააღმდეგ მიეღო ზომები.

მამუკა დარასელია, ზუგდიდი: – ლამის საუკუნის განმავლობაში უღმერთობის ხანაში ვიცხოვრეთ, შვილო. ახლა კი, ხალხი ძლივს უფლის გზას შეუდგა და ეს სექტანტები გამოჩნდნენ, წმინდა ხატებზე გვეუბნებიან, სურათებზე ლოცულობთო და გადავირევით, აბა რა იქნება?.. ეს არ არის შეურაცხყოფა და შევიწროება?.. თოფი კი არა, ყუმბარა რომ მქონდეს, იმას ვესვრი ამათ... სახლში გვივარდებიან, ქუჩაში, პატარა ბავშვებსა და მოხუცებს აჩერებენ და აშტერებენ და კიდევ აქეთ ჩივიან, გვებრძვიანო... პოლიცია თუ არ მიხედავს, ჩვენ მივხედავთ, ყელში ამოვიდნენ უკვე... შვილები და შვილიშვილები მეზრდება. მადლობა ღმერთს, პირჯვრის გადაწერის გარეშე სახლიდან არ გადიან და ვინმემ ესენი რომ გამომიშტეროს, თოფს ვესვრი კი არა, ფრჩხილებით გამოვჭამ ყელს... თავს ნუ იბრმავებს სახელმწიფო. იეღოველების ქმედებები და მასშტაბები საშიშია და სანამ ხალხს თავად დაუწყია მათგან თავის დაცვა, მიხედონ, თორემ ერთ დღეს ჩვენი მოთმინების ფიალაც შეიძლება აივსოს...

საკ. ინფ.

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

დადეშქელიანმა თავად განაცხადა სასამართლოზე, გაგარინის მოკვლა აზრადაც არ მქონია, უსლარი და ბარტოლომეი უნდა მომეკლა, იმ ბოროტებმა დაუბნიეს ტვინი გენერალ-გუბერნატორს. გაგარინმა ყვირილი დამიწყო, მე, როგორც მთავარი, ჩვეული არა ვარ ასეთ მოპყრობასო. აქვე სინანულით მოიხსენია მის მიერვე მოკლული კიდევ ორი კაცი, არდიშვილი და ილინი, რომლებიც თვითონ დაეცნენ მოსაკლავად.

ბოროზდინი ორმხრივ სინანულს გამოსთქვამს – ერთი, რომ ქუთაისის გუბერნიამ, გაგარინის სახით, დაკარგა დიდად მზრუნველი, მრავალი სიკეთის მომტანი მოხელე, ხოლო, მეორე მხრივ, დაიღუპა შინაგანად პატიოსანი, დიდებული ახალგაზრდა ვაჟკაცი, რომელიც ტაქტიანი მიდგომის შემთხვევაში სისხლს არ დაღვრიდა.

არაერთ ფაქტსა თუ მოვლენას კორნელი ბოროზდინი ობიექტურად, მიუკერძოებლად აღწერს, მაგრამ იგი მაინც მეფის ჩინოსანი მოხელეა; საქართველოს კუთხეთა შეკავშირება და გამთლიანება მისთვის, როგორც იმპერიული, რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთგული მსახურისთვის, არ იყო სასურველი. ამიტომაც ერთგან ძირითად ტექსტს ურთავს მეტად საჩოთირო შენიშვნას, სადაც, სხვათა შორის, წუხს, რომ სამეგრელოს სკოლებში სწავლება ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაუგებარ ქართულ ენაზეა; პირდაპირ ამბობს – მეგრული დიალექტი არ ენათესავება ქართულს და ქართული ენა **„მეგრულისთვის ზედმეტ ბარგს წარმოადგენდა, მეგრელს სჭიროდა თავისი სამშობლო კილოკავი და რუსული“.**

გაუგებრობაზე დამყარებულ ამ თვალსაზრისს მოსდევს მთარგმნელის, ბრწყინვალე მექართულის, ჩვენი გამოჩენილი ლექსიკოგრაფის თედო სახოკიას მეტად ტაქტიანი **„შენიშვნის შენიშვნა“,** სადაც ნათქვამია: **„პატივცემული ავტორის დროს, მეგრულისა და ქართულის ნათესაობა, მართალია, გაურკვეველი იყო. ქართველებშიაც არავინა გვყავდა, რომ ეს საინტერესო კითხვა გამოეწვლილნა. მას აქეთ ოთხმოცი წელიწადი, მეტია გასული. ამ კითხვის მკვლევარნი ბევრნი გამოჩნდნენ, ნაშრომებიც ბევრი დაიბეჭდა, სასარგებლო და საწინააღმდეგო აზრი ბევრი ითქვა, მაგრამ უდავოდ აღიარებულ იქმნა იგივეობა ქართულისა და მეგრულისა. და ახლა მარტო ამ ენათა უცოდინარი თუღა იტყვის — ესენი სხვადასხვანი არიანო. ბოროზდინს, როგორც ზედმიწევნით არმცოდნეს, როგორც ქართულისა, ისე მეგრულისა, მის მიერ გამოთქმული შემცთარი აზრი, რა თქმა უნდა, სავსებით ეპატიება“.**

აქვე ბარემ იმის თქმაც შეიძლებოდა, რომ გვანჯი ჩიქოვანი თბილად, სიყვარულით იგონებს გადასახლების შემდეგ ქალაქ ირკუტსკში ყოფნის პერიოდს, როცა მან დიდი დახმარება გაუწია ჯანმრთელობაშელახულ თედო სახოკიას, რომელსაც ირკუტსკიდან შორეულ, ცივ მხარეში გადასახლებას უპირებდნენ. გვანჯი ჩიქოვანმა, მეგობრების ხელშეწყობით, სასახელო თანამემამულე იხსნა აშკარა დაღუპვისაგან. ერთხანს ისინი ერთ ბინაში ცხოვრობდნენ. მოყოლილია, თედო სახოკია – საუცხოო მთარგმნელი, ილიასა და აკაკის მოძღვრებაზე აღზრდილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ეთნოგრაფი — უცხოეთშიც როგორც ზრუნავდა ქართული ენის სიწმინდეზე. ეს ადგილი არის ჭეშმარიტად მშვენიერი და უცნობი ფურცელი სპეტაკი მამულიშვილის, თედო სახოკიას მოწამებრივი ცხოვრებისა.

ბოროზდინის წიგნში თავმოყრილია მრავალი საყურადღებო ცნობა, კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში რუსთა მმართველობას რომ შეეხება; ცოცხლადაა დახასიათებული ჩვენს მიწაზე მომსახურე არაერთი დიდი ჩინოსანი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეფის ნაცვალის მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობას. ვორონცოვის გამჭრიახობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი რუს მოხელეებს ავალებდა ადგილობრივ მცხოვრებთა ენა შეესწავლათ და მოსახლეობას დაახლოებოდნენ. ბოროზდინს წარმოჩენილი აქვს მეფის ნაცვლის კონკრეტული საქმიანობა, რაც მისი პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. აქ ზოგი რამ შეიძლებოდა ამოგვეწერა ბოროზდინის მოგონებებიდან, მაგრამ ყველაზე საყურადღებო, ალბათ, მაინც ეს ადგილია:

„ვორონცოვი უუდიდეს სტრატეგიულ მუშაობას აწარმოებდა, ეს მუშაობა უუდიდესი იყო როგორც განზრახვით, ისე თავისი წვრილმანებითაც, და სწორედ ასეთმა მისმა პროგრამამ შეგვაძლებინა კავკასია სავსებით დაგვეპყრო“.

თავის წიგნში ბოროზდინი არაერთგან საგანგებოდ ლაპარაკობს ალექსანდრე გაგარინზე და აღნიშნავს, რომ იგი იყო **„ვორონცოვის ერთი უსაყვარლესი და საუკეთესო მოწაფეთაგანი“.**

მარტოოდენ დასახელება იმისა, რა და რა ხეხილი შემოიტანა გაგარინმა ქუთაისის გუბერნიაში (მათ შორის, დღესდღეობით, ასე გავრცელებული იზაბელას ჯიშის ყურძენი), რამდენი კარგი შენობა ააგო თვით ქალაქში, იკმარებდა ამ კაცის სამუდამო ღვაწლის გასახსენებლად, მაგრამ იქვეა ნათქვამი, რომ გაგარინი იყო ზედმეტად მოძრავი, ფიცხი, სჩვეოდა გაცხარება, ყვირილი და სწორედ ეს გახდა საბაბი მისი დაღუპვისა.

ქართულ არისტოკრატიასთან გაგარინის სიახლოვე განაპირობა იმანაც, რომ ცოლად ჰყავდა დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანის (რუსულ წყაროებში მას რატომღაც დავითად იხსენიებენ) ასული ანასტასია. გაგარინი ამავე დროს ქვისლი იყო მეფის ნაცვალისა და კავკასიის ჯარების მთავარსარდლის, შამილის დამატყვევებლის, ალექსანდრე ბარიატინსკისა, რომელმაც ცოლად შეირთო (თავის ადიუტანტს, პოლკოვნიკ დავიდოვგრამონს წაჰგვარა) დიმიტრი ორბელიანის მეორე ქალიშვილი, სილამაზით განთქმული ელისაბედ (ლიზა) ორბელიანი.

გვანჯი ჩიქოვანი რუსეთ- იაპონიის ომის მონაწილეა. იგი მომსწრეა იმ სამარცხვინო დამარცხებებისა, რუსეთის უსისტემო, მოუქნელი, თავმოუბმელი არმია და ფლოტი ზედიზედ რომ განიცდიდა; პირადად უნახავს ბრძოლის ველზე შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალი კუროპატკინი და გვიყვება ძალზე სასაცილო ამბავს იმაზე, თუ მათმა ერთმა უცნაურმა, მოთაღლითო რაზმელმა სამუელ იშხნელმა, ვითომდა სასტიკ შეტაკებებში რამდენჯერმე მძიმედ დაჭრილმა, როგორ დააჯილდოვებინა თავი ჩამოვლაზე მოსულ მთავარსარდალს. ამავე ნაკვეთშია ნახსენები გრაფი ვიტე, რომელიც იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დასადებად გაიგზავნა.

რუსეთის მმართველი წრეები და მისი ევროპელი მოკავშირეები მალე დარწმუნდნენ, რომ რუსეთს სასწრაფოდ უნდა დაედო ზავი იაპონიასთან, რადგან ვეებერთელა იმპერიას იმ ომში გამარჯვების არავითარი შანსი არა ჰქონდა და მოსალოდნელი იყო კიდევ უფრო გამანადგურებელი დამარცხებები. მოლაპარაკების მთავარ რწმუნებულად, როგორც ცნობილია, შეარჩიეს ადრე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნამსახური და მერე გადაყენებული სერგეი ვიტე, მეტად გონიერი და პოპულარული სახელმწიფო მოღვაწე. თვითონ ვიტეს დაწვრილებით აქვს აღწერილი, თუ როგორ მარჯვედ გაართვა თავი საკმაოდ რთულ მისიას. ზავი 1905 წლის ივნისში დაიდო ამერიკის ქალაქ პორტსმუტში. რუსეთს ყოველნაირად უჭერდა მხარს პრეზიდენტი რუზველტი (დიდი როლი ითამაშა ამერიკის მოსახლეობის განწყობილებამაც) და, ძირითადად, ამან განაპირობა, რომ ზავი დაიდო დამარცხებული მხარისთვის, რუსეთისთვის, მომგებიანად – კონტრიბუციის გადახდისა და ტერიტორიების დათმობის გარეშე. გრაფ ვიტეს დიპლომატიურ არენაზე ამ დიდი წარმატების შემდეგ კვლავ ჩამოართვეს დიდი თანამდებობა (იგი მეფეს დაურიდებლად, პირში ეუბნებოდა სიმართლეს და ესეც იყო მიზეზი, რომ ზედმეტად კორექტულ ნიკოლოზ მეორეს უჭირდა მასთან ახლო ურთიერთობა).

აღსანიშნავია, რომ თბილისში დაბადებულსა და აქვე გიმნაზიადამთავრებულ სერგეი ვიტეს (იგი ძალზე კარგად იცნობდა ქართულ გარემოს, ჩვენს ხასიათსა და ჩვევებს) თავის მემუარებზე მუშაობა, გვანჯი ჩიქოვანის დარად, მეშვიდე ათეულ წელში გადამდგარს დაუწყია. ამ დიდად საინტერესო მოგონებებიდან ჩვენ ზოგი რამის მოხმობა და დამოწმება დაგვჭირდება.

სერგეი ვიტეს პიროვნებაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის თვით მისივე ნათქვამი: **„არც ლიბერალი გახლავართ და არც კონსერვატორი, მე უბრალოდ კულტურული ადამიანი ვარ. მე ადამიანს ციმბირში ვერ გადავასახლებ მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემსავით არ აზროვნებს, ვერც სამოქალაქო უფლებებს წავართმევ მხოლოდ იმის გამო, რომ იგი იმავე ტაძარში არ აღავლენს ღმერთისადმი ლოცვას, სადაც მე ვლოცულობ“.**

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ასეთი პიროვნება მკაცრად აკრიტიკებს კავკასიაში მეფის რუსეთის ტლანქ, მოუზომავ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ქებით იხსენიებს იმ მეფისნაცვალებსა და მთავარსარდლებს (მ. ვორონცოვი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, ა. ბარიატინსკი, ა. დონდუკოვ-კორსაკოვი...), რომელთაც აქაურ მაცხოვრებელთა ზნე და ხასიათი კარგად იცოდნენ და ადგილობრივ მკვიდრებთან თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ, რუსებისაგან არ ასხვავებდნენ. ამავე დროს ს. ვიტე ყოვლად გაუმართლებლად მიიჩნევს თავად გოლიცინის ძალადობაზე დამყარებულ **„ვიწრო ნაციონალიზმის“** ანუ შოვინიზმის პოლიტიკას, რამაც სათავე დაუდო კავკასიაში შემდგომი ათწლეულების არეულობასა და რუსთა მმართველობისადმი ადგილობრივ მკვიდრთა მტრულ დამოკიდებულებას. მოგონებებში წინასწარმეტყველურადაა ნათქვამი, რომ ასეთი მცდარი, პოლიციური მეთოდები რუსეთს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი რუსი მოაზროვნე ნიკოლოზ ბერდიაევი ფილოსოფიურ-პოლიტიკური ესეების კრებულში **„რუსეთის ბედი“** (1918 წ.) ბევრს ფიქრობს რუსი ერის ფსიქოლოგიაზე, მის როლსა და ადგილზე მსოფლიო ისტორიაში და იმ დასკვნამდეც მიდის, რომ **„რუსულ სახელმწიფოებრიობაში დაფარულია ბნელი ირაციონალური საწყისი და იგი თავდაყირა აყენებს პოლიტიკური რაციონალიზმის ყველა თეორიას, მას არავითარი რაციონალური ახსნა არ უხერხდება“.**

მეტისმეტად ძნელია, განსაზღვრო მოქმედება ისეთი წყობისა და სულისკვეთების ქვეყნისა, რომლის სახელმწიფო პოლიტიკას საფუძვლად არ უდევს სახელმწიფოებრივი გონიერება და საზრისი, არავინ იცის, იგი როდის რას მოიმოქმედებს.

თავის ყველაზე მნიშვნელოვან წიგნში **„არქიპელაგი გულაგი“** ალექსანდრე სოლჟენიცინი (თუკი ნამდვილად გულწრფელია) წერს:

„ვართ თუ არა დიდი ერი, ეს არა ვეებერთელა ტერიტორიითა და სამეურვეო ხალხების რაოდენობით, არამედ საქციელის სიდიადით უნდა დავამტკიცოთ“.

ჯერჯერობით, რამდენიმე საუკუნეა, სიდიადის მაცნე ძალზე ცოტა ჩანს რუსეთის ქმედებაში და ალბათ დროა, ამ გიგანტურ სახელმწიფოში გამოჩნდნენ საღად მოაზროვნე, კეთილი ნების პოლიტიკოსები, რუსეთს სწორ მიმართულებას რომ მისცემენ და თვით რუს ერს პატივისცემას და ღირსებას მოუპოვებენ მსოფლიოში.

გონიერი რუსი მოაზროვნეები კარგა ხანია იმ აზრისკენ იხრებიან, რომ სიმტკიცისა და ერთიანობისთვის დიდ იმპერიას ესაჭიროება კოსმოპოლიტური მიმართულება და არა ვიწრო ნაციონალისტური, შოვინისტური, დერჟავნიკული, როგორიც რუსეთს დღემდე აქვს. ამ პრობლემაზე მოგვიანებითაც ვიტყვით ზოგ რამეს.

იგივე ნიკოლოზ ბერდიაევი, რომელსაც მომავლის განჭვრეტის საკმაო უნარი ჰქონდა და მსოფლიო ისტორიის გამოცდილებასაც ითვალისწინებდა, გულახდილად წერდა:

„თუკი რუსეთმა სიყვარული არ დაიმსახურა, იგი მსოფლიოში დაკარგავს თავისი დიდი მდგომარეობის საფუძვლებს. მისი იმპერიალიზმი შეუძლებელია აგრესიული იყოს“.

გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობიდან აშკარად ჩანს, როგორ არ უნდოდა მას მეფის ჯარში უშუალოდ სამსახური. შორეულ აღმოსავლეთში ვიტგენშტეინის (მემუარებში არაერთგან მოხსენიებულ ამ იშვიათ პიროვნებაზე ჩვენ საგანგებოდ მოგვიხდება საუბარი) პარტიზანულ შენაერთში ყოფნა რეგულარულ არმიაში სამსახურად ვერ ჩაითვლება. მოგვიანებით, როდესაც პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ფრონტზე მყოფმა ქართველმა ოფიცრებმა, ახლობლებმა (მეფის კარზე ცნობილმა უჩა დადიანმა და სხვებმა) დიდი ხვეწნა-მუდარით დაიყოლიეს გვანჯი ჩიქოვანი, კავკასიელებისაგან შემდგარ **„ველურ დივიზიაში“** ჩარიცხულიყო და ეომა, სამაგალითო მხედრული სიმამაცე, მოსაზრებულობა გამოეჩინა და ჯილდოებიც მიეღო.

„ქართველები სხვათა ომში“ – მრავალჯერ დამუშავებული და მაინც დიდი, ამოუწურავი თემაა. ამაზე ტომები შეიძლება დაიწეროს. ამ პრობლემას ჩვენ ვერ შევეჭიდებით, მაგრამ ზოგი რამის გახსენება მაინც მოგვიწევს. მამელუკებზე რომ არაფერი ვთქვათ, შეიძლება დავიმოწმოთ მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგი მოგზაურის ჟან ბატისტ ტავერნიეს ცნობები იმის თაობაზე, თუ რა სიმამაცეს იჩენდნენ თურქეთში მყოფი ქართველები. მაგალითად, სულთანის კარის მცველი ორი ქართველი, შუაღამისას, შეთქმულ, შეიარაღებულ თავდამსხმელთა მრავალრიცხოვან რაზმს გაუმკლავდა, მოიგერია. მარტო სწორუპოვარი მეომრის, გაორებული, ტრაგიკული პიროვნების გიორგი სააკაძის ფიგურა რამდენ საფიქრალს აღძრავს დღემდე, რა ცხარე პაექრობათა საბაბს იძლევა. აქვე შეიძლება დავასახელოთ გენიალური ქართველი პოეტი, ლეკებთან ტყვეობის შემდეგ რუსეთში მოხვედრილი და ქართველ ჰუსართა პოლკში ნამსახური დავით გურამიშვილი, რომელსაც ბედმა უამრავი სიმწარე არგუნა. სიმამაცისა და მხედართმთავრული გენიის ნამდვილი განსახიერება იყო პეტრე ბაგრატიონი, რომელსაც, აგრეთვე თავისი სამშობლოს გარეთ მოუხდა თავისი უბადლო გმირობის გამოვლენა. ერთ-ერთ გენერალს, კონსტანტინე ბაგრატიონს, **„ველური დივიზიის“** მეთაურს, კარპატებისკენ მიმავალი გვანჯი ჩიქოვანი თავად გადაეყრება გალიციის საზღვარზე და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა მყარდება. გენერალთან სადილზე მიპატიჟებული გვანჯი საქართველოდან ჩატანილ ხვანჭკარას უწილადებს კეთილ მასპინძელს. კონსტანტინე ბაგრატიონს მოხიბლავს ახალგაცნობილის საქციელი და გარეგნობა და, ძირითადად, მისი მოწადინებით ხდება გვანჯი ჩიქოვანის **„ტუზემნაია“** ანუ **„ველურ დივიზიაში“** ჩარიცხვა. მოგონებებში მოხსენიებული არ არის ამ ბაგრატიონის სახელი (იგი ბატონმა პაატა ქურდოვანიძემ დამიზუსტა), თუმცა გვანჯი ჩიქოვანი ამბობს, რომ მის დანიშვნამდე ხსენებულ დივიზიას დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე მეთაურობდა. ეს უკეთილშობილესი პიროვნება 1918 წელს პერმში დახვრიტეს ბოლშევიკებმა.

ემზარ კვიტაიშვილი

გაგრძელება შემდეგ ნომერში)

“ანისტორესია” – ისტორიის არცოდნა

მეგრული **“შობა”** ნიშნავს როგორც ყოლას, ასევე შობას, ანუ მეგრული **“შიბა”**-დან ამოვიდა ორი ქართული მცნება – **“შობა”** და **“შოვნა”**.

თავად სიტყვებში შიბა/შობა-ში რომ **“ბა”** ნიშნავს საწყისს, სიცოცხლის აღმოცენებას, კარგად ჩანს სიტყვაში **“ოდაბადე”** – სამშობლო მეგრულ თავსართ **“ო”**-ს ქართულში შეესატყვისება **“სა”**, ე.ი. ო-და-ბა-დე, ანუ **“დაბადების ადგილი”**, ანუ, სადაც **“იშვი”**.

“ბა” – ასევე მცირეს მნიშვნელია გვარში **“ბა-ლარჯი-შვილი”** ფუძეა **“ბალარჯი”**. **“ლარჯი”**, როგორც დავადგინეთ, ნიშნავს ცომს (ბალარჯობა, ელარჯი), ხოლო **“ბა-ლარჯი”** უნდა ნიშნავდეს **“მცირე ლარჯს/მცირე ცომს”**.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, არა მარტო **“ბა”** აღნიშნავს პატარას, არამედ **“ბე”, “ბუ”, “ბო”** (ბიჭი, ბერე, ბოჩოლა, ბოკვერი, ბელი, ბუიტი, ბუში, ბუჩინა, ბოჩიკი. ამ სიას შეიძლება დაემატოს ხ-ბო).

საინტერესოა ასევე, რომ მეგრულში ორი **“ბა”** (ბაბა) უკვე მამას ნიშნავს. **“ბა-დიდი”** აღნიშნავს მოხუცს. სრულიად საწინააღმდეგოა სიტყვა **“ბა-დიში”** – რაც შვილისშვილს გამოსახავს (ბა-დი-ში, ბა-დი-სი ანუ ბაბუასი).

ამრიგად, აფსუთა გვარებში ბოლოსართი **“ბა”** ასევე უნდა ნიშნავდეს პატარას: ადლეიბა (ადლე-ის პატარა), ინაჯშ-ბა (ინაჯშ-ის პატარა), გუნ-ბა (გუნის პატარა). იგივე სურათია ქართულ გვარებში: ნადი-ბა-იძე, თოთიბა-ძე, კაკუ-ბა-ვა, დუმ-ბა-ძე, გოსტა-ბა-შვილი... მსგავსი მაგალითებია ტარას ბულ-ბა, გამბა (იტალიელი მისიონერი).

არის სხვა მაგალითებიც, როდესაც სპარსულ (მცირე აზიურ) მეგრულ და აბაზურ (აფსუურ) მეტყველებაში გამოიყენება საერთო, მსგავსი ბოლოსართი. მაგალითად: სუფიქსი **“ია”**.

მეგრულში სუფიქსი **“უა”**-თი გამოითქმება გვარები: გოთუა, რურუა, სიგუა... და ასევე მოქმედება: ხანტუა (ხატვა), ქიმინუა (ქმნა), ჭკადუა (ჭედვა) და ბაბუა.

აფსუა-აბაზები ეზიარნენ კოლხურ კულტურას და, შესაბამისად, მცირეაზიურ კულტურასაც. მათი სამეურნეო საქმიანობა, თქმულებები, სიმღერები ძირითადად მეგრულსვანურიდანაა შეთვისებული და ამდენად, როცა სადავო საკითხები დგება, უპირატესობა კოლხურს უნდა მიეცეს, როგორც ბევრად უძველეს კულტურას.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის აბხაზეთში მცხოვრებთა სიაში ჩვენ ვაწყდებით ერთი და იგივე აფსუურ გვარებს, როგორც ბოლოსართი **“ბა”**-თი, ასევე **“ბაია”**-თი: გუნბა – გუნბაია, აგრიბა –) აგრიბაია, თარბა – თარბაია, და თითქოს გამოდის, რომ გვარი **“გუნბა”** აფსუური გამოთქმაა, ხოლო გუნბაია აფსუური გვარის მეგრული გამოთქმა. ჩვენ სინამდვილეში საქმე გვაქვს გვარის გამოსახვის ორ ფორმასთან – **“ბა”** – ბოლოსართით საერთო მცირეაზიური ფორმა, ხოლო “ბაია” ბერძნული გავლენით.

Baioes – маленький, небольшой.

ბაია ჟაშხა – ბაია კვირა. ბზობა მოდის ყოველი აღდგომის წინა კვირა დღეს და, შესაბამისად, ბზობა ეს ბაია კვირაა.

მეგრულსა და ქართულში **“ბაია”**-ს უმთავრესი გაგება მაინც ჩვილი ბავშვის სახით ასოცირდება და სწორი უნდა იყოს ჩვენი მოსაზრება, რომ გვარი **“ქაჩიბაია”** იკითხება როგორც **“ქაჩის პატარა, ქაჩის ბავშვი”**. ქართულში ცოცხალია გვარები ბაიაძე, ბაიაშვილი.

ამრიგად, აფსუები იყენებდნენ გვარის გამოსახვის ორივე ფორმას: გუნბა გუნბაია, აგრიბა აგრიბაია... გვარის მატარებელთა სურვილის მიხედვით. მოგვიანებით აფსუათა ნაწილმა ირჩია მაინც დაბოლოება **“ბა”**. მაგ. აღნიშნულ სიებში გვხვდება გვარები არძიბაია და ახუბაია, რომლებიც დღეს არსებობენ **“არძინბა”** და **“ახუბა”** ფორმით. ამრიგად **“ახუბა”** გააფსუებული კოლხური გვარია.

ჩვენი მსჯელობის მართებულობას ადასტურებენ ნახსენებ სიებში გვარების: მუკბაია, ჭანბაია, ტვიშბაია და თორბაიას არსებობა.

ბიჭვინთის საეპისკოპოსოს ნუსხის მიხედვით XVII საუკუნის მეორე ნახევარში, ოჩამჩირის რაიონში, სკურჩასთან, მეთევზეთა დასახლებაში უცხოვრია პატაია გიორგაძეს და მის შვილს მუკაიას. ანუ **“მუკაია”** იყო საკუთარი სახელი და გვარი **“მუკ-ბაია”** ცალსახად ნიშნავს **“მუკ-ბიას”, “პატარას”**. ამავე სიებშია გვარი ჭანია და, შესაბამისად, ვარი **“ჭანბაია”**. თორბაიას ფუძეა **“თორ”**, საიდანაც წარმოსდგება ქართული გვარები – თორია, თორაძე, თორელი.

მალხები

მეგრული წარმომავლობის გვარების გავრცელების არეალი მოიცავს როგორც სრულიად საქართველოს, ასევე სცილდება მის ფარგლებსაც. ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა ვ. ფირანიშვილის სტატია **“შეხვედრები კონსტანტინე გამსახურდიასთან”**, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ **“თვალთაის”** 1996 წლის №25-ში. სტატია მომაწოდა ნ. კვაშილავამ.

ვ. ფირანიშვილი თავის სტატიაში აღწერს კონსტანტინე გამსახურდიას სტუმრობას გერგეტელებთან მარიამობის დღესასწაულზე: **“უფლისგან დალოცვილი სოფელია გერგეტი. იგი არც ისე პატარაა. მარიამობის დღესასწაულის დროს კი, როგორც წესი, ყველა გერგეტელი ერთად იყრის თავს ღამის თევაზე წმინდა სამების ხატში. მათთან ყოფნისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ყველა ერთი ოჯახიდან არის გამოსული... როცა საუბარი დიდ მწერალ ყაზბეგზე ჩამოვარდა, მოხუცმა** (100 წელს გადაცილებული მიხეილ სუჯაშვილი – ჯ.კ.) **ბატონ კონსტანტინეს უთხრა, მე თითონ ორი წლით უფროსი ვარ ბატონიშვილზეო. გუშინდელივით ცხადად მახსოვს, ამბობდა მოხუცი მიხეილი,– როგორ ამოვიდნენ მასთან ფრანგები სოფელ მნაში ყველისა და მატყლის შესასყიდად; როგორ წავიდნენ ჩვენი წინაპრების მალხების მოსანახულებლად”.**

სიტყვა **მალხის** გაგონებაზე ბატონი კონსტანტინე გამსახურდია დიდად დაინტერესდა. ადრე – განაგრძო მიხეილმა, – ამ ხალხს დაბა გველეთში უცხოვრიაო, ძირითადად კი უთანკალესა და მაისტის რაიონებში, ხევსურეთის საზღვრებზე ყოფილან განლაგებული. ბატონიშვილს ძალზე უყვარდა ისინი. მათი ენაც კარგად იცოდა (ამით ის გამოდის, რომ ალექსანდრე ყაზბეგმა მეგრული ენა იცოდა), მათ დღეობას და მწუხარებას არ აკლდებოდა. ხშირად ამბობდა, მალხები დიდი საქართველოდან, კოლხეთიდან არიან მოსულებიო, და იცით, რომ მეც იმ მალხების ჩამომავალი ვარო,– დასძინა მოხუცმა – ქართველ მეფეებს ყველაზე ერთგული ხალხი (!) საზღვრებზე, განსაკუთრებით კი საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებზე ჰყავდა დასახლებული. და მართლაც, თუ კარგად არ დაუკვირდით, ვერ შეატყობთ, ღმერთმანი, რომ ისინი სხვა ტომსა და ჯიშს ეკუთვნიან. მალხები გამორჩეულები არიან თავისი ხასიათით; არიან გაჭირვებულთა დამხმარენი. აკვნიდანვე თან მოსდევთ ზრდილობა, სტუმრის განსაკუთრებულად მიღება, როგორც ჩვენს მეგრელებსო.

ჩვენმა დიდმა მეფემ გიორგი ბრწყინვალემ, მას შემდეგ, რაც შეძლო მონღოლების ნაოხარი სამშობლოს ოდნავ ფეხზე წამოყენება, იმიერკავკასიის ხალხებისათვის მოიცალა და ამ მხარეში სპეციალური მისიით მოავლინა საქართველოს პატრიარქი ეფიმი, რომ შეესწავლა რა დღეში იყვნენ იქაური ქრისტიანები. სწორედ რომ დიდებული ქრისტიანი ქართველებისათვის სალოცავად მთელი ათი წლის მანძილზე ააშენა ეს დიდებული ტაძარი, მისი დაცვა და მოვლა კი ქისტეთიდან გადმოხვეწილ ძველ ქართველს – კოლხს, ვინმე სუჯს მიანდო (სუჯ-უნა ხომ სოფელია აბაშის რაიონში – ჯ.კ.), რომლის სახელზეც ჩვენი გვარი მოდის და ეს სოფელიც მაშინ დაარსებულია. **“გერგეტი”** კოლხთა ენაზე მშობლიურს ნიშნავს და ამიტომ, საკუთარი სამშობლო მიწა რომ მოძებნეს, სახელიც ასეთივე შეურჩიეს. მეფემ მაშინ სამების ტაძარში მთავარ ეპისკოპოსად სვეტიცხოვლის მეუფე მარკოზი მოავლინა, რომლის ჩამომავლობამაც შემდგომში სუჯაშვილის გვარი მიიღო. მასვე ევალა ბეთლემში დაცული მოქსოვილი ვერცხლის წმინდა ჯვრის დაცვა, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს ისტორიული კუთვნილება იყო...

ბატონმა კონსტანტინემ ისტორიული არშის ციხის მიდამოები დაათვალიერა. იქ შეხვდა მალხების კიდევ ერთ შთამომავალს, სოფელ არბაში მცხოვრებ ვანო ხულელიძეს და მათ შორის ფრიად საინტერესო საუბარი გაიმართა.

ჯუნი (ჯუმბერ) კაკულია

(გაგრძელება იქნება)

ვართ თუ არა ჩვენ სუვერენული სახელმწიფო?!

როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმებითაა განსაზღვრული: **“თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად გვევლინება მხოლოდ ისეთი სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს საერთაშორისო ასპარეზზე, თავად განსაზღვრავს და წყვეტს თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ამოცანებს, ავლენს ყველა სხვა ნიშანთვისებას, რაც დამახასიათებელია მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოსათვის”.** ამდენად, თუ ჩვენ პრეტენზიას ვაცხადებთ სუვერენიტეტზე, ეს მხოლოდ ჰაერში გამოკიდებული ცრუ ლაპარაკია, რამეთუ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების, ამერიკის ელჩის დაუკითხავად არაფრის გადაწყვეტის თავი არა გვაქვს და საქართველოში დღეს მოვლენები ისე ვითარდებიან, რომ ამის თავი არც არასოდეს გვექნება, რაც საზოგადოების გამძაფრებულ რეაქციას იწვევს.

ამის გამომწვევი მიზეზების მოძიებისათვის თავის მტვრევა და დიდი მიხვედრილობა არაა საჭირო, ეს განაპირობა ნაცმოძრაობის მიერ წლების განმავლობაში განხორციელებულმა მცდარმა და რელსებსაცდენილმა პოლიტიკამ, რამაც, სხვა უბედურებებთან ერთად, თავს მოგვახვია ამერიკისა და დასავლეთის ფინანსური ვალი, რომელიც, როგორც ვიცით, თორმეტ მილიარდ დოლარზე მეტია და ამ თანხის უდიდესი ნაწილი თუ ვის ჯიბეში დაილექა, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ამის დადგენა არც ისე ძნელია, მაგრამ ახალი ხელისუფლება, ამის თაობაზე, რატომღაც, ჯიუტად სდუმს და თითო ოროლა ჭიჭყინასა თუ ამხელს. და ეს მაშინ, როცა ვეებერთელა ლოქოები თავს მშვენივრად გრძნობენ და გამოღმა გვედავებიან.

ნაცმოძრაობის წევრები და მათი ლიდერი სააკაშვილი წლების განმავლობაში თვალებში ნაცარს რომ გვაყრიდნენ, ეს არახალია. ისინი წლების განმავლობაში ეწეოდნენ ყალბ და ბინძურ იდეოლოგიას რუსეთის მიმართ და იმდენი მოახერხეს, რომ ერთმორწმუნე ხალხები, რომლებთანაც საუკუნეთა მანძილზე კეთილმეზობლური და კეთილმეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებდა, მამასისხლად გადაკიდეს ერთმანეთს.

რუსეთის მისამართით გაგზავნილმა წყეველა-კრულვამ და განუწყვეტელმა ძაგებამ არ დააყოვნა და ბუმერანგივით შემოგვიბრუნდა, რაც 2008 წლის აგვისტოს ომმა ცხადჰყო. ეს ომი, რომელსაც სრულიად უდანაშაულო ხალხი შეეწირა, იყო ყველაზე უგუნური და გაუაზრებელი (თუ არა კარგად მომზადებული ღალატი), თავიდანვე წამგებიანი ომი და ამისთანა უგუნური ნაბიჯის გადადგმა, როგორც მატიანე გვიჩვენებს, ხელეწიფება მხოლოდ ჭკუაზე მწყრალად მყოფ სუბიექტს. ნაცბანდამ არ იკმარა ის, რომ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ცეცხლის შეწყვეტის მეორე დღეს, როცა ომში დაღუპული ჩვენი სანაშენე ბიჭების ცხედრები უპატრონოდ ეყარა და მზის გულზე იხრწნებოდა, გრანდიოზული ტაშფანდურა გამართა და განაცხადეს, რომ ომი ჩვენ მოვიგეთო. მიუხედავად ამ სიგიჟის დასაბუთებული სიმპტომის გამოვლენისა, ქართული საზოგადოება მაინც სდუმდა, იმიტომ, რომ ქვეყანაში მძვინვარებდა 1937 წელი, მართალია უფრო მცირე მასშტაბებით, მაგრამ მეტი სისხლითა და სისასტიკით.

უკანასკნელ პერიოდში პრესის ფურცლებზე ხშირად ჩნდება ამერიკის ხელისუფლების ყოფილ წარმომადგენელთა – კონდოლიზა რაისის, მეთიუ ბრაიზას და სხვათა პუბლიკაციები ამ ომის თემაზე. ისინი ხაზგასმით მიუთითებენ, რომ აფრთხილებდნენ მიხეილ სააკაშვილს არ დაეწყო საომარი მოქმედება, მაგრამ მან ყურად არ იღო ეს გაფრთხილება და თავს დიდი უბედურება დაგვატეხა – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარება და 150-ზე მეტი სოფლის, – მათ შორის კოდორის მიუვალი ხეობის – დამატებით დაკარგვა. ამ დანაშაულისათვის ნაცმოძრაობას და სააკაშვილს პასუხს არავინ სთხოვს, რაც ასევე დიდი დანაშაულია. ესენი კი კვლავაც ურცხვად გაჰყვირიან, რომ რუსეთი ოკუპანტი ქვეყანააო. ეს ისედაც ცნობილია და ამის აღიარებად ნამდვილად არ ღირდა უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლად გაწირვა და დამატებითი ტერიტორიების დაკარგვა. და თუ ამერიკისა და პირადად მაკეინის დახმარების იმედად დაიწყო სააკაშვილმა ომი რუსების წინააღმდეგ, ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ფსიქიკურ გაუწონასწორებლობას, რამეთუ მაკეინს ამერიკის სენატშიც კი აღიქვამენ გამოყრუებულ, ბეხრეკ პიროვნებად.

სამწუხაროდ, როგორც ყოფილი, ასევე დღევანდელი ხელისუფლება ამერიკას აღიქვამს როგორც ჩვენი მომავლის მანათობელ შუქურას და იგი დემოკრატიის კერად მიაჩნიათ. სინამდვილეში, ამ **“ზედემოკრატიულ”** სახელმწიფოს უამრავი ინტერვენცია აქვს განხორციელებული. მაგალითად: ჩინეთში (1949 წელს ტაივანის ოკუპაცია), კორეაში (1950 წელი), დომინიკოს რესპუბლიკაში (1965-66 წლები), გრანადაში (1983 წელი), ავღანეთში, ერაყში, ეგვიპტეში, ლიბიაში და ა.შ. ეს ჩამონათვალი იმდენად დიდია, რომ ცალკე პუბლიკაციის თემაა. თუ სწორად შეკვაფასებთ მოვლენებს, ჩვენი ქვეყანაც ამერიკის ინტერვენციის ქვეშ იმყოფება. ჩვენ მიმართ ნაცმოძრაობის სულელური პოლიტიკის გატარების შედეგად ამერიკამ განახორციელა ინტერვენცია, რომელიც არ არის დაკავშირებული სამხედრო მოქმედებებთან. ეს გახლავთ საფინანსო-სამეურნეო ინტერვენცია, რამეთუ, როგორც ზემოთაა მითითებული, გვაქვს 12-მილიარდდოლარიანი საგარეო ვალი და ამ ვალის გამო ამერიკას ყურებით ვყავართ დაჭერილი. ეს ფაქტორი კი გვაბრუნებს იმპერიალისტების მიერ შექმნილ კოლონიალიზმის ისეთ ამაზრზენ ფორმაციაში, რასაც ჰქვია **ვასალიტეტი**.

მხოლოდ დაუძინებელ, მოსისხლე მტერს თუ შეეძლო იმდენი ზიანი მიეყენებინა საქართველოსათვის და მისი მოსახლეობისათვის, რაც ნაცმოძრობამ და მისმა ლიდერმა მიაყენა. ჩვენდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ, ისინი, დღესაც ბევრს ლაყბობენ და ყოველნაირად ცდილობენ კიდევ რაღაცით გვავნონ. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მათ მიმართ არავითარი სამართლებრივი ქმედებები არ ხორციელდება. მათ სჯერათ, რომ მათი დანაშაულებრივი ქმედებები კოჰაბიტაციის შირმამ დაფარა და ყველაფერი შერჩათ, მაგრამ ისტორია გვამცნობს, რომ იყო დრო, როდესაც ჰიტლერი და მუსოლინიც დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ ვერ მისწვდებოდათ თემიდას მსახვრალი ხელი, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა...

ნაცმოძრაობა წლების განმავლობაში გვარწმუნებდა, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც აუცილებლად გავხდებოდით **ნატო**-ს წევრი და ყველაფერი თავისთავად დალაგდებოდა, რაც მტკნარი სიცრუე გახლდათ, რადგან **ნატო**-ში გაწევრიანება მხოლოდ იმ სახელმწიფოებს შეუძლიათ, რომლებიც აკმაყოფილებენ დემოკრატიის ყველა კრიტერიუმს და არ გააჩნიათ ტერიტორიული პრობლემები. აქსიომაა, რომ სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში ერთი სახელმწიფოს ძალაუფლება უნდა დომინირებდეს, ხოლო მისი იურისდიქცია უნდა იყოს სრული და შეუზღუდავი. ეს ფაქტორი სახელმწიფო სუვერენიტეტის მთავარ პირობას წარმოადგენს და ტერიტორიული უზენაესობის სახელწოდებას ატარებს, რაც **ნატო**-ში გაწევრიანების ძირითადი საყრდენია...

ისიც ცნობილია, რომ ეს ორგანიზაცია აშკარად აგრესიული სამხედრო ბლოკია და არაფერი საერთო არ გააჩნია მშვიდობიანობის დაცვასთან, უხეშად ერევა წევრ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, დემოკრატიის ელემენტარული გამოვლინებების ჩანასახშივე ამოშანთვის მიზნით!

ამდენად, ჩვენთვის ვერაფერი ბედენაა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება. კიდევაც რომ მიგვიღონ **ნატო**-ში, ჩვენი მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ის, რომ ქართველი ჯარისკაცები სხვა ქვეყანაში მოწყობილ სასაკლაოებს ავარიდოთ.

ამრიგად, აუცილებელია ნორმალური ურთიერთობების აღდგენა რუსეთთან, რაც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ერთადერთი სამართლებრივი გზა გახლავთ. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ სრულფასოვან სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას!

როზმირ გოგენია,
ზუგდიდი

ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი, მეგობარი

დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა სასიქადულო მამულიშვილს, ჭეშმარიტ პიროვნებას, საზოგადო მოღვაწეს, ცნობილ მეცნიერს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერეტუს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს თამაზ ცანავას, რომელმაც თავისი სიცოცხლის შეგნებული წლები გაატარა მეცნიერული კვლევის, პედაგოგიური მოღვაწეობის, პრინციპულობისა და წესიერი ცხოვრების სულისკვეთებით.

75 წელი ბატონი თამაზ ცანავა სიყვარულის, სიკეთის, ღირსებისა და კაცობის გაკვეთილებს ატარებდა, გასცემდა და გადასცემდა თაობებს. მან კარგად იცოდა და იცის, რომ განათლების უმაღლესი დანიშნულება ქმედება და ცოდნაა, რაც ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის. ამიტომ არის მისი თითოეული მოქმედება ნათელი, მართალი და სუფთა. **”კარგი გააკეთე – მოშურეები გაგიჩნდებიან, გააკეთე უკეთესად და შერცხვებიან”**. ამ დევიზით ცხოვრობს, სიკეთეს თესს, უგუნურებს შეუნდობს, უდიდესი სიყვარულით მომავალი თაობის აღზრდის საქმეს ემსახურება.

ბატონი თამაზ ცანავა დაიბადა 1938 წლის 7 აგვისტოს ქ. ზუგდიდში. სწავლა დაიწყო იქვე, შემდეგ გააგრძელა ქ. ტყვარჩელში და საშუალო სკოლა დაამთავრა ქ. ტყიბულში. სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე. 1963 წელს, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე დატოვებულ იქნა სამუშაოდ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის **”ტრაქტორებისა და ავტომობილების”** კათედრაზე, სადაც განვლო თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გზა ლაბორანტიდან პროფესორამდე. პედაგოგიურ დატვირთვასთან ერთად ბატონი თ. ცანავა ინსტიტუტში დაკავებული იყო ადმინისტრაციული საქმიანობით, ის გახლდათ მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დეკანი, კათედრის გამგე. ბოლო პერიოდში იყო ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.

1971 წ. ბატონი თ. ცანავა მიწვეულ იქნა სამუშაოდ სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ქ. თბილისში სამეცნიერო სექტორის უფროსად. 1976 წლიდან კი ის კვლავ ბრუნდება თავის მშობლიურ ინსტიტუტში ქ. სოხუმში.

გასული საუკუნის 60-იანი წლები ის პერიოდია, როდესაც ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადებას. ბატონ თ. ცანავას ნიჭი და ალღო წარმატებით იკვლევს გზას სამეცნიერო მოღვაწეობისაკენ. ასპირანტურაში სწავლის პერიოდი მისთვის იყო უდიდესი სკოლა, სადაც მისი დაფრთიანება საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის შ. კერესელიძის ხელმძღვანელობით ხდებოდა, რომელთანაც თანაავტორობით ბატონ თამაზს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. მათი თანამშრომლობის შედეგი გახლდათ ბატონ თ. ცანავას მიერ 1975 წელს დაცული საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: **”ჩაის ფოთლის მოვლა-მოყვანის და კრეფის ინდუსტრიული ტექნოლოგიის მეთოდების გამოკვლევა”.**

დიდია შ. კერესელიძის დამსახურება საქართველოს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების საქმეში. განსაკუთრებით გამოკვეთილია მისი ღვაწლი ჩაის ფოთლის მოვლა-მოყვანისა და კრეფის მანქანათა კომპლექსის დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვის საკითხებში. ზემოთ აღნიშნულმა მანქანებმა მნიშვნელოვნად შეამსუბუქეს და თავის დროზე ფრიად პრესტიჟული გახადეს მეჩაიეთა მძიმე შრომა და ქართული იერსახე დაუბრუნეს მეჩაიეობის რაიონებს.

ბატონი თამაზი თავის ხელმძღვანელთან ერთად აქტიური მონაწილე გახლდათ ზემოთადნიშნული სამუშაოებისა. მისი მონაწილეობით 1971-1975 წლებში რესპუბლიკის ჩაის მეურნეობებში დანერგილი იქნა ჩაის წარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგია, რომელიც უწყვეტი ნაკადური ციკლია, ამის მაგალითი გახლდათ ინგირისა და ლაითურის მეურნეობებში ჩაის ფოთლის ტარის გარეშე გადაზიდვების დანერგვა, რის შედეგადაც ეს მეთოდი განზოგადებული და დანერგილი იქნა ჩაის მწარმოებელ რაიონებში.

პროფესორ თ. ცანავას უშუალო მონაწილეობით შექმნილი იქნა ჩაის ფოთლის საკრეფი კომბაინის ნიმუში, რომელიც გულისხმობს უშუალოდ პლანტაციაში ჩაის საკრეფი მანქანით მოკრეფილი დუყით დაუყონებლივ გადამუშავებას, მასთან აგრეგატებულ დანადგარზე მწვანე ბაიხის ჩაის მისაღებად. აღნიშნული ჩაის საკრეფი კომბაინის დანერგვა წარმოებაში ვერ მოხერხდა გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში ცნობილი მოვლენების გამო.

ჩსკ-ის საექსპერიმენტო ნიმუშების შექმნა იყო ფრიად ნოვატორული და გაბედული ნაბიჯი ჩაის კულტურის მექანიზაციის პრობლემების გადასაწყვეტად. პროფ. თ. ცანავამ ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საფუძველზე მოამზადა სადოქტორო დისერტაცია დასაცავად, რომლის დაცვა ვერ მოხერხდა აფხაზეთში ცნობილი მოვლენების გამო. აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ პროფ. თ. ცანავამ უდიდესი ძალისხმევა მოახმარა აღნიშნული სამუშაოების თავმოყრას და 1997 წელს შესძლო დაეცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: **”ჩაის მოვლა-მოყვანის და მისი პირველადი გადამუშავების მეცნიერულ-ტექნიკური საფუძვლები მანქანური კრეფის დროს”**

პროფ. თ. ცანავას თავის ძირითად სპეციალობასთან ერთად გარკვეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები აქვს ჩატარებული ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიაში. ამ დარგში მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცული იქნა რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ გამოშვებული მონოგრაფია: **”ჩაის კულტურა, წარმოება და სამკურნალო თვისებები”.**

პროფ. თ. ცანავა არის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების წევრი, ავტორია 120-მდე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის მონოგრაფიის, სახელმძღვანელოების და მეთოდური მითითებების. ბატონ თ. ცანავას მიღებული აქვს 10 გამოგონების საავტორო მოწმობა, რომლებიც სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციისა, აგროტექნიკის და ტექნოლოგიის საკითხებს ეხება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაინერგა წარმოებაში.

პროფ. თ. ცანავა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად განუწყვეტლივ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მიჰყავდა ლექციების კურსი საგნებში: **”სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაცია”** და **”ტრაქტორები და ავტომობილები”**, ხოლო ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში **”ინფორმატიკის საფუძვლები”**. ამავე დროს ბატონი თამაზი არის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მეცნიერ-ხელმძღვანელი.

”პროფესიონალი” მსოფლიო ენაზე თავის საქმის საფუძვლიანად დაუფლებულ, განსწავლულ სპეციალისტს ნიშნავს, რომელმაც ყოველთვის იცის რა მიზანს ემსახურება და როგორ გამოიყენოს ამ მიზნის მისაღწევად შეძენილი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ნიადაგ ზრუნავს საკუთარ პროფესიულ სრულყოფაზე. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება ჩვენი იუბილარი, რომლის ცხოვრება და საქმიანობა იმის თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იღვაწოს ჭეშმარიტმა მამულიშვილმა თავისი ქვეყნის, ხალხის და საქმის სასიკეთოდ, რომელსაც ემსახურება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში ბრძანა: **”როგორც ისწავლის ადამიანი სამყაროს ხედვას, მისი ცხოვრებაც ისეთი იქნებაო”**. თამაზ ცანავამ სამყაროს ხედვა თავის ოჯახში, წინაპრების მიერ ნაანდერძევი ჭეშმარიტებისა და ფასეულობების მქონე ერთგული მშობლებისაგან ისწავლა, ხოლო ამ ხედვამ არჩეული პროფესიის ერთგულება, სიკეთის თესვა, პატიოსნება, საქმისა და მეგობრის უღალატობა, უანგარობა, მოძმეთა თანადგომა და სიცოცხლის სიყვარული ასწავლა.

დიდი ილია ბრძანებდა: **”კაცი ის არის, რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს ხიდად გასდებს, რომ არა თვითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს”.** ილიასეული ეს ბრძნული აზრი ლეიტმოტივად გასდევს ბატონ თამაზ ცანავას საქმიანობას.

ბატონ თამაზს თავის დამსახურებაზე საუბარი არ უყვარს. ის იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც ყოველგვარი ხმაურის, პომპეზურობის და ზედმეტი რეკლამირების გარეშე უყვართ საქმის კეთება. ეს არის კაცი, რომელსაც ერთნაირად აქვს გათავისებული საქვეყნო ინტერესები და მოყვასის სიყვარული.

იღბლიანი კაცია ბატონი თამაზი, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, მეგობრობის ყადრი იცის. ნახევარ საუკუნეზე მეტია მეგობრების გარემოცვაში ტრიალებს და არასდროს დარჩენილა მარტო. მთელი მისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ყოველთვის გრძნობდა მეგობრების სითბოს, თანადგომასა და ზრუნვას, როგორც ლხინში, ასევე შეჭირვების ჟამს.

ილიას თქმისა არ იყოს: **”ადამიანი იმისათვის არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსაც სჭამს იმიტომ, რომ კაცურად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი”** მართლაც, ჩვენს თაობაშიც მრავლადაა კაცური კაცი, მათი იმედით კიდევ დგას ფეხზე ქვეყანა. კარგი კაცობა ძალიან ტევადი ცნებაა. იგი ჭეშმარიტებისა და სიკეთის კანონით ცხოვრებას ნიშნავს. თუ ეს ასეა, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონ თამაზ ცანავას სახით მის ოჯახს, ქვეყანას, სამშობლოს ჰყავს კარგი კაცი, კარგი ადამიანი და პიროვნება.

ბატონმა თამაზმა 75 წელს გადააბიჯა. მას არასოდეს გასჩენია საიუბილეო თარიღების საჯაროდ აღნიშვნის სურვილი და არც ვინმე შეუწუხებია ამისათვის. ნათქვამია, ადამიანი თავისი წარსულის ჯამიაო და მისი ცხოვრების ჯამი მეტად წონადი და სასახელოა. იგი არის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. იგი არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის და აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. არის ღირსების ორდენის კავალერი.

ბატონი თამაზი შესანიშნავი მეოჯახე, მეუღლე, მამა და ბაბუაა, რაშიც მას ბრწყინვალედ მხარს უბამს მეუღლე – ქალბატონი მარინე ნოდია, ს/მ მეცნიერებათა დოქტორი, შვილი გიორგი – ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორი, რომელიც დაოჯახებულია: მეუღლე - მარიკა მანია, უცხო ენის სპეციალისტი, ჰყავს სამი შვილიშვილი: ვერიკო, თამაზი და რეზო, რომელთაგან უმცროსის ნათლია მისი უწმინდესობა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II გახლავთ.

ღირსებათა შორის ერთ-ერთი მომხიბლავი და უაღრესად ფასეული ის გახლავთ, რომ მუდამ იდგე მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობისა და ეროვნული პრინციპების სადარაჯოზე. ბატონი თამაზი არაორდინალური პიროვნებაა. იგი არასდროს დალატობს თავის მრწამსს, საკმაოდ უკომპრომისო და პირდაპირია, რასაც რაღა თქმა უნდა, აშკარად გამოხატული ქრისტიანული მიმტევებლობაც თან ახლავს.

ჩვენ, მისი მრავალრიცხოვანი კეთილისმსურველები გულითადად ვულოცავთ ბატონ თამაზს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს თავისი ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სახალხო მოძრაობა
“სამეგრელო”,
საზოგადოება “ზუგდიდელი”

“საროსკიპოებია აღმაშენებელზე, ჩვენი ბავშვები იღუპებიან” – თბილისის ცენტრში პროსტიტუციის ბუდეა?

“მითხარი როგორ ოჯახში გაიზარდე და გეტყვი ვინა ხარ შენ”

ძველი რომაული თქმულების საკაშვილისებური ვარიაცია

აღმაშენებლის გამზირი უკვე გაიყიდა და თითქმის ყველგან საროსკიპოა, – არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ხელმძღვანელი მზია თოდუა აღმაშენებლის გამზირს პროსტიტუციის ბუდეს უწოდებს.

მზია თოდუა მარჯანიშვილზე მდებარე ერთ-ერთ ეგვიპტურ ბარსაც უჩივის, რომელიც მის ოფისთან ახლოს მდებარეობს. ორგანიზაციას ოფისი აღმაშენებლის №124-ში აქვს.

“აღმაშენებელი უკვე გაიყიდა. აქ ძირითადად თურქები და არაბები არიან. ქუჩაში ვერ გაივლი, ნაბიჯს ვერ გადადგამ. ყველაფერი მათ იყიდეს და გახსნილი აქვთ საროსკიპოები, ბარები, სადაც ჩვენი პატარა ბავშვები იღუპებიან. ჩვენი ოფისის, აღმაშენებლის №124-ის ქვევით არის ბარი, ყოველ ღამით წივილ კივილია, პატარა გოგონები ამოდიან ღამის ორ-სამ საათზე ამ ბარიდან და რა ხდება, კაცი შვილმა არ იცის. პოლიციასაც რამდენჯერ ვუთხარი, მაგრამ ჩაივლის ერთი-ორი დღე მშვიდობიანად და წყნარად, მაგრამ მეოთხე დღეს იგივე ხდება”, – აცხადებს უფლებადამცველი მზია თოდუა, რომელიც უცხოელების მომრავლებას უკვე საჯაროდ აპროტესტებს, ხელისუფლებას რეაგირებისკენ მოუწოდებს და პოლიციას რეიდების ჩატარებას სთხოვს.

“მინდა მოვუწოდო ხელისუფლებას ერთხელ ჩაატაროს რეიდი და ნახოს, რა ხდება. ამ აღმაშენებელზე ქართველი მგონი მარტო მე ვარ, ალბათ, მარტო ჩემი ოფისია აქ ქართული, მეტი არაფერი, სადაც გაიხედავ სულ თურქები არიან. ამას წინათ ბანკში მივდიოდი, ოთხი თურქი გადამიდგა ქუჩაში და გავლის უფლება არ მომცეს. იძულებული გავხდი მანქანის სავალ გზაზე გადავსულიყავი. რატომ? მე არ მაქვს უფლება, რომ ჩემს ქუჩაზე გავიარო? არ ამოვიღოთ ხმა ქართველებმა? მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, შეზღუდონ, ნუღარ აძლევენ მოქალაქეობას უცხოელებს, თორემ მაშინ გადავარქვათ აღმაშენებელს სახელი და რამე სხვა ვუწოდოთ”, – აღნიშნავს მზია თოდუა.

მისივე აზრით, ამ ინვესტორების მიზანი საქართველოში გარყვნილობის შემოტანაა. **“მე ხომ ყოველ ღამით ვხედავ აღმაშენებელზე რა ხდება? ჩვენი ახალგაზრდობა იღუპება”,** – ამბობს თოდუა.

უცხოელების მომრავლებით აღმაშენებლის გამზირის მცხოვრებთა ნაწილი უკმაყოფილოა, ნაწილი კი ამაში პრობლემას ვერ ხედავს. თბილისელების ნაწილი ქართველებს გადაშენებასაც უწინასწარმეტყველებს. ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ არსებული ვითარებიდან გამოსავალი, ბიზნესის კეთების კუთხით მათთვის შეზღუდვების დაწესებაა. რატომ ირჩევენ საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად უცხოელები საქართველოს. ეს კითხვა ჩვენ აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერაყული რესტორნის მფლობელს დავუსვით.

“საქართველო მშვენიერი ქვეყანაა, შესანიშნავი ხალხით. მე ერაყიდან ვარ, ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მათ შორის სირიაში, თურქეთში, თუმცა საქართველოს მსგავსი ქვეყანა არ შემხვედრია. საქართველოში ბიზნესის კეთება და მუშაობა ძალიან მარტივია. აქ აღმაშენებლის ქუჩაზე რესტორანი მამაჩემმა გახსნა, სახელად “ერაყი” ჰქვია. ბევრი ხალხი დადის, მათ შორის მოდიან ისინიც, ვისაც სამსახური უნდათ, თუმცა მათ პირადობის დამადასტურებელი საბუთი სჭირდებათ”, – აცხადებს ერაყელი ბიზნესმენი.

ოფიციალური ინფორმაციით, მხოლოდ შარშან, საქართველოში 40 ათასამდე უცხოელი დასახლდა. მათ შორის 675 ირანელი იყო. აქ ცხოვრება 7 ათასამდე თურქმა გადაწყვიტა. 2013 წლის სტატისტიკური მონაცემები კი მომავალი წლის აპრილში გახდება ცნობილი.

მ. აფციაური

“ილორი”-ს კომენტარი – *ახლა ხდება ნათელი, რომ სააკაშვილის გეგმაში ქართველი ერის განადგურება შედიოდა, რადგან სააკაშვილმა ლამის მზითევში გააყოლა თურქზე გათხოვებულ დედამისს სრულიად საქართველო – მან გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა კიდევ სამი ათასამდე თურქს. ასე რომ, ნაციონალებისა და მათი გადაგვარებული* ***“ბელადის”*** *მიერ დატოვებული ამ მძიმე მემკვიდრეობისაგან საბოლოოდ განთავისუფლებას საკმაოდ დიდი, საკმაოზე მეტად დიდი დრო დასჭირდება!*

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

პატარა ბავშვისათვის სპორტული გზის ჩაკეტვა ნიშნავს დიდი ფეხბურთის სიკვდილს!

ჩვენი გაზეთის 246-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილის შემოკლებული ვერსია სათაურით: **“მრეტები” საქართველომ მოკლა – რატომ არ სრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება?** რომელიც მოგვითხრობდა იმ მიზეზებზე, რამაც შეიწირა არაერთი ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელის აღმზრდელი საფეხბურთო კლუბი **“მრეტები”**. აღნიშნული სტატიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ შემოგვეხმიანა **ფკ “მრეტების” პრეზიდენტი** ბატონი **ვაჟა ჩხაიძე,** რომელმაც მოგვწერა:

გაზეთ “ილორის” მთავარ რედაქტორს ბატონ როლანდ ჯალაღანიას

ბატონო როლანდ,

გმადლობ დღევანდელი გულისხმიერი სატელეფონო საუბრისთვის.

მადლობა გაზეთ “ილორის” კოლექტივს და ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას მხარდაჭერისთვის. მოველით წერილის გაგრძელებას.

საერთოდ კი, მადლობა წერილის წყაროს: გაზეთ “ლელოს” მთავარ რედაქტორს, ბატონ თენგიზ გაჩეჩილაძეს და მის ინტერნეტ-პარტნიორს http://sportall.ambebi.ge/fexburti/qarthulifekhburthi/skhvadaskhva/56734-qmretebiqsaqarthvelom-mokla-ratom-ar-sruldebasasamarthlos-gadatsyvetileba.html.

და, რაც მთავარია, მადლობა წერილის ავტორს, ჟურნალისტ მერაბ მამულაშვილს. იგი მუდამ იმსახურებდა ჩემს ქებას.

ცნობისთვის, მე მას მივაწოდე ინფორმაცია, რომ მისი წერილი იბეჭდება გაზეთ “ილორში” და მან მთხოვა მის სახელით მადლობა მეთქვა თქვენთვის.

თუ გაზეთი “ილორი” დაინტერესდება ამ საქმის დღევანდელი მდგომარეობით, ჩემი ოფიციალური საიტის ეს ბმული დაგაკვალიანებთ http://www.shenentho.com/index.php?showtopic=975

სპორტული სალმით,

ვაჟა ჩხაიძე

ფკ “მრეტების” პრეზიდენტი

გაზეთ “ილორის” დამატებითი განმარტება: ვითვალისწინებთ რა მკითხველთა ფართო ინტერესს აღნიშნული საკითხისადმი, ვაქვეყნებთ ბატონ მერაბ მამულაშვილის წერილის სრულ ვერსიას. **“ილორი”** არაერთგზის მოუბრუნდება ამ თემას, რათა სპორტულ სამყაროს წურბელად მიმჯდარმა, პატრიოტული სულისკვეთებით არც თუ გამორჩეულმა ყველა ჩინოვნიკმა შეიგნოს, რომ დიდი ფეხბურთი იწყება იმ ცრიმოლა პატარა ბავშვით, რომელიც ამ სუსხიან დილით პირველად მიიყვანა მამამ ფეხბურთის მოედანზე, შეციებული და შემკრთალი რომ უყურებს უფროსი ბიჭების ვარჯიშს და თავი სულ სხვა სამყაროში ჰგონია!

სწორედ ამ ცრიმოლა ბავშვისათვის გზის ჩაკეტვა ნიშნავს დიდი ფეხბურთის სიკვდილს!

“მრეტები” საქართველომ მოკლა – რატომ არ სრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება?

იყო ასეთი კლუბი – **“მრეტები”**, რომელმაც ქართულ ფეხბურთს გიორგი ქინქლაძე შეუნარჩუნა.

კლუბი ისეთივე არაორდინარული იყო, როგორც მისი სახელი – მრეტი ხომ თავს რეტის დამხვევს ნიშნავს.

“მრეტები” ეროვნული ჩემპიონატის მშვენება იყო, სადაც მხოლოდ ქინქლაძე არ ბრწყინავდა – მასთან ერთად იყვნენ მეკარე დავით ჯანელიძე, კახა სიდამონიძე, კობა ჟორჟიკაშვილი, ბუბა ტყავაძე, ვახტანგ იაგორაშვილი, ჯუბა ჩუხუა... ისინი მოედანზე პატარა სპექტაკლებს დგამდნენ და უამრავ მაყურებელს იზიდავდნენ...

პირველი პროფესიული კლუბი საბჭოეთში

რუსულმა ინტერნეტ-გამოცემა **“სპორტს.რუ”**-მ **“მრეტებს”** საინტერესო სტატია მიუძღვნა:

“1988 წელს სსრკ-ში მოხდა ერთი ისეთი ამბავი, რომლის შესახებ ბევრმა არც იცის: იმ წლებში, როცა მოსკოვის **“ლოკომოტივის”** ფეხბურთელები ხელფასს იღებდნენ როგორც მატარებლის გამცილებლები ან მემანქანეები, ხოლო ცსკა-ს ფეხბურთელები – როგორც საბჭოთა არმიის ოფიცრები, თბილისში, ერთ-ერთი თეატრის დირექტორმა ვაჟა ჩხაიძემ საფეხბურთო კლუბი **“მრეტები”** ჩამოაყალიბა.

დღეს ბევრმა არც იცის, რომ ეს იყო საბჭოთა სივრცეში პირველი პროფესიული საფეხბურთო კლუბი, რომელმაც პროფესიულ-კომერციული საფეხბურთო ტრანსფერი განახორციელა.

მწირი დაფინანსების გამო, ვაჟა ჩხაიძეს გუნდში მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელები აჰყავდა, რომელთაც **“შრომის წიგნაკის”** გრაფაში – **“საწარმო”** – კლუბის დასახელებას **“მრეტებს”** უწერდა.

ამ გუნდში 1990 წელს ახალგაზრდა ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე აიყვანეს. ის იტალიაში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირიდან ახალი დაბრუნებული იყო. იქ **“დინამო 73-ის”** ღირსებას იცავდა და დიდი **“დინამოსთვის”** გამოუსადეგარ ფეხბურთელად ჩათვალეს.

გიორგის ბედად, მისი კარის მეზობელი კობა ჟორჟიკაშვილი ვაჟა ჩხაიძეს კარგად იცნობდა და მისი კლუბის შესახებაც იცოდა. მან ქინქლაძე **“მრეტების”** ვარჯიშზე გააქანა. ჩხაიძეს 5 წუთი დასჭირდა, რათა ნიჭიერი ფეხბურთელით მოხიბლულიყო და სხვების დარად, **“შრომის წიგნაკი”** გაუხსნა.

ქინქლაძემ **“მრეტებში”** თავბრუდამხვევი სეზონი ჩაატარა, მისი ჯადოსნური თამაშის წყალობით, გუნდმა პირველ ლიგაში გაიმარჯვა და უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, სადაც **“ქინქის”** და კამპანიას თავი არ შეურცხვენიათ.

ხმა ნიჭიერი ფეხბურთელის შესახებ ელვის სისწრაფით გავარდა, საფეხბურთო საქართველო მის ლამაზ ფინტებზე, უზუსტეს და დროულ პასებზე და შესაშურ დრიბლინგზე ლაპარაკობდა.

ეს არ გამორჩენია **“დინამოს”**, რომელსაც მისი აღზრდილის უკან დაბრუნება მოუნდა. **“მრეტებთან”** და ქინქლაძესთან მოლაპარაკებებს **“დინამოს”** მაშინდელი მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი აწარმოებდა. მან საწადელს მხოლოდ 1992 წელს მიაღწია.

ორ გუნდს შორის შეთანხმება მოხდა, რომელიც **“დინამოს”** ავალდებულებდა **“მრეტებისთვის”** ერთი მილიონი რუსული მანეთი გადაეხადა.

“დინამოდან” ქინქლაძე ინგლისური პრემიერლიგის კლუბ **“მანჩესტერ სიტიში”** გადავიდა (მანამდე იყო გერმანული მეორე ბუნდესლიგის **“ზაარბრიუკენი”**, სადაც **“დინამომ”** 6 თვით გაანათხოვრა).

სამწუხაროდ, **“მანჩესტერ სიტი” “ქინქის”** სადებიუტო სეზონში ჩემპიონშიფში დაქვეითდა. თუმცა გუნდის ქომაგები ქართული დროშით ხელში სკანდირებდნენ – **“ქინქი”! “ქინქი!”, “გავარდნა არაფერია, ქინქი ჩვენთან დარჩა!”**

რა კარგი იყო მაშინ...

“მრეტები” უბრალო ფეხბურთის კლუბი არ იყო. წესით, მასზე ახალი ქართული ფეხბურთი უნდა აშენებულიყო. გუნდში გულშემატკივარი დაკარგულ ლამაზ ქართულ ფეხბურთსა და სულისკვეთებას ხედავდა, ისეთს, რომლის დაბრუნებასაც დიდხანს ნატრობდა. მაგრამ **“მრეტები”** საქართველომ მოკლა.

შემდგომ განვითარებული მოვლენების ნაწილი გულშემატკივრისთვის უცნობია...

ყველაფერი გიორგი ქინქლაძის ინგლისში გადასვლით დაიწყო. როცა თბილისის **“დინამომ”** ფეხბურთელი შეიძინა, ხელშეკრულების თანახმად, **“მრეტებს”** ქინქლაძის შემდგომი ტრანსფერის 50% ეკუთვნოდა.

1995 წელს **“დინამომ”** ქინქლაძე **“მანჩესტერ სიტიში”** 3.2 მილიონ დოლარად გაყიდა, მაგრამ **“მრეტებს”** კუთვნილი თანხა – 1.6 მილიონი დოლარი არ გადაუხადა.

კლუბმა სარჩელი ჯერ ფეხბურთის ფედერაციაში შეიტანა. სფფ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა **“მრეტების”** პრეტენზიის საფუძვლიანობა გაზეთ **“ქართული ფეხბურთთან”** 1997 წლის 19 სექტემბრის ინტერვიუში აღიარა: **“გადაწყვეტილება, რომელიც ქინქლაძის საქმესთან დაკავშირებით იქნა მიღებული, სამართლიანია! ის დაფუძნებულია იმ მასალებზე, რომელიც ფედერაციაში არსებობს”.**

ფიფა-ს მაშინდელი გენერალური მდივნის, იოზეფ ბლატერის მოადგილე მიშელ ზენ-რუფინენმა ასევე 1997 წლის 26 სექტემბრის დირექტივაში **“მრეტებს”** აცნობა: **“ფიფა უზრუნველყოფს სფფ-ს გადაწყვეტილების მის მიერვე აღსრულებას. წინასწარ გიხდით მადლობას ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებისათვის”.**

მაშინ ბატონი ვაჟა ჩხაიძე ითხოვდა: **“საკადრისად უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც თავის ბნელ ზრახვებში გახვია ეს დღესაგით ნათელი საქმე! ყველა, ვინც გაანადგურა დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფეხბურთის კლუბი, მისი პარტნიორები (ამ ოდენობის კერძო თანხა არავის ჩაუდია იმდროინდელ ქართულ ფეხბურთში!) და მისი გულშემატკივარი”.**

ნაცნობის უცნობი დეტალები

...მაგრამ ეს გადაწყვეტილება ვერ აღსრულდა. ფიფა-მ, თავისი წესდების საწინააღმდეგოდ, თავისივე დირექტივების შესასრულებლად, არაფერი იღონა, პირიქით: საქმე სამი წელი გაჭიმა და მხოლოდ 2000 წლის 24 მარტს მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, მაგრამ საქმეში გამართლებული **“მრეტების”** სასარგებლოდ დაწესებული კომპენსაცია – 300 ათასი დოლარი – არ იყო სათანადო კომპენსაცია იმ ზიანისათვის, რაც კლუბმა განიცადა.

“მრეტებმა” ფიფაში საქმის გასაჩივრების ყველა გზა ამოწურა და საქართველოს მართლმსაჯულებას მიმართა.

საბოლოოდ, ყველამ ერთად – ფიფა-მ, სფფ-მ და საქართველომ – ეს საქმე ყურიდან ყურში გაატარა და კლუბი განადგურდა.

სწორედ ამიტომ, **“მრეტებმა”** საქართველოს წინააღმდეგ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში (ეაუს) შეიტანა საჩივარი, ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და საქმის სამართლიანი დაკმაყოფილების საფასურად 18 მილიონი ევრო დაასახელა.

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, ასევე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა (სფფ) და ფიფას გადაწყვეტილებები, ცალსახად ადასტურებდა, რომ **“მრეტებს”** მიადგა ზიანი; რომ სფფ და სახელმწიფო იყო სათანადო მოპასუხე პირი და არსებობდა მისი ბრალი მოსარჩელე **“მრეტებისთვის”** ზიანის მიყენებაში.

“მრეტებმა” საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ საქმე 2007 წელს მოიგო: ეაუს-მ საქართველოს მთავრობა ბრალეულად ცნო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევაში და მას **“მრეტები” – სფფ-ის წინააღმდეგ”** საქმეში სტატუს-კვოს აღდგენა მოსთხოვა.

“მრეტების” სასარგებლოდ საქმეში ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი ჩაერთო და საქართველოს მთავრობას ეაუს-ს გადაწყვეტილების შესასრულებლად ვადა დაუწესა. თუმცა, მოვლენები ისე განვითარდა, რომ კლუბმა მისთვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება დღემდე ვერ მიიღო და საქართველოს მთავრობამ მის შესრულებაზე საბოლოო უარი თქვა.

სამართალთან ერთად ჩაკლული ფეხბურთი

ალბათ, ქართული ფეხბურთის კვდომა მაშინ დაიწყო, როცა **“მრეტები”** დავკარგეთ. მაშინაც, როცა განადგურდა **“თბილისი”, “შევარდენი 1906”,** როცა ქვეყანამ, უკაცრავად და, ფეხებზე დაიკიდა სოხუმის **“ცხუმი”**, ოჩამჩირის **“ამირანი”,** გალის **“მზიური”** და საერთოდ – ქართული ფეხბურთის საფუძვლები; როცა მშვიდად მოვინელეთ უამრავი მოედნის, სტადიონისა და საფეხბურთო სკოლის ჩარჩული გასხვისება...

ამიტომაც ვედარ ვახვევთ მოწინააღმდეგეს რეტს, ჩვენს გუნდებსა და ნაკრებებს კი აქეთ ვხედავთ რეტდასხმულებს, ვხედავთ და დღემდე ვერ ვხვდებით, რომ ასეთ გლახაკურ მდგომარეობაში ჩვენივე უსამართლობამ ჩაგვაგდო.

მერაბ მამულაშვილი

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge